ფრიდრიხ ნიცშე

სიცოცხლისათვის ისტორიის სარგებლისა და ზიანის შესახებ

Friedrich Nietzsche

ფრიდრიხ ნიცშე

სიცოცხლისათვის ისტორიის სარგებლისა და ზიანის შესახებ



Friedrich Nietzsche

Vom Nutzen und Nachtheil der Historie für das Leben

გამომცემლობა
Carpe diem

უაკ (UDC) 165.745
ნ-759

„სიცოცხლისთვის ისტორიის სარგებლისა და ზიანის შესახებ“ ნიცშეს ადრეული ნაწარმოებია და მასში მოცემულია ის განაზრებანი, რომელიც შემდეგ მისი ფილოსოფიის მთავარ ღერძად იქცა: მარადიული კვლავდაბრუნება, ადამიანის სიძლიერე და მისი თვითგადალახვის პათოსი და სხვა. ნიცშე აკრიტიკებს ეპოქის ტენდენციებს, ჰეგელის ფილოსოფიის ბატონობას და მოხდენილი სტილით გადმოგვცემს საკუთარ სილრმისეულ ხედვას ისტორიის შესახებ.

მთარგმნელი
ოთარ ჭულუხაძე

რედაქტორი
სოფიო მეზვრიშვილი

GOETHE INSTITUT

Die Übersetzung dieses Werkes aus dem Deutschen ins Georgische wurde vom Goethe-Institut gefördert.

ნაშრომი გერმანულიდან ქართულად ითარგმნა გოეთეს ინსტიტუტის მხარდაჭერით.

© ფრიდრიხ ნიცშე. სიცოცხლისათვის ისტორიის სარგებლისა და ზიანის შესახებ. პირველი ქართული თარგმანი, ოთარ ჭულუხაძე

© გამომცემლობა Carpe diem, 2018

ISBN 978-9941-27-770-2

ყველა საავტორო უფლება დაცულია. აკრძალულია ამ გამოცემის რომელიმე ნაწილის გამოყენება ნებისმიერი ფორმით გამომცემლობის წერილობითი ნებართვის გარეშე

წინასიტყვა

„სხვათა შორის, მძულს ყოველივე, რაც მხოლოდ ჭკუას მასწავლის და არ აფართოებს, უშუალოდ არ აცოცხლებს ჩემს მოქმედებას“ – გოეთეს ამ სიტყვებით, ომახიანად გამოთქმული Ceterum censeo-თი,[1] შეგვიძლია დავიწყოთ ჩვენი განაზრება ისტორიის ღირებულებისა თუ უსარგებლობის შესახებ. აქვე უნდა ვაჩვენოთ, გოეთეს სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ რატომ უნდა გვძულდეს მეტისმეტად სწავლება გამოცოცხლების გარეშე; ცოდნა, რომელიც ასუსტებს ქმედებას; ისტორია, როგორც ზედმეტი ძვირფასი ცოდნა და ფუფუნება – რადგან გვაკლია ყველაზე აუცილებელი და ზედმეტობა კი აუცილებლის მტერია. ცხადია, ჩვენ გვჭირდება ისტორია, მაგრამ ცოდნის ბაღში განებივრებული მუქთახორასგან განსხვავებულად; ეს უკანასკნელი რაოდენ მედიდურადაც არ უნდა უყურებდეს ჩვენს უხეშ და მიმზიდველობას მოკლებულ საჭიროებებსა თუ მოთხოვნილებებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ისტორია გვჭირდება სიცოცხლისა და ქმედებისთვის და არა მათგან მოსახერხებელი თავის არიდებისთვის, არც ცხოვრების ეგოისტური შელამაზებისა და არც ლაჩრული თუ სულელური ქმედებებისათვის. მხოლოდ იმდენად გვსურს ვემსახ-

---

[1] „თუმცა ვფიქრობ“. – Ceterum censeo Carthaginem esse delendam – „თუმცა ვფიქრობ, კართაგენი უნდა დაინგრეს“. ამ სიტყვებით ამთავრებდა თავის გამოსვლებს სენატში რომაელი მოღვაწე კატონ უფროსი (234 – 149 ძვ. წ.), რომელიც კართაგენის შეურიგებელი მტერი იყო. *(მთარმნელის შენიშვნა)*

უროთ ისტორიას, რამდენადაც ისტორია ემსახურება სიცოცხლეს. თუმცა არსებობს ისტორიის ისეთი მსახურება და მისი ისეთი შეფასება, რომლითაც სიცოცხლე იფიტება და გადაგვარდება: ეს მოვლენაა, რომლის დღის სინათლეზე გამოტანა, ჩვენი დროის უცნაური სიმპტომებიდან გამომდინარე, იმდენადვე მნიშვნელოვანია, რამდენადაც მტკივნეული.

ვეცადე გამომეხატა გრძნობა, საკმაოდ რომ დამტანჯა. მასზე შურს იმით ვიძიებ, რომ მას გავასაჯაროებ. შესაძლოა, ამით ვინმე წახალისდეს და განმიმარტოს, რომ მსგავსი გრძნობა მისთვისაც ნაცნობია, რომ ის წმინდად და პირველადი სახით ვერ შევიგრძენი და, რომ ის არასათანადო თავდაჯერებულობითა და გამოცდილების სიმწიფით გამოვხატე. შესაძლოა, ამგვარად ერთი-ორი ადამიანი მოიქცეს. თუმცა უმეტესობა მეტყვის, რომ ეს გრძნობა სავსებით არაზუსტი, არაბუნებრივი, ამაზრზენი და უბრალოდ დაუშვებელია ან იმას, რომ საკუთარი თავი ჩვენი დროის იმ მძლავრი ისტორიული მიმართულების ულირსად წარმოვაჩინე, რომელიც, როგორც ცნობილია, ბოლო ორ თაობაში შეიმჩნევა, განსაკუთრებით კი გერმანელებში. ყოველ შემთხვევაში, იმით, რომ ვბედავ აღვწერო ჩემი გრძნობების ბუნება, უფრო მეტად ხელს ვუწყობ გაბატონებულ მიდრეკილებებს, ვიდრე ვაზიანებ მათ, რადგან შესაძლებელს ვხდი ეპოქის ამგვარი მიმართულება კომპლიმენტებით შეამკონ. თუმცა ჩემთვის მოვიპოვებ იმას, რაც იმაზე მეტადაა ღირებული, ვიდრე საზოგადოებრივი წესიერება – შესაძლებლობას, ვილებდე ეპოქის შესახებ საჯარო სწავლებას და მკაცრ დარიგებას.

არათანადროულია ეს განხილვაც, რადგან ვცდილობ საზიანოდ, მანკიერად და ნაკლად მივიჩნიო ის, რითაც თანამედროვეობა არცთუ უსაფუძვლოდ ამაყობს, კერძოდ, მისი ისტორიული განათლებით. ვი-

ნაიდან მჯერა, გამომფიტავი ისტორიული დაავადებით ვართ სნეულნი და, სულ მცირე, უნდა გავიგოთ, რომ მისგან ვიტანჯებით. თუ გოეთემ სავსებით სამართლიანად ბრძანა, რომ საკუთარ ღირსებათა წახალისებით, ჩვენს ნაკლსაც ვახალისებთ და თუ, როგორც ყველამ კარგად უწყის, ჰიპერტროფირებული ღირსება – როგორადაც ჩვენი დროის ისტორიულ გრძნობას მივიჩნევ – ჰიპერტროფირებული დეფექტის მსგავსად, ერისთვის სასიკვდილოდაც შეიძლება იქცეს, მაშინ ნება უნდა მომეცეს, განვაცხადო ის, რასაც ვფიქრობ. საკუთარი თავის გასამართლებლად, არ დავმალავ იმასაც, რომ დაკვირვებები, რომლებმაც ჩემში მტანჯველი გრძნობები გამოიწვია, მეტწილად ჩემზე განხორციელდა, ხოლო სხვებზე მხოლოდ შედარების მიზნით და მართალია, ძველი ეპოქების – განსაკუთრებით ბერძნულის – აღზრდილი ვარ, მაგრამ ამგვარ არათანადროულ გამოცდილებებთან მივედი, როგორც თანამედროვეობის შვილი. უნდა ვალიარო, ამის უფლებას მაძლევს ჩემი პროფესია – კლასიკური ფილოლოგია: რადგან ვერ წამომიდგენია, რა აზრი შეიძლება ჰქონდეს კლასიკურ ფილოლოგიას ჩვენს დროში, თუ არა ის, რომ მასში არათანადროულად მოქმედებდეს, ე.ი ჩვენი დროის საპირისპიროდ და ამით გავლენა მოახდინოს მასზე: იმედია, მომავალი ეპოქების სასიკეთოდ.

1

დააკვირდი ხროვას, შენს გვერდით რომ ძოვს: მან არ იცის, რა არის გუშინ, რა არის დღეს; დახტის წინ და უკან, ძოვს, ისვენებს, ინელებს და ისევ დახტის და ასე – დილიდან ღამემდე და ყოველდღიურად, მჭიდროდ დაკავშირებული თავის ბედნიერებასთან და უბედურებასთან, სახელდობრ, წამიერების სამაგრთან

და ამიტომაც, ის არც მოწყენილია და არც დაღლილი. ამის დანახვა უჭირს ადამიანს, რადგან იგი საკუთარი ადამიანობით ტრაბახობს ცხოველის წინაშე; და მაინც, ცხოველის ბედნიერებას შურით შეჰყურებს – რადგან მას მხოლოდ ის სურს, რომ ცხოველის მსგავსად, დაუღლელად და უმტკივნეულოდ ცხოვრობდეს; ის ამაოდ მიესწრაფვის ამას, რადგან ეს ისევე არ სურს, როგორც ცხოველს. ადამიანი კვლავ ეკითხება ცხოველს: რატომ არ მელაპარაკები შენი ბედნიერების შესახებ და მხოლოდ მიყურებ? ცხოველს უნდა უპასუხოს და უთხრას: ეს იმიტომ, რომ მაშინვე ვივიწყებ იმას, რისი თქმაც მინდა – თუმცა ცხოველს ეს პასუხიც ავიწყდება და დუმდება: ეს კი უკვირს ადამიანს.

ადამიანს საკუთარი თავისაც გაკვირვებია, რადგან არ შეუძლია ისწავლოს დავიწყება და მუდამ წარსულზეა მიჯაჭვული: რაც არ უნდა შორს და სწრაფად გარბოდეს, ჯაჭვი თან მიყვება. საოცრებაა: წამი უეცრად ჩნდება და უეცრადვე ქრება, არაფრისგან წარმოიშობა და არაფერში დაინთქმება, თუმცა ბრუნდება კვლავაც, ვითარცა მოჩვენება და არღვევს შემდგომი გაელვების სიმშვიდეს. ფურცელი კვლავ და კვლავ გამოეყოფა და მოწყდება დროის გრაგნილს, მიფრინავს წინ – და უეცრად კვლავ უკან, ადამიანის კალთაში დაივანებს. შემდეგ ადამიანი ამბობს: „მე მახსოვს“ და შეშურდება ცხოველისა, რომელსაც შეუძლია მყისიერად დავიწყება და რომლისთვისაც ყოველი გაელვება მართლაცდა კვდება, ნისლსა და ღამეში ინთქმება და სამუდამოდ ქრება. ასე არაისტორიულად ცხოვრობს ცხოველი, რადგან ის განზავდება აწმყოში, როგორც მთელი რიცხვი, ყოველგვარი ნაშთის დატოვების გარეშე; ის არ თვალთმაქცობს, არ იმალება და ყოველ წამს ზუსტად იმად ვლინდება, რაც არის; მას არ შეუძლია იყოს სხვა რამ, თუ არა

პატიოსანი. მისგან განსხვავებით, ადამიანი ეწინააღმდეგება წარსულის დიდსა და სულ უფრო და უფრო მზარდ ტვირთს: ის აწვება და ხრის ადამიანს; ის მას გზას ურევს, უხილავ და ბნელ ტვირთად აწვება; ამას ადამიანი მოსაჩვენებლად უარყოფს და თავის მსგავსებთან ურთიერთობაში სიამოვნებით მალავს, რათა მათში შური გააღვიძოს. ის ეჭიდება მას ისე, თითქოს წარმოიდგენდეს დაკარგულ სამოთხეს ან ხროვას, რომელიც ცოხნის, ანდაც უფრო ნაცნობ სიახლოვეში ხედავდეს ბავშვს, რომელსაც არ გააჩნია უარსაყოფი წარსული და რომელიც წარსულისა და მომავლის მიჯნაზე ნეტარი სიბრმავით თამაშობს. და მაინც, ბავშვის თამაშს ხელი უნდა შეეშალოს: ძალიან ადრე გამოიხმობენ მას დავიწყებიდან. შემდეგ იგი სწავლობს სიტყვა „იყო“-ს გაგებას, ამ საბედისწერო სიტყვისა, რომელიც ბრძოლით, ტანჯვით და მობეზრებით დაეუფლება ადამიანს, რათა გაახსენოს თუ რას წარმოადგენს მისი არსებობა საფუძველშივე, – დაუსრულებელ **Imperfektum**-ს.[2] სიკვდილი როდესაც საბოლოოდ მოიტანს ნანატრ დავიწყებას, ის ამით ჩაახშობს ერთდროულად აწმყოსა და ადამიანის არსებობას და საკუთარ დაღს დაასვამს იმ ცოდნას, რომ ადამიანის არსებობა განუწყვეტელი წარსულში ყოფნაა, ანუ ისეთი რამაა, რაც საკუთარი თავის უარყოფისთვის, შთანთქმისთვისა და საკუთარ თავთან დაპირისპირებისთვის ცხოვრობს.

თუ ბედნიერება და ახალი ბედნიერების დევნა რაიმე აზრით ისაა, რაც ცოცხალ არსებას სიცოცხლეში ინარჩუნებს და ცხოვრების გაგრძელებისკენ უბიძგებს, მაშინ არც ერთი ფილოსოფოსი არაა ისე მართალი, როგორც ცინიკოსი: რადგან ცხოველის, როგორც ყველაზე სრულყოფილი ცინიკოსის, ბედნიერება ცინიზმის ჭეშმარიტების ცოცხალ დადას-

---

[2] „არასრულყოფილება“.

ტურებას წარმოადგენს. ყველაზე მცირე ბედნიერება, თუკი ის უწყვეტია და გვაბედნიერებს, შეუდარებლად მეტია, ვიდრე ყველაზე დიდი ბედნიერება, რომელიც გვეწვევა, როგორც მხოლოდ ეპიზოდი, თითქოსდა, როგორც განწყობა, როგორც დიდებული დროებითი წყვეტა უხალისობას, ვნებასა და დანაკარგს შორის. თუმცა, როგორც პატარა, ისე დიდ ბედნიერებას მუდამ თან ახლავს ის, რაც ბედნიერებას ბედნიერებად აქცევს: დავიწყების უნარი ან, თუ უფრო მეცნიერულად ვიტყვით, შესაძლებლობა, ამ ბედნიერების დროს, არაისტორიულად შევიგრძნობდეთ. ვისაც არ შეუძლია წამიერების ზღვარზე დაეშვას, დაივიწყოს ყოველგვარი წარსული, ვისაც თავბრუსხვევისა და შიშის გარეშე არ ძალუძს ერთ წერტილზე დგომა, გამარჯვების ქალღმერთის მსგავსად, მან არ იცის, თუ რა არის ბედნიერება და უფრო მეტიც: ის ვერასდროს მოიმოქმედებს იმას, რაც სხვებს აბედნიერებს. წარმოიდგინეთ უკიდურესი მაგალითი იმ ადამიანისა, ვისაც საერთოდ არ გააჩნია დავიწყების უნარი და ვისაც მისჯილი აქვს ყველგან მხოლოდ ქმნადობას ხედავდეს: ასეთ ადამიანს აღარ სწამს საკუთარი არსებობის, არ წამს საკუთარი თავის, ყოველივეს ერთმანეთისგან გამდინარ მოძრავ წერტილებში ხედავს და ქმნადობის ამ დინებაში იკარგება: და, საბოლოოდ, ჰერაკლიტეს ერთგული მოწაფის მსგავსად, თითის განძრევასაც კი ველარ ბედავს. ყოველ საქმიანობას სჭირდება დავიწყება: ზუსტად ისევე, როგორც ყოველ ორგანიზმს სჭირდება არა მხოლოდ სინათლე, არამედ სიბნელეც. ადამიანს, რომელსაც კვლავაც და კვლავაც სურს მხოლოდ ისტორიულად შეიგრძნოს, დაემსგავსებოდა იმას, ვინც იძულებულია ძილს თავი აარიდოს, ანდაც ცხოველს, რომელმაც მთელი ცხოვრება ერთი და იგივე უნდა ცოხნოს. ამრიგად: როგორც ცხოველის მაგალითი გვიჩვენებს,

მახსოვრობის გარეშე, ანუ ბედნიერად ცხოვრება, შესაძლებელია, მაგრამ სავსებით შეუძლებელია ცხოვრება დავიწყების გარეშე. ანდაც, ჩემს თემასთან დაკავშირებით, უფრო მარტივად თუ ვიტყვით: არსებობს უძილობის, ერთი და იმავეს ცოხნის, ისტორიული აზრის ისეთი ხარისხი, რომლითაც ყოველი ცოცხალი ზიანდება და საბოლოოდ იღუპება – იქნება ეს ცალკეული ადამიანი, ერი თუ კულტურა.

ამ ხარისხის მისაკვლევად და შემდეგ, მისი მეშვეობით, იმ საზღვრის დასადგენად, რომლის მიღმაც წარსული უნდა დავივიწყოთ, – თუ არ გვსურს, რომ იგი აწმყოს მესაფლავედ გადაიქცეს, – აუცილებელია ზუსტად ვიცოდეთ, რამდენად დიდია ადამიანის, ერისა თუ კულტურის პლასტიკური ძალა. ვგულისხმობ თავისი თავიდან გამორჩეულად ამოზრდის, წარსულისთვის და უცხოსათვის სახის შეცვლისა და შეთვისების, ჭრილობების მოშუშების, დაკარგულის ჩანაცვლების, მოშლილი ფორმების საკუთარი მოდელის მიხედვით აღდგენის ძალას. არსებობენ ადამიანები, რომლებიც ისე მცირედ ფლობენ ამ ძალას, რომ ერთი კონკრეტული ვითარების, ერთი კონკრეტული ტკივილის, განსაკუთრებით კი ერთი მცირე უსამართლობის გამო, ერთგვარი უმნიშვნელო ნაკაწრის გამო, სისხლისგან სასიკვდილოდ იცლებიან. მეორე მხრივ, არსებობენ ისეთები, რომლებსაც ვეღური და კოშმარული ცხოვრებისეული შემთხვევები თუ საკუთარი ბოროტი ქმედებები ისე ნაკლებად ადარდებთ, რომ ამ ქმედებისას ან მათი დასრულებისთანავე სასიამოვნო კეთილდღეობას და თავისებურ სუფთა სინდისს აღწევენ. რაც უფრო ძლიერი ფესვები აქვს ადამიანის შინაგან ბუნებას, მით უფრო მეტად ითვისებს და თავისებურად გადაამუშავებს წარსულს; ყველაზე ძლიერი და მოუთოკავი ნატურა რომ წარმოვიდგინოთ, მას იმით ამოვიცნობდით, რომ

მისთვის ისტორიულ გრძნობას არავითარი ზღვარი არ ექნებოდა, რის მიღმაც შეძლებდა საზიანო და დამანგრეველ მოქმედებას. იგი ყოველგვარ წარსულს, საკუთარსა თუ სხვისას, აითვისებდა და, ასე ვთქვათ, საკუთარ სისხლად აქცევდა. ხოლო, რასაც ვერ აითვისებდა, დაივიწყებდა; მისთვის ის აღარ იარსებებდა, ჰორიზონტი დახურული იქნებოდა და მას ვერაფერი შეახსენებდა, რომ ამ ჰორიზონტის მიღმა არსებობენ ადამიანები, ვნებები, მოძღვრებები, მიზნები. ეს საყოველთაო წესია; ყოველივე ცოცხალი მხოლოდ გარკვეული ჰორიზონტის შიგნით შეიძლება გაჯანსაღდეს, გაძლიერდეს და იქცეს ნაყოფის მომცემად; თუ მას საკუთარი თავის განსაზღვრული ჰორიზონტით შემოზღუდვა არ ძალუძს და, ამავე დროს, თუ ზედმეტად თავმოყვარეა და თავის თავს უცხო ჰორიზონტში მოაქცევს, მაშინ ის უძლურდება ან ნაადრევი სიკვდილი ეწვევა. მხიარულება, სუფთა სინდისი, სიხარულით აღსავსე ქმედება, მომავლის რწმენა – ეს ყველაფერი დამოკიდებულია, როგორც ცალკეული ადამიანის, ისე ხალხის შემთხვევაში, იმ ხაზის არსებობაზე, რომელიც თვალით მისაწვდომსა და ნათელს მიჯნავს შუქით მიუღწეველისა და ბნელისგან; აგრეთვე – იმაზე, რომ ადამიანს ერთნაირად შეეძლოს შესაბამის დროს დავიწყება და შესაფერის დროს გახსენება; – იმაზე, რომ ადამიანი ძლიერი ინსტინქტით ხვდებოდეს, როდისაა საჭირო შეიგრძნოს ისტორიულად და როდის – არაისტორიულად. აქედან გამომდინარეობს საკითხი, რომლის განსახილველად ვპატიჟებ მკითხველს: თანაბრად საჭიროა თუ არა ისტორიული და არაისტორიული ცალკეული ადამიანის, ერისა თუ კულტურის სიჯანსაღისთვის?

ნათქვამთან დაკავშირებით, თავდაპირველად, ყველა შემდგომ დაკვირვებას განახორციელებს: ადა-

მიანის ისტორიული ცოდნა და შეგრძნება შეიძლება მეტად შებოჭილი იყოს ისევე, როგორც ალპების ხეობის მკვიდრისა, მისი ჰორიზონტი კი მეტად ვიწრო; ყოველ მსჯელობაში იყოს უსამართლო, ყოველ ქმედებაში კი მცდარი, თითქოს ეს პირველად მან მოიმოქმედა. თუმცა იგი, ყოველგვარი უსამართლობისა თუ შეცდომის მიუხედავად, შეურყევი ჯანმრთელობითა და მხნეობით აღსავსედ წარმოგვიდგება და ყველანაირ მზერას ახარებს მაშინ, როცა იქვე, მის გვერდით, ბევრად უფრო სამართლიანი და განათლებული ადამიანი უძლურდება და ეცემა, რადგან მისი ჰორიზონტის ხაზები მუდამ მოუსვენრად იცვლის ადგილს და რადგან, მისი სამართლიანობისა და ჭეშმარიტების ფაქიზი ქსელების გამო, მას აღარ შეუძლია მიუბრუნდეს უხეშ სურვილებსა და მისწრაფებებს. ამის საპირისპიროდ, ჩვენ ვხედავდით ცხოველს, რომელიც სრულიად არაისტორიულია და ცხოვრობს ჰორიზონტს აქეთ, – ჰორიზონტისა, რომელიც თითქმის წერტილის ტოლია; და მაინც, ცხოვრობს განსაზღვრული ბედნიერებით, ყოველ შემთხვევაში, – დაღლისა და სიყალბის გარეშე. განსაზღვრულ ფარგლებში არაისტორიულად შეგრძნების უნარი უნდა მივიჩნიოთ უფრო მნიშვნელოვნად და უფრო პირველადად, რადგანაც მასშია საფუძველი, რომლიდანაც საერთოდ შეიძლება ამოიზარდოს რამე სამართლიანი, ჯანსაღი და დიადი, რამე ჭეშმარიტად ადამიანური. არაისტორიული ჰგავს გარემომცველ ატმოსფეროს, რომელშიც სიცოცხლე მხოლოდ და მხოლოდ იბადება, რათა, ამ ატმოსფეროს განადგურებასთან ერთად, თავადაც გაქრეს. მართალია, თავდაპირველად იმით, რომ ადამიანი ამ არაისტორიულ ელემენტს ფიქრის, აწონ-დაწონვის, შედარების, გამოყოფის, შეერთების მეშვეობით შემოსაზღვრავს; პირველად იმის მეშვეობით, რომ ამ გარემომცველი ნისლის ღრუბლის

შიგნით ნათელი და მოკაშკაშე სინათლის სხივი გამოკრთება – ანუ, პირველად იმ ძალით, რომლითაც წარსული სიცოცხლისთვის გამოიყენება, მომხდარისგან კი ისტორია იქმნება და ადამიანი ადამიანად იქცევა: მაგრამ, ისტორიის სიჭარბის გამო, ადამიანი ადამიანად ყოფნას წყვეტს, ხოლო ამ არაისტორიული გარსის გარეშე, ის ვერასდროს დაიწყებდა და გაბედავდა ყოფილიყო ადამიანი. არსებობს კი ქმედებები, რომლის განხორციელებასაც ადამიანი, ამ არაისტორიულ, ნისლიან ფენაში თავდაპირველი შებიჯების გარეშე შეძლებდა? სულაც გვერდზე გადავდოთ წარმოსახვები და ამ აზრის ნათელსაყოფად მაგალითი მოვიყვანოთ: წარმოვიდგინოთ ადამიანი, რომელსაც ქალის ან დიადი იდეის ჟინი წინ და უკან ათამაშებს: როგორ იცვლება მისთვის სამყარო! როდესაც უკან იყურება, თავს ბრმად გრძნობს; როცა ვინმეს ყურს უგდებს, ყველაფერი გაურკვეველ, აზრსმოკლებულ ხმაურად ჩაესმის. ხოლო იმას, რასაც შეიგრძნობს, ისე ცხადად შეიგრძნობს, როგორც არასდროს – ისე საგრძნობლად ახლოს, ფერადად, მჟღერად და განათებულად, თითქოსდა მას გრძნობის ყველა ორგანოთი ერთდროულად ჩაწვდა. მისი ყოველი შეფასება შეიცვალა და გაუფასურდა; ის ბევრს ველარც დააფასებს, რადგან მათ თითქმის ველარ შეიგრძნობს. ის ეკითხება საკუთარ თავს, ნუთუ ამდენი ხანი სხვათა მოსაზრებებისა და სიტყვების სისულელის მონა იყო; მას უკვირს საკუთარი მეხსიერებისა და დაუღლელად წრეში ტრიალებს; და მაინც, ის საკმაოდ სუსტია და დაღლილი იმისათვის, რომ ერთადერთი ნახტომი შეასრულოს ამ წრიდან თავის დასაღწევად. ეს სამყაროს ყველაზე უსამართლო მდგომარეობაა, შეზღუდული, წარსულის მიმართ უმადური, ფათერაკის წინაშე ბრმა, სიფრთხილის მიმართ ყრუ, – პატარა ცეცხლოვანი მორევი უკუნისა და დავიწყების

მკვდარ ზღვაში: და მაინც, ეს მდგომარეობა – არა-ისტორიული, სრულიად ანტი-ისტორიული – წიალია, საიდანაც იბადება არა მხოლოდ უსამართლო, არამედ, უფრო მეტად, ყოველი სამართლიანი ქმედება. ვერც ერთი მხატვარი დახატავს სურათს, ვერც ერთი მხედართმთავარი გაიმარჯვებს, ვერცერთი ხალხი მიალწევს თავისუფლებას, თუ მანამდე, დაახლოებით მსგავს არაისტორიულ მდგომარეობაში არ ილტვოდენ და ისწრაფოდნენ ამ მიზნისაკენ. გოეთეს სიტყვებით რომ ვთქვათ, აქტიური ადამიანი, როგორც მუდამ უსინდისოა, ასევეა უცოდინარი. იგი ბევრ რამეს ივიწყებს, რათა გააკეთოს ის, რაც მის უკან მყოფისთვის უსამართლოა; მან იცის მხოლოდ ერთი სამართალი, – სამართალი იმისა, რაც ახლა უნდა განხორციელდეს. ამიტომაცაა, რომ ყოველ აქტიურ ადამიანს საკუთარი საქმე იმაზე ბევრად მეტად უყვარს, ვიდრე ის ამას იმსახურებს: საუკეთესო საქმეები კი სწორედ სიყვარულის ამგვარ სიჭარბეში ვლინდება, რასაც ეს საქმეები ნამდვილად არ იმსახურებენ, რამდენადაც დიდი არ უნდა იყოს მათი თავისთავადი ღირებულება.

ადამიანი იმ მდგომარეობაში რომ აღმოჩენილიყო, სადაც მრავალრიცხოვანი მაგალითებით იგრძნობდა და ცოტა ხნით შეისუნთქავდა ამ არაისტორიულ ატმოსფეროს, რომლიდანაც ყველა დიადი ისტორიული მოვლენა წარმოიშობა, მაშინ მას, როგორც შემმეცნებელ არსებას, მიეცემოდა შესაძლებლობა, დაკვირვების ზეისტორიულ წერტილამდე ამაღლებულიყო, რომელზეც ერთხელ ნიბურმა მიუთითა, როგორც ისტორიული გააზრებების შესაძლო შედეგზე. „ერთ საკითხთან დაკავშირებით, ყოველ შემთხვევაში“, – ამბობს ის, – „ნათლად და ზედმიწევნით შეცნობილი ისტორია, სასარგებლოა: ვიცოდეთ ის, რაც თვით ჩვენი დროის ყველაზე დიადმა და ამაღლებულმა სულებმა არ იციან, – თუ რა რიგ შემთხვევით მიიღო მათმა

თვალებმა ის პერსპექტივა, რომლითაც ისინი იმზირებიან და რომლიდან ყურებასაც ყოველი ადამიანისგან ძალადობრივად მოითხოვენ. ძალადობრივად იმიტომ, რომ მათი ცნობიერების ინტენსიურობა გამორჩეულად მაღალია. ვისაც ეს სრულიად გარკვევით და მრავალ შემთხვევაზე დაყრდნობით არ გაუაზრებია, მას იმონებს ძლიერი სულის გამოჩენა, – სულისა, რომელიც მოცემულ ფორმაში დიად ვნებებს დებს“. ამგვარ თვალსაზრისს შეიძლება ზეისტორიული ვუწოდოთ, რადგან ის, ვინც მას მიაღწევს, შეიძლება ველარ ცდუნდეს ცხოვრების გაგრძელებითა და ისტორიულ საქმიანობაში თანამონაწილეობით, ყოველგვარი აქტივობის აუცილებელი წინაპირობის, ანუ იმ სიბრმავისა და უსამართლობის შეცნობის შემდეგ, რაც აქტიური ადამიანის სულშია გაბატონებული. ამიერიდან ის განკურნებული იქნებოდა ისტორიის ზედმეტად სერიოზულად აღქმისგან; ის ისწავლიდა ყოველი ადამიანისა და გამოცდილების შესახებ (იქნებოდნენ ეს ბერძნები თუ თურქები, პირველი ან მეცხრამეტე საუკუნიდან) საკუთარი თავისთვის ეპასუხა შეკითხვაზე, როგორ და რისთვის ცხოვრობდნენ ისინი; ვინც საკუთარ ნაცნობს შეეკითხება, სურს თუ არა განმეორებით იცხოვროს ბოლო ათი ან ოცი წელი, იოლად მიხვდება თუ ვინ არის მათთვან მზად ამ ზეისტორიული თვალსაზრისისთვის: სავარაუდოა, რომ ისინი უპასუხებდნენ „არა!“-ს, მაგრამ ამ „არა!“-ს ისინი სხვადასხვაგვარად დაასაბუთებდნენ. ერთნი, საკუთარი თავის დასამშვიდებლად, იტყოდნენ: „მომავალი ოცი წელიწადი უკეთესი იქნება“; ასეთებზე, დევიდ ჰიუმმა გესლიანად თქვა:

> And from the dregs of life hope to receive,
> What the first sprightly running could not give.[3]

---

[3] „სიცოცხლის ნანგრევებისგან იმედოვნებენ მიიღონ ის,

ჩვენ გვსურს, მათ ისტორიული ადამიანები ვუწოდოთ; წარსულისადმი მიმართული მზერა მათ მომავლისკენ უბიძგებთ, ხალისს მატებს მათ გამბედაობას, რათა უფრო ხანგრძლივად ებრძოლონ ცხოვრებისეულ გამოწვევებს; ბადებს იმედს, რომ ადრე თუ გვიან შესაფერისი დრო მოვა და რომ ბედნიერება იმ მთის გადალმა იმალება, რომელზეც ისინი მიაბიჯებენ. ამ ისტორიულ ადამიანებს სწამთ, რომ არსებობის საზრისი ისტორიის პროცესში უფრო და უფრო გამოაშკარავდება; ისინი უკან მხოლოდ იმისთვის იყურებიან, უწინ მომხდარის გააზრებით, აწმყო რომ გაიგონ და მომავლისკენ უფრო გაბედული სწრაფვა რომ ისწავლონ; მათ სულაც არ იციან, თუ რაოდენ არაისტორიულად ფიქრობენ და მოქმედებენ, მიუხედავად მათი მთელი ამ ისტორიისა, და თუ როგორ ემსახურება მათი ისტორიასთან დაკავშირებული საქმიანობა, არა წმინდა შემეცნებას, არამედ სიცოცხლეს.

თუმცა იგივე შეკითხვას, რაზეც უკვე პირველი პასუხი მოვისმინეთ, შესაძლებელია, სხვაგვარად ეპასუხოს. თუმც კვლავ „არა!“-ს მეშვეობით, მაგრამ განსხვავებულად დასაბუთებული „არა“-თი. ზეისტორიული ადამიანის „არა“-თი, რომელიც პროცესში კი არ ხედავს განკურნებას, არამედ ვისთვისაც სამყარო ყოველ ცალკეულ გაელვებაში სრულქმნილია და საკუთარ დასასრულს აღწევს. რა შეიძლება გვასწავლოს მომავალმა ათმა წელმა ისეთი, რაც ვერ გვასწავლა განვლილმა ათმა?!

ზეისტორიული ადამიანები იმაზე ვერ თანხმდებიან, თუ რაში მდგომარეობს ამ ისტორიული სწავლების აზრი – ბედნიერებაში თუ მორჩილებაში, სათნოებაში თუ სინანულში; მაგრამ, წარსულის შესახებ გააზრებათა არსებული ტიპების საწინააღმდეგოდ, ისინი

რასაც ვერ გვაძლევდა პირველი ხალისიანი განავარდება“.

ერთსულოვნად თანხმდებიან იმაზე, რომ წარსული და აწმყო ერთი და იგივეა. კერძოდ: ყოველ მრავალგვარობაში ტიპურად მსგავსი და ვითარცა ყველგანმყოფი წარუვალი ტიპები, ისინი წარმოადგენენ უძრავ გამოსახულებებს უცვლელი ღირებულებებისა და მარად მსგავსი მნიშვნელობისა. ასობით განსხვავებული ენა მიესადაგება ერთი და იმავე ტიპურ, მყარ ადამიანურ საჭიროებებს; ადამიანს ეს საჭიროება რომ გაეგო, ის თითოეული ამ ენიდან ახალს ვერაფერს ისწავლიდა: მსგავსად ამისა, ზეისტორიული მოაზროვნე შიგნიდან ანათებს ყველა ხალხისა თუ ცალკეული ადამიანის ისტორიას, ნათელმხილველურად ჩასწვდება რა განსხვავებული იეროგლიფების პირველად მნიშვნელობას, ახალ-ახალი ნაწერების დამქანცველ ნაკადს კი თანდათანობით, დაღლილი განერიდება, რადგან შეუძლებელია, უწინ მომხდარი ამბების მოგონების დაუსრულებელმა სიჭარბემ იგი გამაძლარობის, მოყირჭებისა და ზიზღის მდგომარეობამდე არ მიიყვანოს! ისე, რომ მათ შორის ყველაზე გაბედული, ალბათ, საბოლოოდ მზად იქნება ჯაკომო ლეოპარდისთან ერთად საკუთარ გულს უთხრას: „არაფერია ცოცხალს შორის შენი თანაგრძნობის ღირსი; დედამიწა კი შენს სუნთქვად არ ღირს. ჩვენი არსებობა ტკივილი და მოწყენილობაა, მსოფლიო სიბინძურეა და არაფერი სხვა. იყავი მშვიდად“. თუმცა დავუტოვოთ ზეისტორიულ ადამიანებს თავიანთი ზიზღი და სიბრძნე: დღეს, უფრო მეტად გვსურს გულითადად გავიხაროთ ჩვენი არასიბრძნით და კარგი დღე მოვიწყოთ ჩვენთვის, ვითარცა აქტიური და პროგრესული ადამიანებისთვის, ადამიანებისთვის, რომლებიც პატივს სცემენ პროცესს. დაე, ისტორიის ჩვენი შეფასება მხოლოდ დასავლური ცრურწმენა იყოს; ოლონდაც, ამ ცრურწმენის ფარგლებში განვაგრძოთ სვლა და არ შევჩერდეთ! ოლონდაც უკეთ

ვისწავლოთ, ისტორია სიცოცხლის მიზნებისთვის გამოვიყენოთ! მაშინ შეგვიძლია ვალიაროთ, რომ ზეისტორიული ადამიანები ჩვენზე მეტ სიბრძნეს ფლობენ, თუკი ჩვენ დარწმუნებულნი ვიქნებით, რომ მათზე მეტად სიცოცხლისუნარიანნი ვართ: რადგან ასე, ყოველ შემთხვევაში, ჩვენს არასიბრძნეს მეტი მომავალი ექნებოდა, ვიდრე მათ სიბრძნეს. ხოლო იმისთვის, რომ არავითარი ეჭვი არ დავიტოვოთ ცხოვრებასა და სიბრძნეს შორის არსებულ ამ დაპირისპირების მნიშვნელობაზე, ძველი დროიდან დღემდე შემონახული მეთოდით ვისარგებლებ და პირდაპირ რამდენიმე თეზისს წამოვაყენებ.

ისტორიული მოვლენა, წმინდად და სრულად შეცნობილი და შემეცნების ფენომენში განზავებული, მკვდარია მათთვის, ვინც ის შეიმეცნა: რადგან მან მასში სიგიჟე, უსამართლობა, ბრმა ვნება და საერთოდ, ამ მოვლენის სრულად მიწიერი, ბნელი ჰორიზონტი და აგრეთვე, მასში არსებული ისტორიული ძალა შეიცნო. ეს ძალა მისთვის, როგორც შემმეცნებლისთვის, ახლა უძლურებად იქცევა: მაგრამ, შესაძლოა, არა – მისთვის, როგორც ცოცხალი არსებისთვის.

წმინდა მეცნიერებად გაგებული და სუვერენად ქცეული ისტორია, კაცობრიობისთვის სიცოცხლის დასასრული და საბოლოო განკითხვა იქნებოდა. ისტორიული განათლება მხოლოდ მაშინ შეიძლება მივიჩნიოთ მკურნალად და მომავლის უზრუნველმყოფელად, როცა იგი თან სდევს ძლიერ, ახალ სიცოცხლის ნაკადს, მაგალითად, შექმნის პროცესში მყოფ კულტურას, რაღაც მკურნალისა და მომავლის დაპირების მქონეს; ანუ მაშინ, როდესაც ის მოექცევა დიადი ძალის გავლენასა და განკარგულებაში და არა მაშინ, როდესაც თავად ფლობს ამ ძალასა და განკარგავს მას.

ისტორია რამდენადაც სიცოცხლეს ემსახურება, იმდენადვე ემსახურება არაისტორიულ ძალასაც და ამიტომაც, ამ დაქვემდებარების გამო, მათემატიკის მსგავს წმინდა მეცნიერებად ვერ გადაიქცევა და არც უნდა გადაიქცეს. თუმცა კითხვა, – თუ რა დოზით ჭირდება სიცოცხლეს ისტორიის მსახური, – ადამიანის, კულტურისა და ერის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა და საზრუნავია, რადგანაც ისტორიის გარკვეული სიჭარბის გამო, ნადგურდება და გადაგვარდება სიცოცხლე, და, საბოლოოდ, ამ გადაგვარების გამო, იგივე მოსდის ისტორიასაც.

2

თუმცა ის, რომ ისტორია სიცოცხლეს უნდა ემსახუროს, ისევე ნათლად უნდა გავიაზროთ, როგორც თეზისი, რომელსაც მოგვიანებით დავამტკიცებთ: რომ ისტორიის სიჭარბე აზიანებს ცოცხალ არსებას. ისტორია სამგვარი აზრით განეკუთვნება ცოცხალ არსებას: ის ეკუთვნის მას, როგორც მოქმედსა და მისწრაფების მქონეს, როგორც შემნახველსა და დამფასებელს და, როგორც ვნებებით აღსავსესა და გათავისუფლების საჭიროების მქონეს. მიმართებათა ეს სამგვარობა შეესაბამება ისტორიის ტიპთა სამეულს: რამდენადაც შესაძლებელია, რომ განვასხვავოთ ისტორიის მონუმენტური, ანტიკვარული და კრიტიკულ ტიპი.

უპირველეს ყოვლისა, ისტორია ეკუთვნის აქტიურებსა და ძლიერებს; ანუ მათ, ვინც დიად ბრძოლას აწარმოებენ, ვისაც ნიმუშები, მასწავლებლები და ნუგეშისმცემელები სჭირდებათ, რომლებსაც აწმყოში, საკუთარ თანამედროვეებს შორის, ვერ პოულობენ.

ამგვარად ეკუთვნოდა ისტორია შილერს: ჩვენი დრო ისეთი უვარგისია, ამბობს გოეთე, რომ პოეტი თავის სიცოცხლეში ველარ ხვდება მისთვის შესაფერის ნატურას. მაგალითად, პოლიბიუსს მხედველობაში ჰყავს აქტიური ადამიანები, როდესაც პოლიტიკის ისტორიას სახელმწიფოს მმართველობისათვის მოსამზადებლად ასახელებს სამაგალითოდ და აგრეთვე, ყველაზე აღმატებულ მასწავლებლად, რომელიც, სხვების უბედურებებზე მითითებით, შეგვაგონებს, რომ ბედ-იღბალის ცვლილებას ვაჟკაცურად გავუძლოთ. ვინც ამგვარად ისწავლა ისტორიის საზრისის ამოცნობა, მას უნდა აღიზიანებდეს, ცნობისმოყვარე მოგზაურები ან პედანტი მიკროლოგები, რომლებიც დიადი წარსულის პირამიდებზე მიცოცავენ; იქ, სადაც იგი სრულყოფისა და მიბაძვისთვის სტიმულებს პოულობს, არ სურს წააწყდეს უსაქმურს, რომელიც გართობასა და სენსაციას ისევე მოუთმენლად მოელის, როგორც გალერიაში დახვავებულ საგანძურთან ხეტიალისას. აქტიური ადამიანი იმისთვის, რომ სულით არ დაეცეს და არ იგრძნოს ზიზღი სუსტებსა და უიმედო ზარმაცებს, მოჩვენებითად მოქმედ, სინამდვილეში კი მუდამ აღელვებულებსა და ცმუკავ თანამოძეთა შორის, უკან იყურება და შეაჩერებს თავისი მიზნისაკენ სწრაფვას, რათა ერთხელ ამოისუნთქოს. თუმცა მისი მიზანია არა საკუთარი ბედნიერება, არამედ, ხშირ შემთხვევაში, ერის ანდაც მთლიანი კაცობრიობისაც; იგი გაურბის ბედის მორჩილებას და ისტორიას დანებების წინააღმდეგ იყენებს. როგორც წესი, მას არავითარი ჯილდო არ მოელის, გარდა დიდებისა, ანუ ისტორიის ტაძარში საპატიო ადგილისა, სადაც იგი, თავის მხრივ, შემდეგი თაობების მასწავლებელი, ნუგეშისმცემელი და გამაფრთხილებელი შეიძლება გახდეს. მისი მცნება ხომ ასე ჟღერს: ის, რამაც ერთხელ შეძლო გაეფართოე-

ბინა და უფრო მშვენიერი მნიშვნელობით დაეტვირთა ცნება „ადამიანი“, სამუდამოდ უნდა იქნას შენახული, რათა მუდამ შეეძლოს ამ დანიშნულების შესრულება. ის, რომ ცალკეული ადამიანების ბრძოლათა დიადი მომენტები ქმნის ჯაჭვს, ის, რომ მათში კაცობრიობის მთაგრეხილი ათასწლეულებითაა დაკავშირებული და ის, რომ მსგავსი, დიდი ხნის გარდასულ დროთა სიდიადე ჩემთვის კვლავ ცოცხალი, ნათელი და დიადია, – ეს ყველაფერი კაცობრიობისადმი რწმენის უმთავრეს აზრს წარმოადგენს, რაც მონუმენტურ ისტორიაში გამოიხატება. მაგრამ ზუსტად ამ მოთხოვნით, რომ დიადი მარადიული უნდა იყოს, ულმობელი ბრძოლა ჩაღდება. რადგან, ყოველივე სხვა, რაც ცოცხლობს, ამბობს „არა“-ს. მონუმენტური არ უნდა გამოვლინდეს – აი, საპირისპირო მოწოდება. სულელური ჩვეულება, პატარა და მდაბიო, რითაც ქვეყნიერების ყოველი კუთხე-კუნჭული სავსეა და ყოველივე დიადს დედამიწის მძიმე ჰაერით გუდავს, ალიმართება შემაფერხებლად, კვალის ამრევად, დამასუსტებლად და მხუთავად გზაზე, რომელიც დიადმა უკვდავებისკენ უნდა განვლოს. თუმცა ეს გზა ადამიანის ტვინზე გადის! დაშინებული და ხანმოკლედ მცხოვრები ცხოველისა, რომელიც ერთი და იმავე საჭიროებებისთვის, კვლავ და კვლავ ამოტივტივდება ცხოვრების ზედაპირზე და რომელიც საკუთარ განადგურებას დიდი ძალისხმევით გადაავაადებს მცირე ხნით. მათ ხომ უპირველესად მხოლოდ ერთი რამ სურთ: იცოცხლონ, ყველაფრის ფასად. მათ შორის ვინ წარმოიდგენს მონუმენტური ისტორიის რთულ, ჩირაღდნიან რბოლას, რომლითაც მხოლოდ დიადი განაგრძობს სიცოცხლეს! მიუხედავად ამისა, კვლავ იღვიძებენ ერთეულები, რომლებიც მზერას უკან, წარსულ სიდიადეზე მიაპყრობენ და, გაძლიერებულნი მისი ჭვრეტით, ისე ნეტარად გრძნობენ თავს,

თითქოს ადამიანური ცხოვრება საუკეთესო რამ იყოს და თითქოს ამ მწარე მცენარის ყველაზე სანუკვარი ნაყოფი იმის გაცნობიერება იყოს, რომ ოდესლაც, თავისი არსებობის წრე ერთმა ამაყად და მძლავრად გაიარა, მეორემ – ღრმა ფიქრებით, მესამემ – თანაგრძნობითა და სხვების დამხმარებით – თუმცა ყოველი მათგანი შთამომავლობას ერთ შეგონებას უტოვებდა: ყველაზე ლამაზია იმის ცხოვრება, ვინც არსებობას ყურადღებას არ აქცევს. მაშინ, როცა ჩვეულებრივი ადამიანი მისთვის ბოძებული დროის მონაკვეთს ზედმეტად მოღუშულად, სერიოზულად და ხარბად აღიქვამს, უკვდავებისა და მონუმენტური ისტორიისკენ გზაზე მდგომმა ზემოთხსენებულმა ადამიანებმა კარგად იცოდნენ, თავიანთი სიცოცხლე ოლიმპიურ სიცილად ან, სულ მცირე, ამაღლებულ დაცინვად როგორ ექციათ; ხშირად ისინი ირონიული ღიმილით ჩადიოდნენ საფლავში – მართლაც, რა შეიძლება დაემარხათ მათში?! ალბათ, მხოლოდ ის, რაც მათ აბრკოლებდა, როგორც წანაზარდი, ნაგავი, ამაოება, ცხოველურობა და რაც დავიწყებას უნდა მიეცეს ახლა, კარგა ხნის შემდეგ, რაც ისინი თავად ამ ადამიანებმა შეიზიზღეს. მაგრამ ერთი რამ იცოცხლებს – ეს არის მონოგრამა მისი საკუთარი არსისა: მისი საქმე, მისი ქმედება, იშვიათი შთაგონება, მისი ქმნადობა: ეს იცოცხლებს, რადგან ვერც ერთი მომდევნო თაობა მის გარეშე ფონს ვერ გავა. ამ სახეცვლილი ფორმით დიდება უფრო მეტად წარმოჩნდება, ვიდრე ჩვენი პატივმოყვარეობის უბრალო ტკბილი კერძია, როგორც ამას შოპენჰაუერი ახასიათებდა. ეს არის რწმენა ყოველი ეპოქის დიადის ერთიანობისა და უწყვეტობისა; ესაა პროტესტი თაობათა ცვლილებისა და წარმავლობის წინააღმდეგ!

რაში შეიძლება თანამედროვე ადამიანს გამოადგეს წარსულის მონუმენტური განაზრება და წინარე

ეპოქების კლასიკურისა და იშვიათის შესწავლა? ის მიხვდება, რომ დიადი, რომელიც ერთხელ არსებობდა, და, ყოველ შემთხვევაში, ერთხელ მაინც იყო შესაძლებელი, კვლავაც შესაძლებელი იქნება. ის გაბედულად მიისწრაფვის საკუთარ გზაზე, რადგან ეჭვს, რომელიც მას სისუსტის ჟამს მოიცავს, თითქოს შეუძლებელი რამ სურდეს, ყოველგვარი საფუძველი გამოეცლება. დავუშვათ, ვინმემ ირწმუნა, რომ დღევანდელ გერმანიაში მოდად ქცეული განათლებულობის ამოსაძირკვად საკმარისია ასი ნაყოფიერი, ახალი სულით აღზრდილი ადამიანი – რაოდენ გაამხნევებდა მას ის ფაქტი, რომ აღორძინების ხანის კულტურამ ამგვარი ასი ადამიანის ზურგზე გადაიარა.

და მაინც, მსგავს მაგალითზე დაყრდნობით, რაიმე ახალი რომ გვესწავლა, რა არამყარი და მყიფე, რა არაზუსტი იქნებოდა შედარება! რამდენი განსხვავებული რამ უნდა გამოგვრჩეს იმისთვის, რომ ეს გამაძლიერებელი გავლენა განხორციელდეს! რაოდენ ძალადობრივად უნდა ჩაიხშოს წარსულის ინდივიდუალობა საყოველთაო ფორმაში და, სრული შესაბამისობის მიზნით, ჩამოშორდეს ყველა მახვილი კუთხე თუ ხაზი! არსებითად, ის, რაც ერთხელ შესაძლებელი აღმოჩნდა, მეორედაც შესაძლებელი მაშინ გახდება, თუ პითაგორელების რწმენა მართებულია, რომ ციური სხეულის განლაგება შეესაბამება მსგავს მიწიერ განლაგებას, ცალკეულ, უმცირეს წვრილმანებამდე ისე, რომ ყოველთვის, როდესაც ვარსკვლავები განსაზღვრულად განლაგებოდნენ ერთმანეთისადმი, სტოიკოსი გაერთიანდებოდა ეპიკურელთან და მოკლავდნენ კეისარს, ხოლო ვარსკვლავთა სხვა განლაგებისას, კოლუმბი ამერიკას ხელახლა აღმოაჩენდა. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყოველ ჯერზე დედამიწა თავიდან გაითამაშებდა თავის პიესას მეხუთე აქტის შემდეგ, თუ ზუსტად იქნებოდა დად-

გენილი, რომ მოტივთა იგივე კვანძი, იგივე deus ex machina,[4] იგივე კატასტროფა განმეორდებოდა ზუსტად განსაზღვრული ინტერვალის შემდეგ, ძლიერი ადამიანი შეძლებდა მოესურვებინა მონუმენტური ისტორია, მისი სრული ხატისებრი ჭეშმარიტებით, ანუ ყოველი ფაქტი, მის ზუსტად გამოხატულ თავისებურებასა და განუმეორებლობაში: სავარაუდოდ, არა მანამ, სანამ ასტრონომები კვლავ არ იქცევიან ასტროლოგებად. მანამდე კი მონუმენტურ ისტორიას არ შეიძლება დასჭირდეს მსგავსი სრული შესაბამისობა: ის მუდამ მიაახლოებს არათანაბარს, განაზოგადებს და, საბოლოოდ, გაათანაბრებს მათ; ის მუდამ შეასუსტებს მოტივებისა და მოვლენების განსხვავებულობას, რათა causa-ს[5] ხარჯზე effectus[6] მონუმენტურად, სახელდობრ, სანიმუშოდ და მიბაძვის ღირსად წარმოადგინოს: იმგვარად, რომ მონუმენტურ ისტორიას – რადგან იგი გამომწვევ მიზეზებს მზერას არიდებს – მცირედი გადაჭარბებით შეიძლება ეწოდოს „თავისთავადი შედეგების“ კრებული, ვითარცა მოვლენებს, რომლებიც ყოველ ეპოქაზე მოახდენენ გავლენას. ზუსტადაც ისაა მსგავსი „შედეგი თავისთავად“, რაც სახალხო ზეიმებზე, რელიგიურ თუ ომის წლისთავებზე აღინიშნება. სწორედ ეს არ აძინებს პატივმოყვარე ადამიანებს; მას, როგორც ამულეტს, გულზე ატარებენ უნარიანი ნატურები, მაგრამ იგი არავითარ შემთხვევაში არაა მიზეზებისა და შედეგების ჭეშმარიტი ისტორიული Connexus,[7]

---

[4] „მანქანიდან გამოსული ღმერთი“. (ბერძ. ἀπὸ μηχανῆς θεός) – სიტყვათშეთანხმება აღნიშნავს ბერძნულ და რომაულ დრამებში ღმერთის სცენაზე დაშვების მომენტს, რაც საგანგებო ამწე მანქანით, ეორემით, ხდებოდა. ღმერთი წყვეტდა მოქმედების ბედს, „ხსნიდა კვანძს“. *(მთარმნელის შენიშვნა)*

[5] მიზეზი.

[6] შედეგი.

[7] ურთიერთკავშირი.

რომელიც სრულყოფილად გააზრებული, მხოლოდ დაამტკიცებდა, რომ მომავლისა და შემთხვევითობის კამათლით თამაშში ერთი და იგივე არასდროს მეორდება.

სანამ ისტორიული ნაწერების სული დიად ბიძგებშია, საიდანაც ძლიერი პიროვნება საზრდოობს, სანამ წარსული საამაყო მიბაძვად შეგვიძლია დავსახოთ და სანამ ვფიქრობთ, რომ შესაძლებელია წარსულის მიბაძვა და გამეორება – ის გარკვეული საშიშროების წინაშეა, შეიცვალოს, შელამაზდეს და, აქედან გამომდინარე, თავისუფალ გამონაგონს დაუახლოვდეს. ცხადია, არსებობენ ეპოქები, რომლებშიც სავსებით შეუძლებელია განსხვავება მონუმენტურ წარსულსა და მითურ გამონაგონს შორის: რადგან ამ სამყაროსგან შეიძლება იგივე სტიმულებს ვიღებდეთ, როგორც განსხვავებულისგან. წარსულის მონუმენტური გაგება თუ განაზრების სხვა ტიპებზეც ბატონობს, ვგულისხმობ ანტიკვარულსა და კრიტიკულს, მაშინ, ამის გამო, თვით წარსულს მიადგება ზიანი: მის დიდ ნაწილს დაივიწყებენ, შეზიზღდებათ და ის დაიწყებს დინებას ნაცრისფერი, უწყვეტი ნაკადის მსგავსად და მხოლოდ ცალკეული შეფერადებული ფაქტები წამოიწევიან კუნძულთა მსგავსად: იშვიათ პიროვნებებში, რომლებიც ამ ყველაფრის ფონზე გამოირჩევიან, თვალში ხვდებათ რაღაც არაბუნებრივი და საოცარი, როგორც ოქროს თეძოები, რომლის აღმოჩენა პითაგორას მოსწავლეებს მათ მასწავლებელში სურდათ. მონუმენტურ ისტორიას შეცდომაში შევყავართ ანალოგიების მეშვეობით: ის გვიზიდავს მაცდუნებელი მსგავსებით გაბედულსა და წინდაუხედავს შორის, შთაგონებულ ადამიანსა და ფანატიზმს შორის; ამგვარი ტიპის ისტორიას ნიჭიერი ეგოისტები და ენთუზიასტი გაიძვერები ხელთ როცა იგდებენ, მაშინ ნადგურდება იმპერიები, იხოცებიან დიდგვაროვნები,

ჩალდება ომები და რევოლუციები, ხოლო რიცხვი ისტორიული „თავისთავადი შედეგებისა“, ანუ შედეგისა საკმარისი საფუძვლის გარეშე, კვლავ მრავლდება. არ აქვს მნიშვნელობა, რამდენად შეიძლება გვემსახუროს მონუმენტური ისტორია, რათა შეგვახსენოს დიადი და აქტიური ადამიანებისთვის მიყენებულ ზიანზე, იქნება ეს კარგისთვის თუ ცუდისთვის, მაგრამ ეს ხდება, უპირველეს ყოვლისა, მაშინ, როდესაც უუნარონი და უმოქმედონი ეუფლებიან და მსახურად დაიყენებენ მონუმენტურ ისტორიას.

მოვიყვანოთ უმარტივესი და ყველაზე გავრცელებული მაგალითი: წარმოვიდგინოთ, არაშემოქმედი და ნაკლებ-შემოქმედი ნატურები, რომლებიც მონუმენტური ხელოვნების ისტორიის ჯავშნით არიან შემოსილები და შეირაღებულები: ასეთ შემთხვევაში, ვის წინააღმდეგ აღმართავენ ისინი საკუთარ იარაღს? მათი დაუძინებელი მტრის – ძლიერი შემოქმედი სულების წინააღმდეგ, ანუ მათ წინააღმდეგ, მხოლოდ რომლებსაც ძალუძთ ნამდვილად ისწავლონ ისტორიის ამგვარი ტიპისგან, ანუ ისწავლონ ის, რაც საჭიროა სიცოცხლისთვის და შეძლონ ნასწავლი უფრო მაღალი ტიპის პრაქტიკად აქციონ. მათ გზას გადაულობავენ და სუნთქვა გაუძნელდებათ, როდესაც დიადი წარსულის რომელიმე სანახევროდ-შეცნობილი მონუმენტის გარშემო კერპთაყვანისმცემლურად და ჭეშმარიტი გულმოდგინებით ვცეკვავთ, თითქოს გვსურდა, გვეთქვა: „ხედავთ, ესაა ნამდვილი და ჭეშმარიტი ხელოვნება: არ მიაქციოთ ყურადღება მათ, ვინც ეძიებს და ისწრაფვის!“ როგორც ჩანს, ეს მოცეკვავე ბრბო „კარგი გემოვნების“ პრივილეგიას ფლობს: რადგან შემოქმედი ყოველთვის იმათ მიერ იდევნებოდა, ვისაც მხოლოდ თვალის მიდევნება შეეძლო და ვინც თავად ხელს არ ანძრევდა; როგორც, მაგალითად, ყოველ ეპოქაში პოლიტიკურ თემაზე მოლაყბე უფრო ჭკვიანად

და გონივრულად წარმოჩნდებოდა, ვიდრე მმართველი სახელმწიფო მოღვაწე. საყოველთაო ხმის მიცემისა და უმრავლესობის წესს თუ გადავიტანთ ხელოვნების სფეროში და ხელოვანს ესთეტიკური უსაქმურების ტრიბუნალის წინაშე თავის დაცვას ვაიძულებთ, შეიძლება წინასწარ დავიფიცოთ, რომ მას განსჯიან სწორედ იმის გამოისობით, რომ მისმა მსაჯულებმა მონუმენტური ხელოვნების (ანუ იმ ხელოვნებისა, რომელიც ნახსენები განმარტების შესაბამისად, ყოველ დროში „იწვევდა შედეგს“) კანონი საყოველთაოდ გამოაცხადეს: რადგან მათთვის ყველაფერს, რაც ჯერაც არაა მონუმენტური და, რაც თანამედროვეა, უპირველეს ყოვლისა, ისტორიის საჭიროება აკლია, შემდეგ – ისტორიისკენ ნათელი მიდრეკილება, დაბოლოს, – ისტორიის ავტორიტეტი. მეორე მხრივ, მათ თავიანთი ინსტინქტი კარნახობთ, რომ ხელოვნება ხელოვნებითვე შეიძლება განადგურდეს: რომ, არავითარ შემთხვევაში, მონუმენტური არ უნდა განმეორდეს და ამისთვის გამოიყენება ის, რასაც წარსულიდან მიუღია მონუმენტურის ავტორიტეტი. ისინი იმიტომ არიან ხელოვნების მცოდნეები, რომ ხელოვნების მოშორება სურთ; ისინი ექიმების მსგავსად იქცევიან, სინამდვილეში კი, შხამების ერთმანეთში შერევა განუზრახავთ; ამგვარად ხვეწენ თავიანთ ენასა და გემოვნებას, რათა საკუთარი გულზიზღიანობა გაამართლონ: აი, რატომ უარყოფენ თავგამოდებით ყოველივე იმას, რასაც უფრო ნაყოფიერი ხელოვნების ნაწარმოები სთავაზობს. მათ არ სურთ, რაიმე დიადი წარმოიშვას: მათი იარაღია ფრაზა – „შეხედეთ, დიადი უკვე შექმნილია“ – სინამდვილეში კი, უკვე არსებული ეს დიადი, ისევე ნაკლებად ალელვებთ, როგორც ის, რაც შექმნის პროცესშია: ამას მთელი მათი სიცოცხლე მოწმობს. მონუმენტური ისტორია შესანიღბი სამოსია, რომელშიც მათი დროის ძლიერთა და დიადთა

წინაალმდეგ მიმართული ზიზღი თავს გასცემს წარსულის დიად და ძლიერ ადამიანთათვის კმაყოფილი თავის მოდრეკით. ამით ისინი ისტორიული დაკვირვების ამ მეთოდის ნამდვილ აზრს საპირისპიროში მალავენ; მიუხედავად იმისა, აცნობიერებენ თუ არა ამას, ისინი იქცევიან ისე, თითქოს მათი დევიზი ყოფილიყოს: „დაე, მკვდრებმა დამარხონ ცოცხლები“.

ისტორიის სამივე არსებული ტიპი, საკუთარი კანონის მიხედვით, შეიძლება მხოლოდ განსაზღვრულ ნიადაგსა და კლიმატში გაიზარდოს: ყოველივე სხვის მიმართ ის უსარგებლო სარეველად იქცევა. ადამიანი, რომელსაც დიადის შექმნა სურს, თუ საერთოდ ესაჭიროება წარსული, მას მონუმენტური ისტორიის მეშვეობით დაეუფლება; ამის საპირისპიროდ, მას, ვისაც ნაცნობსა და ძველად დაფასებულზე დაჟინება განუზრახავს, წარსულზე, როგორც ანტიკვარულ ისტორიაზე ზრუნავს; და მხოლოდ მას, ვისაც დღევანდელობის საჭიროებები გულს უწუხებს და ვისაც ნებისმიერ საფასურად სურს მათი ჩამოშორება, კრიტიკული ანუ მიმართულების მიმცემი და განმსჯელი ისტორია ესაჭიროება. მცენარის უმიზნო გადანერგვით ბევრი ბოროტება წარმოიშობა: კრიტიკოსი – საჭიროების გარეშე, ანტიკვარი – პატივისცემის გარეშე, დიადის მცოდნე – დიადის შეძლების გარეშე. ისინი ამგვარი, სარეველად ამოზრდილი, საკუთარი მშობლიური ნიადაგისგან გაუცხოებული და ამიტომაც, გადაგვარებული მცენარეები არიან.

3

ამრიგად, მეორე მხრივ, ისტორია ეკუთვნით მათ, ვინც მას იცავს და აფასებს, ვინც რწმენითა და სიყვარულით იყურება იქით, საიდანაც ის წარ-

მოიშვა და სადაც ჩამოყალიბდა; ამავდროულად, ამ დაფასებით, იგი ერთგვარად მადლობას იხდის საკუთარი არსებობის გამო. მზრუნველი ხელით უფრთხილდება რა უხსოვარი დროიდან არსებულს, მას სურს გარემოებები, რომელშიც თავად წარმოიშვა, შეუნახოს იმათ, ვინც მის შემდეგ უნდა დაიბადნონ; ის ამგვარად ემსახურება სიცოცხლეს. ასეთ სულში წინაპართა ოჯახური გარემო მნიშვნელობას იცვლის – ამჯერად ეს გარემო ეპატრონება მის სულს. მცირე, შეზღუდული, მომპალი და დაძველებული საკუთარ პირად ღირებულებას და ხელშეუხებლობას იმით იცავს, რომ ანტიკვარული ტიპის ადამიანის შემნახველი და დამფასებელი სული ამ საგანში გადასახლდება და მასში მშობლიურ ბუდეს მოიწყობს. საკუთარი ქალაქის ისტორია მის ისტორიად იქცევა; მისთვის კედლები, კოშკოვანი კარიბჭე, ქალაქის საბჭოს დადგენილება და სახალხო ზეიმი იგივეა, რაც მისი ახალგაზრდობის სურათებით გალამაზებული დღიური; ანტიკვარული ტიპის ადამიანი ყოველივე ამაში პოულობს საკუთარ თავს, საკუთარ ძალას, სიბეჯითეს, ვნებას, განსჯას, სისულელესა და უაზრო თვისებებს. აქ ოდესღაც შესაძლებელი იყო ცხოვრება, – ეუბნება ის საკუთარ თავს, – ამიტომაც, აქ ახლაც იცხოვრება და ცხოვრება მომავალშიც იქნება შესაძლებელი, რადგან უდრეკნი ვართ და ერთ ღამეში ვერავინ გაგვტეხს. ამგვარად, ამ „ჩვენი“-ს მეშვეობით, იგი შეჰყურებს წარმავალ, საკვირველ ინდივიდუალურ ცხოვრებას და საკუთარ თავს კერის, მოდგმისა და ქალაქის სულად შეიგრძნობს. დროდადრო დამაბნელებელი და დამაბნეველი საუკუნეების მიღმა არსებულ მისი ერის სულს, ვით საკუთარს, ისე მიესალმება. მოვლენათა გრძნობადი წვდომის უნარი, წინასწარი განჭვრეტა, თითქმის წაშლილი კვალის გაყოლის უნარი, გადაწერილი წარსულის

სწორად წაკითხვა ინსტინქტურად, პალიმპსესტისა და თვით პოლიპსესტის სწრაფი გაგება – ეს მისი ნიჭი და ღირსებებია. მათგან დატყვევებული გოეთე იდგა ერვინ ფონ შტაინბახის მონუმენტის წინ; მისი გრძნობის ქარიშხალში მათ შორის განფენილი ისტორიული ღრუბლის საფარი გაირღვა: მან კვლავაც პირველად დაინახა გერმანული ნაწარმოები – „უხეში გერმანული სულიდან ამოზრდილი“. ამგვარი აზრი და მიდრეკილება მიუძღოდა რენესანსის დროინდელ იტალიელებს და გამოაღვიძა მის პოეტებში ანტიკური იტალიის გენია, „უძველესი მუსიკალური სიმების ახლებური გაჟღერებისთვის“, როგორც იაკობ ბურკჰარდტი ამბობს. თუმცა ისტორიულ-ანტიკვარულ დაფასებას უმაღლესი ღირებულება გააჩნია იქ, სადაც ის მოკრძალებულ, უხეშ და სულაც საბრალო მდგომარეობაში, რომელშიც ინდივიდი ან ხალხი ცხოვრობს, სიამოვნებისა და კმაყოფილების მამოძრავებელ, მარტივ გრძნობას ავრცელებს. ამ აზრით, მაგალითად, ნიბურმა მოკრძალებული გულახდილობით ალიარა, რომ სიამოვნებით იცხოვრებდა ჭაობიან ადგილას და ტრამალებში თავისუფალ გლეხებს შორის, რომელთაც საკუთარი ისტორია გააჩნიათ, და, ამავდროულად, სავსებით არ მოისაკლისებდა ხელოვნებას. როგორ შეიძლება ისტორია უკეთ ემსახუროს სიცოცხლეს, თუ არა იმით, რომ ნაკლებად გამორჩეული ჯიში და მაცხოვრებლები სამშობლოსთან და მშობლიურ ჩვეულებებთან დააკავშიროს, აქციოს მკვიდრად და დაიცვას მიდრეკილებისგან, უცხო ქვეყანაში ეძიონ ბედნიერება და ამისთვის სხვებთან გააჩალონ ბრძოლა? დროდადრო სიჯიუტედ და გაუაზრებლობად მოსჩანს ის, რაც ცალკეულ ადამიანს მის თანამოძმესთან და გარემოსთან, ამ დამლლელ ჩვეულებასთან, ამ ამაყ მთის თხემთან მიამაგრებს; თუმცა ეს ყველაზე სასარგებლო და მთლიანობისთვის

ყველაზე მოსახერხებელი უგუნურებაა: ეს კარგად უწყის ყველამ, ვისაც ნათლად წარმოუდგენია ხეტიალის სამოგზაურო ვნებების საშიში შედეგები, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც იგი მთლიან ეროვნულ მიდრეკილებებს მოიცავს, ანდაც ახლოდან ხედავს იმ ხალხის მდგომარეობას, რომელმაც თავისი წარსულის ერთგულება დაკარგა და ახლის, მარად ახლის მოუთოკავი კოსმოპოლიტური არჩევანისა და ძიების მსხვერპლად იქცა. ამის საპირისპიროა გრძნობა საკუთარი ფესვებისა, – ხის კეთილდღეობის შეგრძნება, საკუთარი თავის გააზრება არა სავსებით შემთხვევითობად და პირობითობად, არამედ წარსულიდან ამოზრდილ მემკვიდრედ, ყვავილად ან ნაყოფად და, მისი მეშვეობით, საკუთარი არსებობის გამართლება – ეს არის ის, რასაც ადამიანები სიყვარულით უწოდებენ ნამდვილ ისტორიულ გრძნობას.

ცხადია, ეს არაა ვითარება, სადაც ადამიანს მეტი შესაძლებლობა ექნებოდა, წარსული წმინდა ცოდნად გადაემუშავებინა; ამრიგად, აქ იმას ვაწყდებით, რასაც მონუმენტურ ისტორიაშიც შევხვდით: იტანჯება თავად წარსული, სანამ ისტორია ემსახურება სიცოცხლეს და სანამ ცხოვრებისეული მიდრეკილებები მასზე ბატონობენ. უფრო თავისუფალი ხატ-სახის მეშვეობით თუ ვიტყვით: ხე საკუთარ ფესვებს უფრო მეტად გრძნობს, ვიდრე ხედავს; თუმცა ამ გრძნობის სიდიდე ხილული ტოტების სიდიდითა და სიძლიერით გაიზომება. ცხადია, ხე ძალიან ხშირად შეცდომის მსხვერპლად იქცევა, მაგრამ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რაოდენ დიდია ხის შეცდომები, როცა საქმე ეხება მის გარემომცველ ტყეს, რომლის შესახებაც მან უწყის და რომლის არსებობასაც გრძნობს მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ტყე ხელს უშლის ან ხელს უწყობს მის ზრდას – მაგრამ არა სხვაგვარად. ადამიანის, საქალაქო კომუნისა, თუ მთლიანი ერის ანტიკვარულ

შეგრძნებას თვალთახედვის მეტად შეზღუდული არეალი გააჩნია; ბევრ რაიმეს საერთოდ ვერ აღიქვამს, და იმ ცოტას, რასაც ხედავს, ზედმეტად ახლოდან და განცალკევებულად ხედავს; მას არ შეუძლია გაზომოს და ამიტომაც, ყოველივეს თანაბარმნიშვნელოვნად აღიქვამს და შესაბამისად, ყოველივე ცალკეულს – ზედმეტად მნიშვნელოვნად. რადგან მისთვის წარსულის მოვლენების შესახებ არ არსებობს ღირებულებითი განმასხვავებლები და პროპორციები, რომლებიც საგნებს ერთმანეთს მართებულად შეადარებდა, არამედ – მოვლენების მხოლოდ ისეთი საზომები და პროპორციები, რომლებიც წარსულში ანტიკვარულად მაყურებელ ცალკეულ ადამიანს ან ერს მიემართება.

ამ დროს, ყოველთვის მეტად ახლოსაა ერთი საშიშროება: საბოლოოდ, ყოველივე ძველი და წარსული, რაც კი საერთოდ ჩვენი თვალთახედვის არეში ექცევა, ყოველგვარი განსჯის გარეშე, დაფასების ღირსად მიიჩნევა, ხოლო ყოველივეს, რაც ამ ძველის წინაშე მუხლს არ მოიყრის, ანუ ყოველ ახალსა და შექმნის პროცესში მყოფს, უარყოფენ ან მის მიმართ მტრულად განეწყობიან. ბერძნები სწორედ ამგვარად იტანდნენ სახვით ხელოვნებაში იერატიკულ სტილს თავისუფალი და დიადი სტილის გვერდით, ხოლო, საბოლოოდ, არა მხოლოდ შეეგუვნენ წაწვეტებულ ცხვირსა და გამყინავ ღიმილს, არამედ ისინი გემოვნების განსაკუთრებულ დახვეწილობად აქციეს. ხალხის გრძნობა თუ ამგვარად უხეშდება, თუ ისტორია წარსულ ცხოვრებას ისე ემსახურება, რომ სიცოცხლის გაგრძელებასა და განსაკუთრებით, ამაღლებულ სიცოცხლეს მარხავს, თუ ისტორიული გრძნობა კი არ ინახავს სიცოცხლეს, არამედ მის მუმიფიცირებას ახდენს, მაშინ ხე იღუპება, თუმცა არაბუნებრივად, თანდათანობით, – ზევიდან ფესვებისკენ და, საბოლოოდ, ფესვებიც

მთლიანად კვდება. თავად ანტიკვარული ისტორია უცებ გადაგვარდება, რადგან თანამედროვეობის ჟანსალი ცხოვრება მას ალარ წაახალისებს და შთაცემა; რჩება მხოლოდ მეცნიერული ჩვევა, რომელიც ეგოისტური თვითკმაყოფილებით ტრიალებს თავისი ცენტრის გარშემო. შემდეგ მომსწრენი ვხდებით ბრმა შეგროვების მანიის უხამსი წარმოდგენისა, ყოველივეს დაუღალავად დახვავებისა, რასაც კი უარსებია. ადამიანი საკუთარ თავს დრომოჭმულ ატმოსფეროში ხვევს. ანტიკვარული მანერის წყალობით, ის ახერხებს უფრო მნიშვნელოვანი მიდრეკილებები და კეთილშობილური საჭიროებები დაიყვანოს დაუკმაყოფილებელ სწორად რომ ვთქვათ, წარსულისადმი ცნობისმოყვარეობამდე და ყოვლისმცოდნეობამდე; ხშირად იგი ისე ღრმად იძირება, რომ საბოლოოდ ნებისმიერ საკვებს თანხმდება და სიამოვნებით ყლაპავს ბიოგრაფიული წვრილმანების მტვერს.

თუმცა მაშინაც კი, როცა ასეთი გადაგვარება არ ხდება და როცა ანტიკვარულ ისტორიას არ ეცლება ნიადაგი, რომელზეც შეიძლება ის სიცოცხლის საკეთილდღეოდ ამოიზარდოს, მაინც არსებობს საკმარისი საფრთხე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის ზედმეტად ძლიერი იზრდება და გადაფარავს წარსულის გააზრების სხვა საშუალებებს. ანტიკვარულ ისტორიას მხოლოდ სიცოცხლის შენახვა შეუძლია და არა მისი წარმოშობა. ამიტომაც, ის ყოველთვის ამცირებს შექმნის პროცესში მყოფის მნიშვნელობას, რადგან მართებული შეფასებისთვის არ გააჩნია ის ბასრი ინსტინქტი, რომელსაც, მაგალითად, მონუმენტური ისტორია ფლობს. ამის გამო, ის აფერხებს ახლისაკენ ენერგიულ სწრაფვას, ახდენს აქტიური ადამიანის ძალების პარალიზებას, – აქტიური ადა-

მიანისა, რომელიც ყოველთვის ამცირებს და უნდა დაამციროს კიდეც ზოგიერთი სიწმინდე. თავად ის ფაქტი, რომ რაღაც დაბერდა, უკვე წარმოშობს მისი უკვდავყოფის მოთხოვნილებას, რადგან ადამიანი როდესაც იაზრებს, თავისი არსებობის მანძილზე რა გადაიტანა ყოველმა ამგვარმა სიძველემ, – მამების ძველმა ჩვეულებამ, რელიგიურმა რწმენამ, შთამომავლობით მიღებულმა პოლიტიკურმა უფლებამ, – მთელი ამ ხნის განმავლობაში, მოწიწებისა და პატივისცემის რა ოდენობა ერგო ინდივიდებისგან და თაობებისგან, კადნიერებად და დანაშაულადაც კი იქცევა ამგვარი სიძველის რაიმე ახლით ჩანაცვლება და აგრეთვე, მოწიწებისა თუ პატივისცემის ღირსი მრავალი საგნისათვის შექმნის პროცესში მყოფი ან აწმყოს ცალკეული საგნის დაპირისპირება.

ახლა კი, ცხადია, თუ რამდენად ესაჭიროება ადამიანს ისტორიის მონუმენტური და ანტიკვარული განაზრებების სახეთა გვერდით მესამე სახე – კრიტიკული; ამ შემთხვევაშიც, სიცოცხლის სამსახურისთვის. მას უნდა გააჩნდეს ძალა და ხანდახან გამოიყენოს ის წარსულის განადგურებისთვისა და დანგრევისთვის, რათა ცხოვრების გაგრძელება შეძლოს; ამ მიზანს იმით მიაღწევს, რომ წარსულს ისტორიის სამსჯავროზე გაიტანს, ზედმიწევნით დაკითხავს და, საბოლოოდ, განაჩენს გამოუტანს; თუმცა ყოველგვარი წარსული გასამართლების ღირსია, რადგან ასეთია ყოველგვარი ადამიანური საქმიანობა: მათში მოცემულია ადამიანური ძალა და სისუსტე. აქ თავისუფლება არ ადგენს სამართალს და კეთილშობილება არ კარნახობს განაჩენს, არამედ მხოლოდ სიცოცხლე, როგორც ბნელი, მამოძრავებელი, დაუკმაყოფილებელი და საკუთარი თავის დამფასებელი ძალა. მისი განაჩენი მუდამ დაუნდობელი და უსამართლოა, რადგან არასდროს

გამომდინარეობს შემეცნების წმინდა წყაროდან; სხვადასხვა განაჩენი სამართლიანობით რომ ყოფილიყო ნაკარნახევი, ისინი შემთხვევათა უმრავლესობაში მსგავსი იქნებოდა. „რადგან ყოველივე, რაც წარმოიშობა, სიკვდილის ღირსია. ამიტომაც, უკეთესი იქნებოდა, რომ არაფერი შობილიყო“. საჭიროა დიდი ძალა, რათა შევძლოთ სიცოცხლე და დავივიწყოთ, თუ სიცოცხლე და უსამართლობა რამდენადაა ერთი და იგივე. ლუთერმაც კი თქვა ერთხელ, რომ მსოფლიო ღმერთის გულმავიწყობის გამო შეიქმნა: ღმერთს რომ წარმოედგინა „მძიმე არტილერია“, მსოფლიოს არ შექმნიდა. თუმცა, ამავე დროს, იგივე სიცოცხლე, რომელიც დავიწყების უნარს საჭიროებს, დავიწყების შესაძლებლობის დროებით შეწყვეტას მოითხოვს; რადგან აუცილებელია ნათელი მოეფინოს იმას, თუ რამდენი არასამართლიანობაა რომელიმე მოვლენის, მაგალითად: – პრივილეგიის, კასტის, დისტანციის[8] – არსებობაში და რაოდენ იმსახურებს ის სიკვდილს. შემდეგ განვიხილავთ მის წარსულს კრიტიკულად, შემდეგ დანით დავწვდებით მის ფესვებს და უხეშად გადავუვლით მის სიწმინდეებს. ეს ყოველთვის მეტად საშიში პროცესია, საშიში თავად სიცოცხლისთვის: ხოლო ის ადამიანები ან ეპოქები, რომლებიც სიცოცხლეს ამგვარად ემსახურებიან, ანუ წარსულს ასამართლებენ და უარყოფენ, ყველაზე საშიშნი არიან და თავადაც დიდ საფრთხეში აღმოჩნდებიან. რადგანაც ჩვენ წინა თაობების შედეგებს წარმოვად-

---

[8] ნიცშეს ფილოსოფიაში სიტყვა – „დისტანცია“ – გამოიყენება სოციალურ კლასთა შორის არსებული მენტალური, მსოფლმხედველობრივი დაშორების აზრით; ნიცშე თავის გვიანდელ ნაწერებში საკმაოდ დადებით კონტექსტში საუბრობს „დისტანციის პათოსზე“, რაც არისტოკრატიის პლებსისადმი მიმართებას ახასიათებდა; ნიცშე ამ მიმართებას მორალის წარმომავლობის ერთ-ერთ უმთავრეს წინაპირობად მიიჩნევს. *(მთარმნელის შენიშვნა)*

გენთ, ჩვენ აგრეთვე შედეგები ვართ მათი არასწორი ხედვებისა, მიდრეკილებებისა, შეცდომებისა და დანაშაულებისა; შეუძლებელია, სავსებით გამოვეყოთ ამ ჯაჭვს. მაშინაც კი, როდესაც გავკიცხავთ მათ არასწორ შეხედულებებს და თავს მათგან თავისუფლად მივიჩნევთ, ამით არ გაქარწყლდება ფაქტი, რომ მათი შთამომავლები ვართ. საუკეთესო შემთხვევაში, საქმე მიგვყავს კონფლიქტამდე შთამომავლობით მიღებულ, ჩვეულებაზე დაფუძნებულ ბუნებასა და ჩვენს ცოდნას შორის და – ომამდეც კი ახალ, მკაცრ დისციპლინასა და უხსოვარი დროიდან აღზრდით ათვისებულ თუ თანდაყოლილ უნარებს შორის; ჩვენ ვნერგავთ ახალ საჭიროებებს, ახალ ინსტინქტს, მეორე ბუნებას ისე, რომ ამოვძირკვავთ პირველს. ეს მცდელობაა a posteriori[9] შევქმნათ ისეთი წარსული, რომლიდანაც ვისურვებდით, წარმოვშობილიყავით, იმ წარსულის საპირისპიროდ, რომლიდანაც სინამდვილეში წარმოვიშობით; ეს მცდელობა ყოველთვის სახიფათოა ისევე, როგორც არც ისე მარტივია იპოვნო ზუსტი საზღვარი წარსულის უარყოფისა, რადგანაც მეორე ბუნება, როგორც წესი, პირველზე სუსტია. ძალიან ხშირად საქმე მხოლოდ იმის გაგებით შემოიფარგლება, თუ რა არის კარგი, მისი ცხოვრებაში განხორციელების გარეშე, რადგან გვესმის თუ რა არის კარგი, მაგრამ არ შეგვიძლია მისი განხორციელება. თუმცა დროდადრო გამარჯვებას ვაღწევთ, ხოლო მებრძოლებისთვის, – მათთვის, ვინც კრიტიკულ ისტორიას სიცოცხლის მიზნებისთვის იყენებს, – თავისებური ნუგეში რჩება: ცოდნა იმისა, რომ ეს პირველი ბუნება ოდესღაც მეორე იყო და რომ ყოველი მეორე ბუნება, იმარჯვებს რა ბრძოლაში, პირველ ბუნებად იქცევა.

---

[9] სიტყვასიტყვით – „უკანასკნელიდან“; ფაქტობრივ გამოცდილებაზე დამყარებული; *(მთარმნელის შენიშვნა)*

4

ისტორია ამგვარად შეიძლება ემსახუროს სიცოცხლეს. ყოველ ადამიანსა და ხალხს, თავიანთი მიზნების, ძალებისა და საჭიროებათა მიხედვით, ისტორიის განსაზღვრული ცოდნა სჭირდება, როგორც მონუმენტურის, ისე ანტიკვარულისა და კრიტიკულისაც: მაგრამ არა როგორც ცხოვრებაზე მხოლოდ მაყურებელ წმინდა მოაზროვნეთა გროვას, არა ცოდნას დახარბებულ, მხოლოდ ცოდნით კმაყოფილ ერთეულებს, რომელთათვისაც თავად ცოდნის გამრავლებაა მიზანი, არამედ სჭირდება მხოლოდ სიცოცხლის მიზნებისათვის და, ამავდროულად, ამ მიზნის ბატონობით და მისი ამაღლებული წინამძღოლობით. ის, რომ ეპოქის, კულტურის, ხალხის ბუნებრივი დამოკიდებულება ისტორიასთან ამგვარია (შიმშილით გამოწვეული, მოთხოვნილებათა ხარისხით რეგულირებული, თანდაყოლილი პლასტიკური ძალით საზღვრებში მოქცეული), ის, რომ წარსულის ცოდნა ყოველ დროში ფასობს მხოლოდ მომავლისა და აწმყოს სამსახურით და არა აწმყოს დასუსტებით და არც სასიცოცხლო ენერგიებით აღსავსე მომავლის ძირ-ფესვიანად ამოძირკვით – ეს ყოველივე ნათელია ისევე, როგორც ჭეშმარიტება და მათაც არწმუნებს, ვინც ამისთვის ისტორიული მტკიცებულებების მოყვანას არ ითხოვს.

ახლა კი, მსწრაფლ მივაპყროთ მზერა ჩვენს დროს! ჩვენ გვეშინია და უკან გავრბივართ: სადღაა ცხოვრებისა და ისტორიისადმი ხსენებული მიმართების ის სიცხადე, ბუნებრიობა და სიწმინდე: რა დაბნეულად და გადაჭარბებულად, რა შფოთით ზვირთდება ეს პრობლემა ჩვენს თვალწინ! ეგებ, ეს ჩვენი, ანუ დამკვირვებლების, ბრალია? ეგებ, სიცოცხლისა და ისტორიის თანავარსკვლავედი

მართლაც შეიცვალა იმით, რომ მათ შორის მეტად მგრძნობიარე ვარსკვლავმა შეაღწია? დაე, სხვებმა ამტკიცონ, რომ არასწორად ვხედავთ მოვლენებს: ჩვენ კი გვსურს განვაცხადოთ, თუ რას ვგულისხმობთ დანახულში: მანათობელი და დიდებული ვარსკვლავი მართლაც განლაგებულა მათ შორის ისე, რომ თანავარსკვლავედი შეცვლილია – მეცნიერებით, იმის მოთხოვნით, რომ ისტორია მეცნიერება უნდა იყოს. ახლა ცხოვრება კი ალარ განაგებს და არ იმორჩილებს ცოდნას წარსულის შესახებ: ნაცვლად ამისა, ყოველგვარი სასაზღვრო ნიშნები ამოტრიალებულია და ყოველივე, რაც კი ერთხელ ყოფილა, ადამიანებს თავზე ემხობა. ყოველმა პერსპექტივამ გადაინაცვლა ძალიან უკან – ქმნადობის პროცესში, ძალიან უკან – დაუსრულებელ სილრმეებში. არც ერთი თაობა არ შესწრებია ასეთ არნახულ სანახაობას, როგორსაც ამას ახლა უნივერსალური განვითარების მეცნიერება – ისტორია წარმოგვიდგენს. თუმცალა, ცხადია, წარმოგვიდგენს მისი დევიზის სახიფათო გამბედაობით: Fiat veritas, pereat vita.[10]

ახლა კი წარმოდგენა შევიქმნათ იმ სულიერ პროცესზე, რომელიც, ამ ყოველივეს ფონზე, თანამედროვე ადამიანის სულში მიმდინარეობს. ისტორიული ცოდნა ულევი წყაროდან მოედინება – მუდამ ახლიდან და ახლიდან; უცხო და კავშირის არმქონე მრავლდება, მეხსიერება ყველა კარს აღებს და მაინც, ის არასაკმარისად ფართოდაა გაღებული; ბუნება ძალიან ცდილობს ამ უცხო სტუმრების მიღებას, განაწილებას და დაფასებას, მაგრამ თავად ისინი ეომებიან ერთმანეთს და აუცილებლობად მოსჩანს, რომ ბუნებამ ყველა მათგანი უნდა დაამარცხოს და დაიპყროს, რათა მათ ბრძოლაში თავად არ განადგურდეს.

---

[10] „დაე, აღსრულდეს ჭეშმარიტება, თუგინდ სიცოცხლე დაღუპოს“.

მსგავსი უწესრიგო, ქარიშხლიანი და სამარი მეოჯახეობის ჩვეულება თანდათანობით მეორე ბუნებად იქცევა, თუმცა ზედმეტია იმის თქმა, რომ ეს მეორე ბუნება ბევრად უფრო სუსტია, ბევრად მოუსვენარია და, ყოველი თვალსაზრისით, ნაკლებ ჯანმრთელია, ვიდრე პირველი. საბოლოოდ, თანამედროვე ადამიანი თან დაატარებს მოუნელებადი ცოდნის ქვების წარმოუდგენელ რაოდენობას, რომელიც სავსებით შესაძლებელია „ხმამაღლა ბუყბუყებდეს მუცელში“, როგორც ეს ზღაპრებშია ნათქვამი. ამ ხმაურით თავს გასცემს თანამედროვე ადამიანის ყველაზე თავისებური მახასიათებელი: უცნაური წინააღმდეგობა შინაგანისა, რომელიც გარეგანს არ შეესატყვისება, გარეგანთან, რომელიც შინაგანს არ შეესაბამება – დაპირისპირება, რომელიც ძველი ხალხებისთვის უცხო იყო. სიჭარბეში, შიმშილის გარეშე და, უფრო მეტიც, საჭიროებასთან დაპირისპირებით მიღებული ცოდნა, – მუშაობს არა როგორც გარდამქმნელი, გარეთ მიმართული მოტივი, არამედ იმალება ქაოსურ შინაგან სამყაროში, რომელსაც ხსენებული თანამედროვე ადამიანი იშვიათი სიამაყით, მისთვის დამახასიათებელ „სულიერებას“ უწოდებს. ასეთ შემთხვევაში, ამბობენ, რომ გააჩნიათ შინაარსი, მაგრამ მხოლოდ ფორმას მოისაკლისებენ; თუმცა ყველა ცოცხალი არსებისთვის ეს მეტად შეუსაბამო წინააღმდეგობაა; ჩვენი თანამედროვე განათლება სწორედ იმიტომაა უსიცოცხლო, რომ მისი წარმოდგენა შეუძლებელია ამ წინააღმდეგობის გარეშე. ეს კი ნიშნავს იმას, რომ იგი არის არა ჭეშმარიტი განათლება, არამედ ცოდნის ტიპი განათლების შესახებ, ფიქრი და შეგრძნებები განათლებაზე; მისგან არ მომდინარეობს განათლების იმპერატივი. ამის საწინააღმდეგოდ, ის, რაც ნამდვილი მოტივია და რაც ქმედებაში ვლინდება, ხშირ შემთხვევაში, მეტს არაფერს ნიშნავს, თუ არა

დაუინტერესებელ პირობითობას, საცოდავ მიბაძვას ან უხეშ გრიმასასაც კი. შინაგან სამყაროში მოსვენებას ჰპოვებს შეგრძნება, იმ გველის მსგავსად, რომელმაც კურდღელი ბოლომდე გადასანსლა და შემდეგ, მშვიდად და წყნარად ეფიცხება მზეს და აუცილებლის გარდა ყველა მოძრაობას თავს არიდებს. შინაგანი პროცესი ახლა თვითმიზნად იქცა – ეს ხომ ჭეშმარიტი „განათლებაა“. ყოველ დამკვირვებელს ერთი სურვილი გაუჩნდება: ამგვარი განათლება მოუნელებლობისგან არ დაიღუპოს. მაგალითად, მსგავსი დამკვირვებლის როლში ბერძენი რომ წარმოვიდგინოთ, სავარაუდოდ, ეს უკანასკნელი დაასკვნიდა, რომ ახალი ადამიანებისთვის „განათლებული“ და „ისტორიულად განათლებული“ ისე მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი, თითქოს, ისინი ერთი და იგივე ყოფილიყვნენ და მხოლოდ სიტყვათა რაოდენობით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. ის თავის მოსაზრებას თუ გააჟღერებდა, რომ ადამიანი შეიძლება განათლებული იყოს, მაგრამ სრულიად არ იყოს ისტორიულად განათლებული, ბევრი იფიქრებდა, რომ მისი სიტყვები არასწორად გაიგო და თავს გააქნევდა. არც თუ ისე შორეული წარსულის ეს კარგად ნაცნობი ხალხი – მე ზუსტადაც ბერძნებს ვგულისხმობ – თავისი უდიდესი ძალმოსილების პერიოდში შეუპოვრად იცავდა არაისტორიულ გრძნობას: თანამედროვე ადამიანი იმ სამყაროში ჯადოქრობის მეშვეობით რომ დავაბრუნოთ, ბერძნებს მეტად გაუნათლებლებად მიიჩნევდა, რითაც, ცხადია, თანამედროვე განათლების გულმოდგინედ შენილბულ საიდუმლოს სახალხო დაცინვისთვის გაამჟღავნებდა: ჩვენ, თანამედროვეებს, საკუთარი ხომ არაფერი გაგვაჩნია. მხოლოდ იმიტომ, რომ უცხო ეპოქებით, წეს-ჩვეულებებით, ხელოვნებით, ფილოსოფიური მოძღვრებებით, რელიგიებით, ცოდნით

ვიტვირთებით და გადავიტვირთებით, ყურადღების ღირსად გადავიქცევით; სახელდობრ, – მოსიარულე ენციკლოპედიებად, რადაც ჩვენს დროში დაკარგული ძველი ბერძენი მიგვიჩნევდა. ადამიანები ხომ ენციკლოპედიაში მხოლოდ იმას აფასებენ, რაც შიგნითაა, მის შინაარსში და არა გარეგანში, არც ყდაში და არც გარეკანში. ამრიგად, მთელი თანამედროვე განათლება არსობრივად შინაგანია. წიგნის დამკაბადონებელმა ამასთან დაკავშირებით გარეკანზე რალაც დაბეჭდა: „შინაგანი განათლების სახელმძღვანელო გარეგანი ბარბაროსებისთვის“. სინამდვილეში, შინაგანისა და გარეგანის დაპირისპირება უფრო მეტად ბარბაროსულად აქცევს გარეგანს, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ უხეში ხალხი მხოლოდ საკუთარი მყარი საჭიროებების მიხედვით განვითარდებოდა. როგორღა უნდა გაუმკლავდეს ბუნება უხვად მომდინარე ნაკადს? რაც შეიძლება მსუბუქად აღიქვას ის, რათა შემდგომში სწრაფად განაცალკევოს და მოიშოროს. აქედან მომდინარეობს ჩვევა, ჭეშმარიტი მოვლენები სერიოზულად რომ არ აღვიქვათ; ამგვარად ყალიბდება „სუსტი პიროვნება“; შედეგად, ჭეშმარიტი და არსებული მხოლოდ მცირე შთაბეჭდილებას ახდენს. საბოლოოდ, ადამიანი გარეგნულად უფრო მიმტევებლებად და უფრო უწყინარად იქცევა. ადამიანები შინაგანსა და გარეგანს შორის გაუაზრებელ უფსკრულს აფართოებენ მანამ, სანამ ბარბაროსობისადმი უგრძნობად არ იქცევიან, – მახსოვრობა ხომ მუდამ დაძაბულია; ცოდნის ღირსი ახალ-ახალი ფაქტები ხომ განუწყვეტლივ შემოედინებიან; ისინი შეიძლება ამ მახსოვრობის უჯრებში აკურატულად მოვათავსოთ. ხალხის კულტურა, დაპირისპირებული ამგვარ ბარბაროსობას, ერთ დროს აღიწერებოდა – და მე ვფიქრობ, საკმაოდ სამართლიანად – ხელოვნების სტილის მთლიანობად ამ ხალხის ცხოვრების ყველა

გამოვლინებაში. ეს აღწერა ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს იგი ბარბაროსობას მშვენიერ სტილს უპირისპირებდეს. ხალხი, რომელსაც კულტურას მივუსადაგებთ, უნდა იყოს ნამდვილ, ცოცხალ ერთიანობაში და არა საცოდავად გაყოფილი: შინაგანად და გარეგანად, შინაარსად და ფორმად. ყველა, ვისაც სურს ესწრაფოდეს და ახალისებდეს ეროვნულ კულტურას, უნდა ელტვოდეს და ახალისებდეს ამ დიად ერთობას და ცდილობდეს თანამედროვე განათლების განადგურებას ჭეშმარიტი განათლების საკეთილდღეოდ. ის უნდა ბედავდეს ფიქრს იმაზე, ისტორიით დაზიანებული ხალხის ჯანმრთელობა თუ როგორ შეიძლება აღდგეს, როგორ შეიძლება მათ კვლავ იპოვნონ თავიანთი ინსტინქტი და ამის მეშვეობით კი თავიანთი პატიოსნება.

მსურს პირდაპირ ვისაუბრო ჩვენი, გერმანელების, მდგომარეობაზე: იმაზე, რომ ჩვენ ყველა სხვა ერზე მეტად ვიტანჯებით პიროვნების სისუსტითა და ფორმისა და შინაარსის დაპირისპირებით. ჩვენთვის, გერმანელებისთვის, ფორმა პირობითობად, შენილბვად და თავის მოჩვენებად ითვლება და ამიტომაც, ის თუ არ ეზიზღებათ, ყოველ შემთხვევაში, დიდად გულზე არ ეხატებათ; უფრო მართებული იქნებოდა თუ ვიტყოდით, რომ განსაკუთრებით გვეშინია სიტყვისა „პირობითობა“. გერმანელებმა ამ შიშის გამო მიატოვეს ფრანგების სკოლა. მათ სურდათ უფრო ბუნებრივი და „შესაბამისად“ უფრო გერმანელები გამხდარიყვნენ. თუმცალა, ამჟამად, როგორც ჩანს, პირობითობის სკოლიდან გაქცევაც ამ „შესაბამისად“-ს დაუქვემდებარეს. ახლა კი მიდიან იქ და ისე, სადაც და როგორც მოესურვებათ, თანაც ნერვიულად, სანახევროდ-დავიწყებულად ბაძავენ იმას, რასაც აქამდე ასე გულმოდგინედ და ხშირად ბედნიერად ბაძავდნენ. და აი, ამგვარად ვცხოვრობთ ჩვენ, წინა

ეპოქებთან შედარებებით, დღეს კი მოუქნელი, არაკორექტული ფრანგული პირობითობის მიხედვით, როგორც ამას ყოველი ჩვენი სიარული, დგომა, საუბარი, ტანისამოსი და საცხოვრებელი მიუთითებს. ადამიანს ბუნებაში უკან დაბრუნებისა რადგან სწამდა, იგი ირჩევდა საკუთარი თავის ნებაზე მიშვებას, კომფორტს და საკუთარი თავის გადალახვის რაც შეიძლება მცირე დოზას. გერმანულ ქალაქებში თუ გაივლით, მივხვდებით, რომ ყველა პირობითობა უცხოური ქალაქების წეს-ჩვეულებებთან შედარებით, უარყოფითად წარმოჩნდება: ყოველივე უფერულია, ჩამოწერილია, ცუდად გადმოღებულია, მოუქნელია. აქ ყველა თავისი მიდრეკილებების მიხედვით მოქმედებს, მაგრამ არა ძლიერი, გონიერებით მდიდარი მიდრეკილებებით, არამედ იმ კანონებით, რომლებიც ნაკარნახებია, უპირველეს ყოვლისა, საყოველთაო აჩქარებით და შემდეგ კი – კომფორტის მოთხოვნილებით. სამოსი, რომლის გამოგონებასაც – დიდი გონებრივი დატვირთვა, ხოლო წარმოებას დიდი დრო არ ჭირდება, გადმოღებულია უცხოელებისგან და რაც შეიძლება შემთხვევითადაა გამეორებული; გერმანელები კი მას გერმანულ ნაციონალურ ტანისამოსად მიიჩნევენ. ისინი ფორმის შეგრძნებას თითქმის ირონიულად უარყოფენ – მათ ხომ შინაარსის შეგრძნება გააჩნიათ: ისინი ამიტომაც არიან განთქმულნი, როგორც შინაგანი სამყაროს ხალხი.

თუმცა ეს შინაგანი სამყარო კარგად ნაცნობი ხიფათის წინაშეა: შესაძლოა, ერთ დღეს საერთოდ გაქრეს თავად შინაარსი, რომლის შესახებაც მიიჩნევენ, რომ გარედან მას საერთოდ ვერ დავინახავთ; გარედან ვერავინ შეამჩნევს ვერც მის მანამდელ იქ ყოფნას და ვერც მის ამჟამინდელ არყოფნას. თუმცა ჩვენ თუ ვიფიქრებთ, რომ, ყოველ შემთხვევაში, გერმანელი ხალხი საკმაოდ შორსაა ამ საშიშროებისგან,

უცხოელი ყოველთვის, გარკვეული აზრით, ახლოს იქნება ჭეშმარიტებასთან, როდესაც გვისაყვედურებს, რომ ჩვენი შინაგანი ცხოვრება ზედმეტად სუსტია და არაორგანიზებულია იმისათვის, რომ გამოვლინდეს და რომ საკუთარ თავს ფორმა მიანიჭოს. ამასთან ერთად, ეს შინაგანი სამყარო შეიძლება იშვიათი ხარისხითაა ფაქიზად მგრძნობიარე, სერიოზული, ძლიერი, სილრმისეული, კეთილი; შესაძლოა, ის უფრო მდიდარია, ვიდრე სხვა ხალხების შინაგანი სამყარო; თუმცა, როგორც მთელი, ის სუსტია, რადგან ყოველი ეს ლამაზი ბოჭკო ძლიერი კვანძებით არაა შეკრული: ასე რომ, ეს გამოვლენილი ქმედება არის არა საერთო საქმე და ამ შინაგანი სამყაროს თვითგამოვლენა, არამედ ცალკეული ბოჭკოს სუსტი და უხეში მცდელობა, რომ საკუთარი თავი მთლიანობად წარმოაჩინოს. ამიტომაც, გერმანელი საქციელით არ უნდა შევაფასოთ. ის, როგორც ინდივიდი, საქციელის შემდეგაც დამალულია. გერმანელი, როგორც ცნობილია, მისი ფიქრებისა და გრძნობების მიხედვით უნდა შეფასდეს, რომლებიც დღესდღეობით მის წიგნებში ჰპოვებენ გამოხატულებას; ნეტავ, ბოლო დროს, ადრინდელზე მეტად სწორედ ამ წიგნებს არ აღეძრათ ეჭვი, განაგრძობს თუ არა ეს განთქმული შინაგანი სამყარო თავის მიუვალ ტაძარში არსებობას. საშინელი წარმოსადგენია, რომ ის ერთ დღესაც შეიძლება გაქრეს და გერმანელის ერთადერთ მახასიათებელად მხოლოდ გარეგანი მხარე დარჩეს, ეს ქედმაღლურად მოუქნელი და მოკრძალებულად ზანტი გარეგანი მხარე. ამის წარმოდგენა ისევე საზარელია, როგორც ხსენებული შინაგანი სამყაროს გაყალბება, გაფერადება, მოხატვა და მსახიობად – თუ არა რაიმე უარესად, – ქცევა ისე, რომ ამის დანახვა არავის შეძლებოდა. მაგალითად, ამგვარად შეაფასა საკუთარი თეატრალურ-დრამატული გამოცდილება განზე გამდგარმა და მშვიდად

მაყურებელმა გრილპარცერმა: „ჩვენ აბსტრაქციების მეშვეობით შევიგრძნობთ“, ამბობს იგი, „ალარ ვიცით ეს შეგრძნება ჩვენს თანამედროვეებთან როგორ ვლინდება; საშუალებას ვაძლევთ მას, შეასრულოს ნახტომები ისე, როგორც დღესდღეობით თავად არ ასრულებს. „შექსპირმა ჩვენ ყოველივე ახლის შესაძლებლობა მოგვისპო!“

ეს არის ცალკეული, შესაძლოა, ნაჩქარევად განზოგადებული შემთხვევა: მაგრამ რაოდენ სახიფათო იქნებოდა მისი გამართლებული განზოგადება იმ შემთხვევაში, ცალკეული შემთხვევები დამკვირვებელს თავს ხშირად რომ მოხვეოდა; რა იმედგაცრუებულად გაჟღერდებოდა დასკვნა: ჩვენ, გერმანელები აბსტრაქციის მეშვეობით შევიგრძნობთ; ჩვენ ყველანი ისტორიამ გაგვაფუჭა – დასკვნა, რომელიც იმედს კვლავაც სამომავლო ეროვნული კულტურის შესახებ ფესვებშივე ჩაკლავდა: რადგან ყოველი ამგვარი იმედი გერმანული შეგრძნების სინამდვილისა და უშუალობისაგან წაროიშობა, დაუზიანებელი შინაგანი სამყაროს რწმენისგან. რისღა შეიძლება გვეიმედებოდეს, რისღა შეიძლება გვწამდეს, როდესაც რწმენისა და იმედის წყარო დაშრეტილია, როდესაც შინაგანმა სამყარომ ისწავლა ნახტომების კეთება, როკვა, ფერუმარილის წასმა, საკუთარი თავის აბსტრაქციითა და გამოთვლით გამოხატვა და როდესაც ის თანდათანობით საკუთარი თავს კარგავს. როგორ შეიძლება დიადმა, პროდუქტიულმა გონებამ დიდხანს გაძლოს ხალხთან, რომელსაც აღარ სწამს შინაგანი სამყაროს ერთიანობისა და რომელიც გაიყო განათლებულებად – დაზიანებული და გზას აცდენილი შინაგანი სამყაროთი და გაუნათლებლებად – გაუვალი შინაგანი სამყაროთი? როგორ უნდა აიტანოს მან ეს, როდესაც ეროვნული ერთიანობის გრძნობა დაკარგულია, როდესაც, ამას გარდა, მან იცის, რომ

ჯგუფს, რომელიც საკუთარ თავს ერის განათლებულ ნაწილს უწოდებს და რომელიც ეროვნულ შემოქმედებით სულზე აცხადებს პრეტენზიას, გრძნობა გაყალბებული და გაფერადებული აქვს. ინდივიდების განსჯა და გემოვნება აქა-იქ შეიძლება უფრო დახვეწილად და მეტად სუბლიმირებულად იქცეს, მაგრამ დიად გონებას ეს ვერ ანუგეშებს. ის იტანჯება იმით, რომ მხოლოდ სექტისთვის უნდა ილაპარაკოს და რომ საკუთარი ხალხისთვის ის აღარაა აუცილებელი. ალბათ, პროდუქტიული ნატურა დამარხავს საკუთარ საგანძურს, რადგან მას ზიზღს ჰგვრის ის, რომ მხოლოდ სექტის მომთხოვნი მფარველობის ქვეშ იმყოფება მაშინ, როცა მისი გული ყველას მიმართაა თანაგრძნობით აღსავსე. მისი და ხალხის ინსტინქტი ერთმანეთს აცდენილია. უსარგებლოა მგზნებარე იმედით მას ხელი გავუწოდოთ. რაღა დარჩენია საერთოდ, თუ არა მგზნებარე ზიზღი მისი შემბოჭავი აკრძალვის წინააღმდეგ, მოძრაობა მისი ხალხის ეგრედ წოდებული განათლების სახით ალმართული დაბრკოლებების წინააააღმდეგ, რათა, სულ ცოტა, როგორც მსაჯულმა ამხილოს, თუ რას ნიშნავს მისთვის, – ცოცხალი არსებისთვისა და სიცოცხლის მწარმოებლისთვის, – განადგურება და პატივის აყრა. შედეგად, ის თავისი ბედისწერის სიღრმისეულ ხედვას ცვლის დამხმარისა და შემქმნელის ღვთაებრივ შეგრძნებაზე და ცხოვრებას მარტოხელა მცოდნედ, ცოდნით გამაძლარ ბრძენად ასრულებს. ეს ყველაზე მტკივნეული სანახაობაა: საერთოდ, ვინც თვალს ადევნებს მას, მასში წმინდა მოვალეობას შეიცნობს. იგი საკუთარ თავს ეუბნება: აქ ჩემი დახმარებაა საჭირო, ხალხის ბუნებასა და სულში ეს ამაღლებული ერთიანობა კვლავ უნდა დამყარდეს. შინაგან და გარეგან სამყაროს შორის არსებული ეს ბზარი აუცილებლობის ჩაქუჩის დარტყმებით კვლავ

უნდა გაქრეს. რა საშუალებებს უნდა მიმართოს მან ახლა? რა დარჩენია მას, თუ არა მისი ღრმა ცოდნა? მისი შეხედულების გაცხადებით, გავრცელებითა და უხვი ხელით დათესვით, იგი იმედოვნებს, რომ ახალ საჭიროებას ნერგავს: ძლიერი საჭიროებისგან კი ძლიერი ქმედება დაიბადება. იმისათვის, რომ ეჭვი არ დავტოვო, თუ საიდან მომყავს მაგალითი ამგვარი საჭიროებისა, აუცილებლობისა, ცოდნისა, ჩემი დამოწმება ნათელი უნდა იყოს: გერმანული ერთიანობა, რომელსაც ვესწრაფვით და უფრო გულმოდგინედ ვესწრაფვით, ვიდრე პოლიტიკური ერთიანობის აღდგენას, მისი უმაღლესი აზრით, გერმანული სულისა და ცხოვრების ერთიანობაში მდგომარეობს, მას შემდეგ, რაც მოვსპობთ ფორმასა და შინაარსს, შინაგან სამყაროსა და პირობითობას შორის არსებულ დაპირისპირებას.

5

ეპოქის ისტორიით გადატვირთვა სიცოცხლისთვის მტრულად და საშიშად ხუთი სახით წარმომიდგება: მსგავსი სიჭარბის გამო წარმოიშობა აქამდე განხილული კონტრასტი შინაგან და გარეგან სამყაროს შორის. შედეგად კი, პიროვნება სუსტდება; ამ სიჭარბის გამო ეპოქა აღმოჩნდება ილუზიაში, თითქოს ის რომელიმე სხვა ეპოქაზე მეტად ფლობდეს ყველაზე იშვიათ ღირსებას – სამართლიანობას. ეს სიჭარბე აზიანებს ხალხის ინსტინქტს და აბრკოლებს ცალკეულის, – არანაკლებ, ვიდრე მთელის – მომწიფებას. ეს სიჭარბე წარმოშობს კაცობრიობის ხნიერების რწმენას, რწმენას ნაბოლარად და ეპიგონად ყოფნისა; ამ სიჭარბის გამო, ეპოქას დაეუფლება საშიში, ირონიული განწყობა საკუთარი თავის მიმართ, ხოლო მისგან კი – უფრო მეტად სახიფათო

ცინიზმი: ეს უკანასკნელი კი ჭკვიანურ, ეგოისტურ პრაქტიკად მომწიფდება, რომლითაც სიცოცხლის ძალები სახიჩრდება და საბოლოოდ კი ნადგურდება.

ახლა კი, მოდით, ჩვენს პირვანდელ ვითარებას დავუბრუნდეთ: თანამედროვე ადამიანს პიროვნების სისუსტე სტანჯავს. როგორც იმპერატორის დრო-ინდელი რომაელი იქცა არარომაელად, იცოდა რა, რომ მას მთელი დედამიწა ემსახურებოდა, რო-გორც მან უცხოელთა შემოდინების გამო საკუთარი თავი დაკარგა და კოსმოპოლიტური ღმერთების, ჩვეულებებისა და ხელოვნების კარნავალების გამო გადაგვარდა, იგივე უნდა მოუვიდეს თანამედროვე ადამიანს, რომელიც, ისტორიული შემოქმედების დახმარებით, გამუდმებით აწყობს მსოფლიო ბაზ-რის ზეიმს; ის იქცა განცხრომაში მყოფ, მოხეტიალე დამკვირვებლად და ისეთ მდგომარეობაში იმყოფება, რომელშიც თვით დიდ ომებს, დიდ რევოლუციებ-საც კი მხოლოდ მცირე ხნით თუ შეუძლიათ რაიმეს შეცვლა. ომი ჯერ არ დასრულებულა და ის უკვე ათი ათასჯერ აქციეს ბეჭდურ ქაღალდად; ომს, როგორც უახლეს გამაღიზიანებელ საშუალებას, ულუფად გას-ცემენ ისტორიას დახარბებულთა დაღლილი სასები-სთვის. როგორც ჩანს, თითქმის შეუძლებელია, რომ სიმებზე თვით უმძლავრესი ჩამოკვრითაც კი უფრო ძლიერი და სავსე ტონი გავაჟღეროთ. ის მალევე და-სუსტდება, შემდეგ წამიერად, ისტორიულად, რბილად გაჟღერდება და უძლურად გაილევა. მორალის ენაზე რომ ვთქვათ, თქვენ აღარ შეგიძლიათ ამაღლებულზე შეჩერება, თქვენი ქმედებები უეცარი დარტყმებია და არა ჭექა-ქუხილის გრუხუნი. იმ შემთხვევაშიც კი, როცა დიადი და საოცარი მოვლენა ხდება, ის აურ-ზაურის გარეშე უნდა ჩაესვენოს ჰადესში. ხელოვნება ფრთხება, როდესაც თქვენს ქმედებებს დაუყონებლივ ისტორიულ კარავს გადააფარებთ. გონიერი შეიძლება

ეწოდოს მას, ვისაც სურს სწრაფად გაიგოს, გამოთვალოს და ჩაწვდეს იმას, რაც ხანგრძლივ რყევებში უნდა მოეჭიდოს გაუგებარს, ვითარცა ამაღლებულს, მაგრამ – მხოლოდ იმ აზრით, რომლითაც შილერი გონიერ ადამიანთა გონივრულობაზე საუბრობს: იგი ვერ ხედავს იმას, რასაც ბავშვიც კი ხედავს; მას არ ესმის ის, რაც ბავშვსაც კი ესმის; ხოლო ეს „რაღაც“ ყველაზე მნიშვნელოვანია: რადგან ამას ვერ გებულობს, მისი გაგება უფრო ბავშვურია, ვიდრე ბავშვისა და უფრო მიამიტურია, ვიდრე მიამიტურობა – მიუხედავად მისი სახის პერგამენტული კონტურების ბევრი ცბიერი ნაოჭისა და მისი თითების ვირტუოზული პრაქტიკისა, რომელიც ჩახლართულის ამოხსნას ემსახურება. ეს ნიშნავს: მან გაანადგურა და დაკარგა საკუთარი ინსტინქტი; როდესაც მისი გონება მერყეობს და მისი გზა უდაბნოებზე გადის, მას აღარ შეუძლია „ღვთაებრივი ცხოველის“ რწმენით, სადავეები ნებაზე მიუშვას. ამგვარად იქცევა ინდივიდი ლაჩრად, არათავდაჯერებულად; ის ველარ ახერხებს ენდოს საკუთარ თავს. ის საკუთარ თავში იძირება, საკუთარ შინაგან სამყაროში, ანუ ნასწავლის დახვავებულ უწესრიგობაში, რომელიც არ ვლინდება და განათლებაში, რომელიც სიცოცხლედ არ იქცევა. ყურადღებას გარეგანს თუ მივაპყრობთ, შევნიშნავთ, ისტორიის მიერ ინსტინქტის გამოძევებამ თუ როგორ აქცია ადამიანი თითქმის წმინდა აბსტრაქციად და აჩრდილად: ვერავინ ბედავს გამოავლინოს საკუთარი პიროვნება, ნაცვლად ამისა, ინიღბებიან განათლებულ ადამიანად, სწავლულად, პოეტად, პოლიტიკოსად. ამ ნიღბებს ვინმე თუ იმაში დარწმუნებული შეუტევს, რომ საქმე რაიმე სერიოზულთან აქვს და არა უბრალოდ თოჯინების სანახაობასთან, – ისინი, ყველანი ერთად, ხომ სერიოზულობას აფიშირებენ – ხელში უეცრად ძონძები და ფერადი

ნაჭრები შერჩება. ამიტომაც, საშუალება არ უნდა მივცეთ, მოგვატყუონ და უნდა შემოვუძახოთ მათ: „გაიხადეთ სამასკარადო სამოსი ან იყავით ის, რადაც ჩანხართ!“ ბუნებით სერიოზული ადამიანი არ უნდა იქცეს დონ კიხოტად, რადგან მას იმაზე უკეთესი რამ აქვს გასაკეთებელი, ვიდრე წარმოსახვით რეალობასთან ბრძოლაა. ის, ყოველ შემთხვევაში, ფხიზელი თვალით უნდა დააკვირდეს ყველა ნიღაბს და დაიყვიროს „შეჩერდი! ვინ ხარ შენ?“ და ჩამოხსნას მათ ნიღაბი. უცნაურია! შეიძლება გვეფიქრა, რომ ისტორია, უპირველეს ყოვლისა, ადამიანებს უნდა ახალისებდეს, იყვნენ პატიოსნები – ან თუნდაც, პატიოსანი სულელები. და მართლაც, მისი გავლენა ყოველთვის ამგვარი იყო, მაგრამ არა ახლა! ისტორიული განათლება და ბურჟუაზიული უნიფორმა ერთდროულად ბატონობენ. ისეთი პათოსით არასდროს ულაპარაკიათ „თავისუფალ პიროვნებაზე“, როგორც დღეს; სინამდვილეში, ვერ ვხედავთ პიროვნებებს, რომ აღარაფერი ვთქვათ თავისუფალზე, არამედ – მხოლოდ გულმოდგინედ დამალულ უნივერსალურ ადამიანებს. ინდივიდი შინაგან სამყაროში იმალება: გარეგნულად იგი საერთოდ შეუმჩნეველია; ამასთან ერთად, დაშვებულია დაეჭვება, საერთოდ შეიძლება თუ არა არსებობდეს მიზეზები შედეგების გარეშე. ან ეგებ ცვედანთა თაობაა საჭირო, დიდი ისტორიული მსოფლიო ჰარამხანის დასაცავად? ცხადია, მათ მეტად შეესაბამებათ წმინდა ობიექტურობა. როგორც ჩანს, დავალება იმაში მდგომარეობს, რომ ისტორია დავიცვათ, რათა მისგან არაფერი გამოვიდეს, გარდა სხვა ისტორიებისა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ნამდვილი მოვლენები და იმაში, რომ არ დავუშვათ, მისი მეშვეობით პიროვნება „თავისუფალი“ გახდეს, იყოს სამართლიანი, როგორც საკუთარი თავის, ისევე სხვის მიმართაც, როგორც სიტყვით, ისე საქმით.

უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამ სამართლიანობით გამოდის დღის სინათლეზე თანამედროვე ადამიანის უბედურება და შინაგანი სიღარიბე, ხოლო ყველაფრის საგულდაგულოდ დამფარავი პირობითობისა და მასკარადის ადგილას, ჭეშმარიტ დამხმარეთა სახით შეიძლება ხელოვნება და რელიგია მოგვევლინონ, რათა საერთო ძალებით ისეთი კულტურა შექმნან, რომელიც ადამიანის ჭეშმარიტ საჭიროებებთან იქნებოდა შესაბამისობაში და რომელიც, თანამედროვე განათლების სისტემისგან განსხვავებით, არ გვასწავლიდა, რომ ამ საჭიროებათა შესახებ მოვიტყუოთ და, ამის გამო, მოსიარულე ტყუილებად ვიქცეთ.

რა არაბუნებრივ, ხელოვნურ და ულირს მდგომარეობაში უნდა აღმოჩნდეს ყოველ მეცნიერებაზე ჭეშმარიტად პატიოსანი, შიშველი ქალღმერთი ფილოსოფია ეპოქაში, რომელიც საყოველთაო განათლებით იტანჯება. ძალდატანებითი გარეგანი ერთფეროვნების ამგვარ მსოფლიოში ის მარტოსული მოხეტიალის სწავლულ მონოლოგად რჩება, ცალკეული ადამიანის შემთხვევით ნადავლად, დამალულ კაბინეტურ საიდუმლოებად ანდაც უხიფათო ჭორაობად აკადემიის მოხუცებსა და ახალგაზრდებს შორის. ვერავინ ბედავს საკუთარ თავს მიუყენოს ფილოსოფიის წესი, არავინ ცხოვრობს ფილოსოფიურად, იმ მარტივი კაცური ერთგულებით, რომელიც ძველი დროის ადამიანს აიძულებდა, სადაც არ უნდა ყოფილიყო და რაც არ უნდა ეკეთებინა, მოქცეულიყო სტოიკოსივით, თუკი მან ერთხელ შეჰფიცა ერთგულება სტოას. ყოველი თანამედროვე ფილოსოფოსობა პოლიტიკურია, პოლიციურია და ხელისუფლებათა, ეკლესიათა, აკადემიათა, წესჩვეულებათა და ადამიანთა ლაჩრობის მეშვეობით ნასწავლ შესახედაობამდეა დაყვანილი. ის რჩება ჩასუნთქვად – „ოჰ, ნეტავ“ ან ცოდნად – „ეს იყო

ერთ დროს“. ფილოსოფია ისტორიული განათლების ფარგლებში უუფლებოა, თუ მას სურს იყოს მეტი, ვიდრე ადამიანის შიგნით შეკავებული ცოდნა გარეგანი ქმედების გარეშე. საერთოდ, თანამედროვე ადამიანი გაბედული და შეუპოვარი რომ იყოს და ამ მტრობაშიც მხოლოდ შინაგან არსებად რომ არ გვევლინებოდეს, იგი ფილოსოფიას თავიდან მოიშორებდა. ახლა კი იმით კმაყოფილდება, რომ მის სიშიშვლეს ფარავს. მართლაც, – ფიქრობენ, წერენ, ბეჭდავენ, საუბრობენ და ასწავლიან ფილოსოფიურად: ამ დონეზე, ასე თუ ისე, ყველაფერი ნებადართულია; მაგრამ ქმედებაში ან, როგორც ამბობენ, „ცხოვრებაში“ ყველაფერი განსხვავებულადაა: აქ ერთი რამაა ნებადართული, ხოლო ყოველივე სხვა უბრალოდ შეუძლებელია: ისტორიულ განათლებას ასე სურს. არსებობენ კი საერთოდ ადამიანები, იკითხავს კაცი, თუ მხოლოდ მოაზროვნე, მწერალი და მოლაპარაკე მანქანები?

ერთხელ გოეთემ შექსპირის შესახებ თქვა: „არავის ეზიზღებოდა მატერიალური კოსტიუმები ისე, როგორც მას; ის კარგად იცნობდა ადამიანის შინაგან კოსტიუმებს; აქ კი ყველა ერთმანეთს გავს. ამბობენ, რომ მან რომაელები შესანიშნავად გამოხატა; მე ასე არ ვფიქრობ; ისინი სულით ხორცამდე ინგლისელები არიან, მაგრამ, რა თქმა უნდა, ადამიანები, თხემით ტერფამდე ადამიანები, არიან; მათზე ზედგამოჭრილია რომაული ტოგა“. ახლა კი ვსვამ შეკითხვას: საერთოდ არის კი შესაძლებელი ჩვენი დღევანდელი ლიტერატორები, სახალხო ადამიანები, ჩინოსნები და პოლიტიკოსები რომაელებად წარმოვადგინოთ? ეს სავსებით შეუძლებელია, რადგან ისინი ადამიანები კი არ არიან, არამედ განხორციელებული სახელმძღვანელოები და, ასე ვთქვათ, – კონკრეტული აბსტრაქციები. თუ შეიძლება მათ საერთოდ გააჩნდეთ ხასიათი და საკუთარი სტილი, ისინი იმდენად ღრმად

არიან დამარხული, რომ ვერაფრით გამოაღწევენ დღის სინათლეზე: თუ ისინი მაინც არიან ადამიანები, არიან მხოლოდ მათთვის, ვინც „თირკმელებს ამოწმებს“. სხვებისთვის ისინი რაღაც განსხვავებულს წარმოადგენენ: არა ადამიანებს, არა ღმერთებს, არა ცხოველებს, არამედ ისტორიული განათლების პროდუქტებს, – თხემით ტერფამდე განათლებას, ხატ-სახეს, ფორმას – ხელშესახები შინაარსის გარეშე, და, სამწუხაროდ, მხოლოდ ცუდ ფორმას და, ამასთან ერთად, უნიფორმას. ჩემი მსჯელობა შემდეგნაირად უნდა გავიგოთ და გავიაზროთ: ისტორიას მხოლოდ ძლიერი პიროვნებები გაუძლებენ, სუსტებს ის სავსებით გაანადგურებს: ეს იქიდან გამომდინარეობს, რომ ისტორია აღრევს გრძნობებს და შეგრძნებებს იქ, სადაც ეს უკანასკნელნი საკმარისად ძლიერნი არ არიან იმისთვის, წარსული საკუთარ თავზე რომ მოირგონ. ის, ვინც ველარ ბედავს, ენდოს საკუთარ თავს და საკუთარ გრძნობებში გასარკვევად, უნებურად ისტორიას მიმართავს რჩევისათვის, – „როგორ უნდა შევიგრძნო აქ?“ – საკუთარი გაუბედაობიდან გამომდინარე, მსახიობად იქცევა და ასრულებს როლს, ხშირ შემთხვევაში, ბევრ როლსაც კი; და სწორედ ამის გამო, თითოეულ როლს განსაკუთრებით ცუდად და ზედაპირულად. თანდათანობით იკარგება ყოველგვარი შესაბამისობა ადამიანსა და მის ისტორიულ სფეროს შორის. ჩვენ ვხედავთ თავხედ, პატარა ჯეელებს, რომლებიც ისე ეპყრობიან რომაელებს, თითქოს ეს უკანასკნელნი მათი მსგავსნი ყოფილიყვნენ, ხოლო ბერძენი პოეტების ნარჩენებს ჩიჩქნიან და თხრიან თითქოს ეს corpora[11] შემონახულია მათი ნერკოფსიისთვის და იყოს vilia[12], რაც შეიძლება არის კიდეც ამ ჯეელების ლიტერატურული

---

[11] სხეული.

[12] უსარგებლო რამ.

ცორპორა. წარმოვიდგინოთ, რომ ასეთი ჯეელი დემოკრიტეს შეისწავლის. ამ შემთხვევაში, ყოველთვის ენის წვერზე მადგას შეკითხვა: რატომ არა ჰერაკლიტეს? ან პლატონს? ან ბეკონს? ან დეკარტს? – და ასე შემდეგ, სურვილისდა მიხედვით. და ასევე: რატომ მხოლოდ ფილოსოფოსს? რატომ არა პოეტს ან ორატორს? და საერთოდ, რატომ მაინცდამაინც ბერძენს და არა ინგლისელს, ან თურქს? წარსული ხომ საკმარისად დიდია საიმისოდ, რომ რაიმე ისეთი ვიპოვოთ, რაც თავს სასაცილოდ არ გაგრძნობინებთ? თუმცა, როგორც ვთქვით, ეს ცვედანთა თაობაა. ცვედანისათვის ხომ ყველა ქალი მსგავსია – ქალია ზოგადად, ქალი თავისთავად, მარად მიუწვდომელი და ამიტომ, მისთვის სულერთია, რა გამოძრავებთ თქვენ; მთავარია, რომ ისტორიამ თავისი მშვენიერი „ობიექტურობა“ შეინარჩუნოს: ზუსტადაც რომ მათი ძალისხმევით, რომლებიც თავად ვერასდროს შეძლებდნენ ისტორიის შექმნას. მარად-ქალური თავისკენ რადგან არასდროს მიგიზიდავთ, მას თქვენკენ ექაჩებით და თქვენ, ვითარცა საშუალო სქესის არსებანი, ისტორიასაც ნეიტრალურად მიიჩნევთ. იმისთვის, რომ არ ვიფიქროთ თითქოსდა ისტორიას სერიოზულად ვადარებდე მარად-ქალურს, უფრო გარკვევით ვიტყვი, რომ ისტორიას, საპირისპიროდ ამისა, მარად-კაცურად მივიჩნევ: მხოლოდ თავიდან ბოლომდე „ისტორიულად განათლებულთათვის“ უნდა იყოს სულერთი, ისტორია პირველია თუ მეორე: ისინი ხომ არც კაცები არიან და არც ქალები და არც Kommunia[13], არამედ მუდამ Neutra[14] ან, უფრო მეცნიერულად თუ ვიტყვით, მხოლოდ მარად-ობიექტურები.

რადგან ზემოთაღწერილი გზით, პიროვნებები სუბიექტურობის მარადიულ არმქონეებად ან რო-

---

[13] საერთო.

[14] არც ერთი.

გორც ამბობენ, ობიექტურობად უფერულდებიან, ამიტომაც მათზე ვერაფერი ზემოქმედებს. რაიმე კარგი და სამართლიანი თუ მოხდება პრაქტიკის სფეროში, პოეზიაში ან მუსიკაში, განათლებით გამოცარიელებული ადამიანი მყისვე თვალს აარიდებს ქმედებას და შეკითხვებს ავტორის ბიოგრაფიის შესახებ დასვამს. თუ ამ უკანასკნელმა რაღაცის მანამდე შექმნა მოასწრო, ნათელი უნდა გახდეს, როგორც მისი წარსული, ისე სამომავლო განვითარება; მას მყისვე სხვა ავტორებს შეადარებენ; ანატომიურად კვეთენ მის მიერ მასალის შერჩევისა და დამუშავების სახეებს, აშორებენ მათ ერთმანეთს, ბრძნულად კვლავ აერთებენ, მთლიანობაში კი ავტორს მკაცრად აფრთხილებენ და საყვედურს გამოუცხადებენ. რაც არ უნდა საოცარი რამ მოხდეს, ყოველთვის ადგილზეა ისტორიულად ნეიტრალური ადამიანების გროვა, რომლებიც მზად არიან შორიდან შეაფასონ ავტორი. ექო დაუყონებლივ გაჟღერდება, მაგრამ მუდმივად როგორც კრიტიკოსი, თუმცა ცოტა ხნით ადრე კრიტიკოსი მომხდარის შესაძლებლობაზე ვერც იოცნებებდა. ქმედება ვერასდროს ახდენს გავლენას; ნაცვლად ამისა, იგი მხოლოდ მორიგ „კრიტიკას“ ბადებს; ხოლო კრიტიკაც, თავის მხრივ, გავლენის გარეშე ჩაივლის და კიდევ ერთ კრიტიკას წარმოშობს. ამასთან ერთად, ჩვეულებად იქცა ბევრი კრიტიკა გავლენად, ხოლო ცოტა კრიტიკა ან კრიტიკის არარსებობა წარუმატებლად მივიჩნიოთ. ამგვარი კრიტიკის შემდეგ ყოველივე არსებითად ძველებურად რჩება: გარკვეული დროის განმავლობაში ჭორაობენ რაღაც ახალზე, შემდეგ კიდევ რაღაც ახალზე, მაგრამ ამასობაში აკეთებენ იმას, რასაც მუდამ აკეთებდნენ. ჩვენი კრიტიკოსების ისტორიული განათლება საშუალებას არ იძლევა, რომ კრიტიკა ქმედებად იქცეს, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით; სახელდობრ,

ცხოვრებაზე და ქმედებაზე გავლენის მნიშვნელობით: ისინი დაუყონებლივ დებენ საშრობ ქაღალდს ყველაზე შავ ნაწერზე, ყველაზე დახვეწილ ნახატს საკუთარი სქელი ფუნჯის მონასმით თხაპნიან; ეს კი ჩვენ კორექტურად უნდა მივიჩნიოთ: და ყოველივე ასე მეორდება. მათი კრიტიკული კალამი არასდროს ჩერდება, რადგან კრიტიკოსებმა მასზე კონტროლი დაკარგეს და უფრო მეტად კალმები მართავენ მათ, ნაცვლად იმისა, თავად მართონ ისინი. სწორედ მათ კრიტიკულ გადმონთხევებში, საკუთარი თავის ფლობის ნაკლებობაში, ანუ იმაში, რასაც რომაელები **impotentia**-ს[15] უწოდებდნენ, მჟღავნდება თანამედროვე პიროვნების სისუსტეები.

და მაინც, თავი დავანებოთ ამ სისუსტეს. უმჯობესია, თანამედროვე ადამიანის მეტად ნაქებ სიძლიერეს აშკარად უსიამოვნო შეკითხვით მივმართოთ: მისი ცნობილი ისტორიული „ობიექტურობიდან“ გამომდინარე, აქვს თუ არა მას უფლება, საკუთარ თავს, სხვა ეპოქების ადამიანთან შედარებით, ძლიერად მიიჩნევდეს – კერძოდ, სამართლიანად და უმაღლესი ხარისხით სამართლიანადაც? ნუთუ მართალია, რომ ასეთი ობიექტურობა წარმოიშობა სამართლიანობის ამაღლებულ მოთხოვნილებისაგან და მისკენ სწრაფვისაგან? ან ეგებ, იგი, როგორც სავსებით განსხვავებულ მიზეზთა შედეგი, მხოლოდ გარეგნულად წარმოქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს ამ მიზეზის ნამდვილი შედეგი სამართლიანობა იყოს? ეგებ, საზიანოდაც გვხიბლავდეს, რადგან იგი თანამედროვე ადამიანის ღირსებათა შესახებ

[15] უძლურება.

მეტად მაამებლურ ცრურწმენას ქმნის? – სოკრატეს შეშლილობასთან მიახლოებულ დაავადებად მიაჩნდა წარმოდგენა, თითქოს ღირსეული თვისება გაგვაჩნდეს მაშინ, როცა სინამდვილეში ის არ გაგვაჩნია: და მართლაც, მსგავს წარმოსახვაზე უფრო საშიში საპირისპირო ილუზიაა, თითქოს ნაკლისა და ზადის მატარებლები ვიყოთ. რადგან, ალბათ, ამ ილუზიის მეშვეობით გამოკეთება მაინც შესაძლებელია; ხოლო ზემოთხსენებული წარმოსახვა ადამიანს ან ეპოქას დღითიდღე აუარესებს, ანუ, ჩვენს შემთხვევაში, მას უფრო არასამართლიანად აქცევს.

ცხადია, უფრო მეტად არავინ იმსახურებს ჩვენს ულრმეს პატივისცემას, ვიდრე იგი, ვისაც შეუძლია და სურს, იყოს სამართლიანი, რამეთუ მასში თავს იყრიან და დაფარულნი არიან უმაღლესი და უიშვიათესი ღირსებები, ვითარცა იმ უძირო ზღვაში, ყოველი მხრიდან შენაკადებს რომ დაირთავს და საკუთარ თავში შთანთქამს. სამართლიანი ადამიანის ხელი, რომელსაც გააჩნია განსჯის უფლება, აღარ აკანკალდება, როდესაც სასწორს დაიჭერს; მოულოდნელად, საკუთარი თავის წინააღმდეგ, იგი გირას გირაზე დებს; მისი თვალები აღარ იბინდება, როდესაც სასწორის პინა ზევით-ქვევით დაიწყებს ქანქარს; განაჩენის გამოცხადებისას კი, მისი ხმა არც ძლიერად ჟღერს და არც ჩაწყვეტილად. იგი შემეცნების გულცივ დემონად რომ ქცეულიყო, მაშინ საკუთარი თავის ირგვლივ ზეადამიანურობის შემაძრწუნებელი დიდებულების ყინულოვან ატმოსფეროს გაავრცელებდა, რაც ჩვენში უფრო შიშს აღძრავდა, ვიდრე პატივისცემას: თუმცა, რადგან ადამიანია და ასატანი ეჭვიდან მკაცრ დამაჯერებლობამდე ცდილობს ამაღლებას, შემწყნარებლური სირბილედან – იმპერატივამდე „შენ უნდა“, დიდსულოვნების იშვიათი ღირსებიდან კი – სამართლიანობის ყოვლადიშვიათ ღირსებამდე;

რადგან ახლა იგი ხსენებულ დემონს ემსგავსება მაშინ, როცა დასაწყისიდანვე სხვა არაფერი იყო თუ არა საბრალო ადამიანი; და, უპირველეს ყოვლისა, კი იმიტომ, რომ ყოველ წამში საკუთარი ადამიანობა უნდა გამოისყიდოს და თავისი თავი შეუძლებელ სიქველეს ტრაგიკულად შესწიროს – ეს ყოველივე აიყვანს მას განმხოლოებულ სიმაღლეში, ვითარცა კაცთა მოდგმის ყველაზე საპატიო ეგზემპლიარს. რადგან მას წყურია ჭეშმარიტება არა, როგორც მხოლოდ ცივი და უშედეგო შემეცნება, არამედ, როგორც წესრიგის დამამყარებელი და სასჯელის გამომტანი მოსამართლე ქალი, ჭეშმარიტება – არა, როგორც ცალკეული ადამიანის ეგოისტური სამფლობელო, არამედ, როგორც წმინდა უფლება, გადაადგილოს ეგოისტური სამფლობელოს ყველა სასაზღვრო ქვა; ერთი სიტყვით, ჭეშმარიტება, როგორც უკანასკნელი სამსჯავრო და, არავითარ შემთხვევაში, როგორც მოხვეჭილი ნადავლი და მარტოსული მონადირის ხალისი; მხოლოდ იმდენადაა დიადი ჭეშმარიტებისკენ სწრაფვა, – რასაც საზოგადოდ ასე დაუფიქრებლად განადიდებენ – რამდენადაც ჭეშმარიტ ადამიანს გააჩნია უპირობო სურვილი, იყოს სამართლიანი. ხოლო უფრო სულელური მზერა განსხვავებული ტიპის ინსტინქტებს, როგორებიცაა: ცნობისმოყვარეობა, მოწყენილობისგან თავის დაღწევა, მოშურნეობა, ამპარტავნება, თამაშის მოთხოვნილება (ინსტინქტებს, რომლებსაც საერთო არაფერი აქვთ ჭეშმარიტებასთან), ურევს ჭეშმარიტებისაკენ სწრაფვაში, რომელსაც საკუთარი ფესვები სამართლიანობაში აქვს გადგმული. ამიტომაც, წარმოჩნდება, რომ მსოფლიო სავსეა ისეთებით, რომლებიც „ჭეშმარიტებას ემსახურებიან“. სამართლიანობის ღირსებას კი მეტად იშვიათად ვხვდებით; მას უფრო იშვიათად აღიარებენ და თითქმის ყოველთვის სიკვდილი-

ვით ეჯავრებათ. ამავდროულად, ყველა ეპოქაში მეტად ფასობს და ბრწყინვალებით წარმოჩინდება მოჩვენებით ღირსებათა კრებული. ჭეშმარიტებას ჭეშმარიტად ცოტა თუ ემსახურება, რადგან მხოლოდ ცოტას აქვს წმინდა სურვილი, იყოს სამართლიანი და თვით ამათგანაც კვლავაც ცოტას თუ შესწევს იმის ძალა, სინამდვილეში იყოს სამართლიანი. საამისოდ მხოლოდ სურვილი არ კმარა: ყველაზე საშინელი სატანჯველი სწორედ იმ ადამიანებს დაატყდებათ თავს, რომლებსაც სამართლიანობისკენ სწრაფვა გააჩნიათ განსჯის უნარის გარეშე. ამიტომაც, საზოგადო სიკეთე მეტს არაფერს მოითხოვდა, თუ არა განსჯის უნარის მარცვლების რაც შეიძლება ფართოდ მიმოფანტვას, რათა შესაძლებელი ყოფილიყო ფანატიკოსის განსხვავება მსაჯულისგან, ხოლო მსაჯულად ყოფნის ბრმა სურვილის – მსაჯულად ყოფნის ცნობიერი უნარისგან. სად მივაკვლიოთ საშუალებებს, განსჯის უნარის დანერგვისთვის? ამიტომაცაა, რომ ადამიანები, რომლებსაც სიმართლესა და სამართლიანობაზე ჩამოუგდებენ სიტყვას, გამუდმებით მფრთხალად ყოყმანობენ, მიუხედავად იმისა, თუ ვინ ესაუბრება მათ: ფანატიკოსი თუ მოსამართლე. ამიტომაც, უნდა მიეტევოს მათ, როდესაც განსაკუთრებული კეთილგანწყობით ესალმებოდნენ ე.წ. „ჭეშმარიტების მსახურთ“, რომელთაც განსჯის არც სურვილი გააჩნიათ და არც ძალა და მიზნად ისახავენ, ეძიონ „წმინდა, უშედეგო“ შემეცნება ან, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ჭეშმარიტება, რომლისგანაც არაფერი მომდინარეობს. უამრავი განურჩეველი ჭეშმარიტება არსებობს; არსებობს პრობლემები, რომელთა მართებულ განსჯას არ სჭირდება თვითგადალახვა, რომ აღარაფერი ვთქვათ, საკუთარი თავის მსხვერპლად გაღებაზე. ამ განურჩეველ და უსაფრთხო რეგიონში ადამიანი იოლად ახერხებს

გახდეს ცოდნის ცივი დემონი. და მაინც! მაშინაც კი, როდესაც განსაკუთრებით ბედნიერ ეპოქებში, მეცნიერთა და მკვლევართა მთელი კოჰორტები ამგვარ დემონებად იქცევიან, მაინცაა შესაძლებელი, რომ ეპოქა მკაცრი და ამაღლებული სამართლიანობის უკმარისობით ან, მოკლედ რომ ვთქვათ, ჭეშმარიტების ინსტინქტის ყველაზე კეთილშობილი მარცვლების ნაკლებობით იტანჯებოდეს.

ახლა კი წარმოვიდგინოთ თანამედროვეობის ისტორიული გენია: ნუთუ ის მისი დროის ყველაზე სამართლიანი კაცია? რაც მართალია, მართალია: მან საკუთარ თავში იმგვარი სინატიფე და გრძნობის აღგზნებადობა გამოწრთო, რომ მისთვის არაფერი ადამიანური უცხო არაა; ერთმანეთისაგან ყველაზე განსხვავებული ეპოქები და ადამიანები დაუყონებლივ გამოსცემენ მონათესავე ტონებს მის ლირაზე: ის პასიურ ექოდ იქცა, რომელიც თავისი ჟღერით სხვა მსგავს პასიურად მჟღერებზე მოქმედებს, სანამ საბოლოოდ ამ ეპოქის მთლიანი სული არ გაიჟღინთება ერთმანეთისადმი მოჟღურტულე რბილი და მონათესავე ექოებით. და მაინც, მეჩვენება, რომ, ამავე დროს, ვისმენთ მხოლოდ თითოეული ორიგინალის, ისტორიულად ძირითადი ტონის ობერტონებს: ორიგინალის სიმტკიცესა და სიმძლავრეს ველარ შევიგრძნობთ სიმების სფეროსებრ თხელი და მძაფრი ჩამოკვრის მეშვეობით. ორიგინალის ტონი მეტწილად სწორედ საამისოდ აღძრავდა ქმედებებს, საჭიროებსა და გამოიწვევდა საშინელებებს. ობერტონი კი ძილისპირულს გვიმღერის და ფაქიზ სიბარიტებად გვაქცევს; ეს იგივეა, ჰეროიკული სიმფონია ორი ფლეიტისათვის გადავაწყოთ და დაბანგული ოპიუმის მწეველებს მივანდოთ. უკვე ამით შეიძლება გაიზომოს, რამდენად შეუძლიათ ამ ვირტუოზებს აასრულონ თანამედროვე ადამიანის უმაღლესი მიდრეკილებები

უფრო ამაღლებული და სუფთა სამართლიანობისკენ, რადგან ამ ღირსებაში არაფერია სასიამოვნო; მისთვის უცხოა ფაქიზი ღელვები; ის უხეში და საშინელია. მასთან შედარებით, ღირსებათა საფეხურებრივ კიბეზე რაოდენ დაბლაა დიდსულოვნება, რაც განუმეორებელი და იშვიათი ისტორიკოსის განუყრელი თვისებაა! თუმცა უფრო მეტ ადამიანს ეს დაჰყავს შემწყნარებლობამდე, – იმის აღიარებამდე, რაშიც წამითაც არ შეიძლება დაეჭვება; მისადაგებამდე და მოზომილად კეთილმოსურნე შელამაზებამდე, იმ გონივრული ვარაუდით, რომ გამოუცდელი ადამიანი სამართლიანობის სათნოებად მიიჩნევს, თუკი წარსულს მოვყვებით ყოველგვარი მძიმე აქცენტებისა და სიძულვილის გამოხატვის გარეშე, მაგრამ განაჩენის გამოტანა მხოლოდ ამაღლებულ ძალას შეუძლია; სისუსტე მომთმენი უნდა იყოს, თუ მას არ სურს თავი ძლიერად მოაჩვენოს და სასამართლოს მაგიდაზე სამართლიანობა მსახიობ ქალად გადააქციოს. თუმცა ახლა ისტორიკოსთა კიდევ ერთი საშინელი ნაირსახეობა დაგვრჩა განსახილველი: უნარიანი, მკაცრი და პატიოსანი ტიპები, თუმც, შეზღუდული თავებით; აქ ვხვდებით კეთილ ნებას სამართლიანად ყოფნისა ისევე, როგორც – მოსამართლეობის პათოსს: მაგრამ სასამართლოს ყოველი განაჩენი მცდარია, დაახლოებით იგივე მიზეზით, რომლითაც, ჩვეულებრივ, ნაფიც მსაჯულთა კოლეგიის განაჩენია მცდარი. რაოდენ ნაკლებმოსალოდნელია ისტორიული ტალანტის სიხშირე! რომ აღარაფერი ვთქვათ, ამ შენიღბულ ეგოისტებზე და პარტიისკენ მიმავალთა შესახებ, რომლებიც ცდილობენ სამართლიანად ობიექტური გამომეტყველებით შეფუთონ ბოროტი თამაში, რომელსაც თამაშობენ. არაფერს ვიტყვით ასევე იმ სავსებით დაუფიქრებელი ადამიანების შესახებ, რომლებიც, როგორც ისტორიკოსები, გულუბრყვილო

რწმენით წერენ, რომ მათი ეპოქის ყველა საზოგადოდ ალიარებული მოსაზრებები მართალია და რომ ამ ეპოქის საზომით წერა ზოგადად სამართლიანობას ნიშნავს. ეს რწმენაა, რომლითაც თითოეული რელიგია სულდგმულობს და რომელზეც, რადგან საქმე რელიგიებს ეხება, არ ღირს ბევრი სიტყვის დახარჯვა. ეს გულუბრიყვილო ისტორიკოსები „ობიექტურობაში“ გულისხმობენ წარსულის მოსაზრებათა და ქმედებათა შეფასებას თანამედროვეობის შეხედულებათა მიხედვით: ისინი ამაში ჭეშმარიტების კანონს ხედავენ. მათი სამუშაო წარსულის თანამედროვე ტრივიალობასთან მისადაგებაა. პირიქით, ისინი ყოველივე ისტორიულ აღწერას, რომელიც მსგავს მოსაზრებებს კანონიკურად არ მიიჩნევს, უწოდებენ „სუბიექტურს“.

განა სიტყვის – „ობიექტურობა“ – თვით ყველაზე ამაღლებულ გაგებასაც ილუზია არ ახლავს თან? ამ სიტყვაში ისტორიკოსის ისეთ მდგომარეობას გულისხმობენ, რომელშიც იგი მოვლენას მის ყველა მოტივსა და შედეგებში ისე წმინდად ხედავს, რომ ისინი საკუთარ სუბიექტზე ვერავითარ გავლენას ვერ ახდენენ: აქ იგულისხმება ისეთი ესთეტიკური მოვლენა, პიროვნული ინტერესებისაგან ისეთი თავისუფლება, რომლითაც მხატვარი ქარბუქიან ლანდშაფტში, ელვისა და ჭექა-ქუხილის ქვეშ, ანდაც მღელვარე ზღვაზე საკუთარ შინაგან სურათს განჭვრეტს; იგულისხმება საგანში სრული ჩაძირვის მდგომარეობა: თუმცა ცრურწმენა იმაში მდგომარეობს, რომ, თითქოსდა სურათი, რომელიც ამგვარად განწყობილ ადამიანებში გვიჩვენებს საგნებს, კვლავაწარმოებდეს საგნის ემპირიულ არსს. ეგებ ვფიქრობთ, რომ ამგვარ მომენტებში საგნები, საკუთარი აქტიურობით, თვითნებურად აისახებიან, კოპირდებიან და ფოტოგრაფიულად აისახებიან წმინდად პასიურ მდგომარეობაში?

ეს მითოლოგია იქნებოდა და თანაც, მეტისმეტად

ცუდი მითოლოგია: ამას გარდა, შეიძლება დაგვ-
ვიწყებოდა, რომ ეს მომენტი ყველაზე ძლიერი და
თვითმყოფადი ჩასახვის მომენტია მხატვრის სულში;
ის უმაღლესი ტიპის კომპოზიციის მომენტია, რომლის
შედეგიც მხატვრულად ჭეშმარიტი და არა ისტორი-
ულად ჭეშმარიტი ხატ-სახე იქნება. ისტორიის ასეთი
ობიექტური გააზრება დრამატურგის საიდუმლო სა-
მუშაოა; კერძოდ, იგი ერთმანეთთან კავშირში უნდა
იაზრებდეს ყველაფერს, ცალკეულს მთლიანობად
უნდა ქსოვდეს: ყველგან იმ წინაპირობით, რომ სა-
გნებში გეგმის ერთიანობა უნდა ჩაიდოს, თუკი ის იქ
არაა. ადამიანი ამგვარად ბადით ფარავს წარსულს
და იმორჩილებს მას; ამგვარად ვლინდება მისი შემო-
ქმედებითი ინსტინქტი, მაგრამ არა მისი სიმართლისა
და სამართლიანობის ინსტინქტი. ობიექტურობასა
და სამართლიანობას ერთმანეთთან არაფერი აქვთ
საერთო. შეგვიძლია ისტორიის ისეთი აღწერა წარ-
მოვიდგინოთ, რომელსაც ზოგად-ემპირიული ჭეშ-
მარიტების მისხალიც არ სცხია, და მაინც, უმაღლესი
ხარისხით ობიექტურობის პრეტენზია გააჩნია. დიახ,
გრილპარცერმა გაბედა, აეხსნა: „რა არის ისტორია,
თუ არა საშუალება, რომლითაც ადამიანური ცნო-
ბიერება აღიქვამს მისთვის მიუწვდომელ მოვლენებს;
აკავშირებს იმას, რაც, ღმერთმა იცის, არიან თუ
დაკავშირებულნი; ცვლის გაუგებარს გასაგებით; მი-
აწერს გარეგანი მიზანშეწონილობის მისეულ ცნებას
რაღაც მთელს, რომელსაც მხოლოდ შინაგანი მიზან-
შეწონილობა ახასიათებს და ვარაუდობს შემთხვევი-
თობის არსებობას იქ, სადაც ათასობით წვრილმანი
მიზეზი მოქმედებს. ამასთანავე, თითოეულ ადამიანს
გააჩნია საკუთარი ინდივიდუალური აუცილებლობა
ისე, რომ მილიონობით მიმართულება მოძრაობს
ერთმანეთის პარალელურად, პირდაპირ თუ კლაკნილ
ხაზებად; ისინი ერთმანეთს გადაკვეთენ; აჩქარებენ ან

აფერხებენ ერთმანეთს, მიისწრაფვიან წინ ან უკან და, ამის გამო, ერთმანეთისთვის შემთხვევითობის მნიშვნელობას იღებენ, რითაც შეუძლებელს ხდიან მტკიცებულებას მოვლენათა ყველგანშემღწევი, ყოვლისმომცველი აუცილებლობის შესახებ; რომ აღარაფერი ვთქვათ ბუნებრივი მოვლენების გავლენაზე". დღის სინათლეზე სწორედ ახლა უნდა გამოვიდეს მსგავსი საჭიროება, ვითარცა საგანთა ამგვარი ობიექტური ხედვა. ეს წინაპირობაა, რომელიც, ისტორიკოსის დოგმად გაჟღერებული, შეძლებდა მხოლოდ უცნაური სახის მიღებას. მაგალითად, შილერი ამ ვარაუდის არსობრივ სუბიექტურობაში სავსებით გათვიცნობიერებულია, როდესაც ისტორიკოსების შესახებ ამბობს: „მოვლენები ერთმანეთის მიყოლებით უსხლტებიან ბრმა შემთხვევითობასა და მოუწესრიგებელ თავისუფლებას და, როგორც შესაბამისი რგოლი ერთვებიან მთლიანში – რომელიც, ცხადია, მხოლოდ მის წარმოსახვაში არსებობს". მაგრამ რად უნდა მივიჩნიოთ ასე სავსე რწმენით გამოცხადებული, ტავტოლოგიასა და აბსურდს შორის ხელოვნურად მოტივტივე მსჯელობა ცნობილი ისტორიული ვირტუოზისა: „ეჭვგარეშეა, რომ ყოველგვარი ადამიანური საქმიანობა ექვემდებარება ჩუმ და ხშირად მხედველობიდანგამორჩენილ, თუმცა ძალმოსილ და შეუწყვეტელ საგანთა დინებას". ამ წინადადებაში იგრძნობა არა იმდენად ამოუცნობი სიბრძნე, რამდენადაც ამოსაცნობი უმეცრება, როგორც გოეთესული მებაღის გამონათქვამში: „შესაძლებელია ბუნების ფორსირება, მაგრამ შეუძლებელია მისი იძულება". – ან, როგორც ბაზრობის დახლის მინაწერზე, რაზეც სვიფტი მოგვითხრობს: „აქ აჩვენებენ მსოფლიოში ყველაზე დიდ სპილოს, თავად მისი გამოკლებით". მართლაც, რა განსხვავებაა ადამიანთა მოქმედებებს, მიდრეკილებებსა და მოვლენათა მსვლელობას შორის? და, საერთოდ,

თვალში მხვდება, რომ ისტორიკოსებმა, მსგავსად იმ ისტორიკოსისა, რომლის გამონათქვამის ციტირებაც მოვახდინეთ, არ შეიძლება გვასწავლონ, როდესაც ზოგად მსჯელობებს იწყებენ და მათ ბუნდოვანებაში საკუთარი სისუსტის შეგრძნებას გვიჩვენებენ. სხვა მეცნიერებებში ზოგადი დებულებები უმთავრესია, რადგან ისინი კანონებს შეიცავენ: და თუკი ასეთი დებულებები, როგორიც ზემოთ ვახსენეთ, კანონებად უნდა მივიჩნიოთ, მაშინ შეიძლება შევეპასუხოთ, რომ, ასეთ შემთხვევაში, ისტორიის ალმწერთა სამუშაო დროის ფლანგვაა; რადგან ის, რაც ზემოთხსენებული უხსნადი, ბნელი ნარჩენების მოშორების შემდეგ, ასეთ წინადადებებში ჭეშმარიტი რჩება, კარგად ნაცნობია და სულაც ტრივიალურია. რადგან ეს ყველასთვის თვალშისაცემია, გამოცდილების უმცირეს სფეროშიც. მაგრამ ამის გამო მთელი ერების შეწუხება და ამაზე მძიმე სამუშაო წლების დახარჯვა სხვა არაფერია, თუ არა, რაც საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ექსპერიმენტის ექსპერიმენტზე დახვავება, მიუხედავად იმისა, რომ კანონი უკვე არსებული ექსპერიმენტების მარაგიდან შეიძლება გამოვიყვანოთ: სხვათა შორის, ცოლნერის მიხედვით, ბუნების მეცნიერებების პრობლემა სწორედ ექსპერიმენტირების სიჭარბეა. დრამის ღირებულება მხოლოდ დასასრულსა და მთავარ იდეაში რომ მდგომარეობდეს, მაშინ დრამა იქნებოდა ყველაზე გრძელი, შემოვლითი და მომქანცველი გზა მიზნისკენ. ამიტომაც, ვიმედოვნებ, რომ ისტორია საკუთარ მნიშვნელობას შეიცნობს არა ზოგად იდეებში, არა როგორც ყვავილისა და ნაყოფის ნაირსახეობა[16], არამედ იმაში, რომ მისი

---

[16] „ყვავილსა და ნაყოფში“ იგულისხმება ჰეგელისეული დიალექტიკის ერთ-ერთი კანონი – „უარყოფის უარყოფა“. ჰეგელი, „გონის ფენომენოლოგიაში“, დიალექტიკური პროცესის აღსანერად, საუბრობს ყვავილსა და ნაყოფზე: „კვირტი ქრება, როდესაც ყვავილი ჩნდება; შეგვიძლია ვთქვათ, რომ უკანასკნელმა

ღირებულება ისაა, ნაცნობი და ალბათ, ჩვეული თემა, ყოველდღიური მელოდია გონებამახვილურად რომ გადაწეროს, აამაღლოს, ყოვლისმომცველი სიმბოლოს ხარისხში აიყვანოს და ამით, საწყის თემაში სილრმისეული ფიქრების, სიძლიერისა და სილამაზის მთელი სამყარო შეგვაგრძნობინოს.

თუმცა, ამისთვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობები, აზრის შემოქმედებითი დუღილი, ემპირიულ მონაცემებში სიყვარულით დაძირვა, მოცემული ტიპების პოეტური გადამუშავება; ამისთვის, ყოველ შემთხვევაში, ობიექტურობაა საჭირო, მაგრამ – როგორც პოზიტიური თავისებურება. თუმცა რაოდენ ხშირად წარმოადგენს ობიექტურობა უბრალო ფრაზას. შემოქმედის ხედვის შინაგან ბრწყინვალებას, გარეგნულ უძრავსა და ბნელ სიმშვიდეს ცვლის სიმშვიდის მოჩვენება ზუსტად ისევე, როგორც პათოსისა და მორალისტური ძალის ნაკლებობა ცდილობს განაზრების ბასრ სიცივედ შეინიღბოს. ხოლო, მთელ რიგ შემთხვევებში, აზრთა წყობის ბანალურობა და საყოველთაო სიბრძნე, რომლებიც რაღაც მშვიდის და აუღელვებლის შთაბეჭდილებას მხოლოდ მათში არსებული მოწყენილობის გამო ტოვებენ, ბედავენ საკუთარი თავი წარმოაჩინონ მხატვრული შემოქმედების მდგომარეობად, რა დროსაც დუმდება და შეუმჩნეველი ხდება სუბიექტი. ამ დროს წარმოჩინდება ყოველივე, რაც ადამიანს საერთოდაც არ ადარდებს; მშრალი სიტყვა კი ყველაზე მართებულად მიიჩნევა. ამ მიდრეკილებაში ისე შორს მიდიან, რომ

უარყო პირველი; ზუსტად ასევე, როდესაც ნაყოფი ვლინდება, ყვავილი შეიძლება განიმარტოს ცრუდ მცენარის არსებობაში, რადგან, ნაცვლად ყვავილისა, ნაყოფი გვევლინება მცენარის ჭეშმარიტ ბუნებად“. ნიცშეს წინამდებარე ტექსტი, ისევე, როგორც მთელი მისი ფილოსოფია, ანტიჰეგელისეული პათოსითაა განმსჭვალული. *(მთარმნელის შენიშვნა)*

წარსულის მომენტის წარმოდგენისაკენ მოწოდებულად მიიჩნევენ მას, ვისაც ეს მომენტი საერთოდ არ აღელვებს. ხშირად სწორედ ასეთია ფილოლოგებისა და ძველი ბერძნების მიმართება: მათ დიდად არ ანაღვლებთ ერთმანეთი და სწორედ ამას უწოდებენ „ობიექტურობას“. იქ, სადაც ყველაზე ამაღლებული და იშვიათი უნდა წარმოჩნდეს, განსაკუთრებით გამაღიზიანებელია გამიზნული და დასანახად გამოტანილი დაუინტერესებლობა, გამოჩხრეკილი, ფხიზლად ზედაპირული დასაბუთების ხელოვნება – სახელდობრ, მაშინ, როცა ამ ობიექტურად განურჩეველ ქმედებას ისტორიკოსის ამპარტავნება განაპირობებს. საერთოდ, ამგვარი ავტორების შეფასებისას, უნდა გვამოძრავებდეს პრინციპი, რომ ყოველი ადამიანი იმდენადაა ამპარტავანი, რამდენადაც გონება აკლია. პატიოსნები მაინც იყავით! ნუ ეძიებთ ხელოვნების ძალის მოჩვენებას, რომელსაც სინამდვილეში ობიექტურობა შეიძლება ეწოდოს; ნუ ეძიებთ სამართლიანობის მოჩვენებას, თუ მოწოდებული არ ხართ მოსამართლის საშიში საქმიანობისთვის. თითქოს თითოეული ეპოქის დანიშნულება იმაში მდგომარეობდეს, სამართლიანები ვიყოთ ყოველივესადმი, რასაც ოდესმე უარსებია! თვით არცერთ ეპოქას და არცერთ თაობას არ აქვს უფლება საკუთარი თავი წინა ეპოქებისა და თაობების მსაჯულად მიიჩნიოს; ნაცვლად ამისა, ეს აგრერიგ არასასიამოვნო მისია წილად ხვდებათ ცალკეულ ადამიანებს – და თანაც, მეტად იშვიათებს. ვინ გაიძულებთ მოსამართლეობას? აბა, გამოსცადეთ თქვენი თავი: შეძლებთ იყოთ სამართლიანები, როდესაც ამას მოისურვებთ? როგორც მოსამართლენი, განსასჯელებზე მაღლა უნდა იდგეთ; თქვენ კი მხოლოდ გვიან დაიბადეთ! სტუმრებს, რომლებიც სუფრაზე ბოლოს მოდიან, სამართლიანობის მიხედვით, უკანასკნელი ადგილები ეკუთვნით: თქვენ

კი პირველი ადგილების მილება გსურთ? მაშინ, სულ ცოტა, მოიმოქმედეთ რაიმე დიადი და ამაღლებული; ამ შემთხვევაში, ადგილი შეიძლება მართლაც დაგითმონ მაშინაც კი, თუ ბოლოს მოხვალთ.

წარსულის განმარტება მხოლოდ თანამედროვეობის უმაღლეს ძალას უნდა ეყრდნობოდეს. მხოლოდ თქვენი ყველაზე კეთილშობილური თვისებების ძლიერი დაძაბვით შეძლებთ ამოიცნოთ წარსულში ის, რაც მასში შემეცნებისა და შენახვის ღირსია და დიადია. მსგავსი მსგავსით შეიცნობა! სხვაგვარად წარსულს თქვენამდე დაამდაბლებთ. არ დაუჯეროთ ისტორიულ აღწერას, თუ ის იშვიათი გონებისაგან არ მომდინარეობს; თქვენ კი ყოველთვის შეამჩნევთ რა ხარისხისაა მისი გონება იმ შემთხვევათა მიხედვით, როდესაც მას მოუწევს რაიმე ზოგადი დებულება გამოთქვას ან საყოველთაოდ ცნობილი რამ კიდევ ერთხელ გაიმეოროს: ჭეშმარიტ ისტორიკოსს უნდა გააჩნდეს უნარი, საყოველთაოდ ცნობილი ყურისთვის ჯერ კიდევ უცხოდ აქციოს და ზოგადი ვითარება ისე მარტივად და ღრმად გაასაჯაროოს, რომ სიმარტივე სილრმის გამო იყოს შეუმჩნეველი, სილრმე კი სიმარტივის გამო. არავის შეუძლია ერთდროულად იყოს დიდი ისტორიკოსი, შემოქმედებითი ნატურა და ვიწროშუბლიანი. საპირისპიროდ ამისა, ალმაცერად არ უნდა ვუყუროთ მუშებს, რომლებსაც მოაქვთ მასალა, აგროვებენ და ყურადღებით შეისწავლიან მას, რადგან ცხადია: ისინი ვერ გახდებიან უდიდესი ისტორიკოსები. ცხადია, ისინი ამ უკანასკნელში არ უნდა აგვერიოს, არამედ მათ ოსტატის სამსახურში მყოფ საჭირო შეგირდებად და ხელის მუშებად უნდა განვიხილავდეთ. სწორედ იმ აზრით, რომლითაც ფრანგები – უფრო მეტი გულუბრყვილობით, ვიდრე გერმანელები – historiens de M.Thier-ის[17] შესახებ

[17] „ბატონი ტიერსის ისტორიების შესახებ“.

საუბრობდნენ. შეიძლება, ეს მუშები თანდათან დიდ მეცნიერებადაც იქცნენ, მაგრამ ოსტატები ვერასდროს გახდებიან. დიდი განსწავლულობა და დიდი ვიწროშუბლიანობა ერთმანეთს ბევრად მარტივად ეწყობა ერთ თავში.

ამრიგად, ისტორიას გამოცდილების მქონე და გამორჩეული გონება წერს. ვისაც რაიმე სხვებზე უფრო ფართოდ და ღრმად არ განუცდია, ვერ შეძლებს წარსულიდან რაიმე დიადი და ამაღლებული განმარტოს. წარსულის აღთქმა ყოველთვის მისანის აღთქმაა. ამას მიხვდებით მხოლოდ, როგორც მომავლის მშენებლები და აწმყოს მცოდნენი. დღესდღეობით დელფოსელების არაჩვეულებრივად ღრმა და ფართო გავლენას იმით ვხსნით, რომ დელფოსელი ქურუმები წარსულის ჭეშმარიტი მცოდნენი იყვნენ. თუმცა დროა გავიგოთ, რომ მხოლოდ მას, ვინც მომავალს აშენებს, აქვს წარსულის განსჯის უფლება. სწორედ იმიტომ, რომ წინ იყურებით, ისახავთ დიად მიზანს, ამავე დროს, მოთოკავთ ანალიზის იმ ფუფუნებით ალსავსე მიდრეკილებას, რომელიც დღესდღეობით თანამედროვეობას აცარიელებს და თითქმის შეუძლებელს ხდის ყოველგვარ სიმშვიდეს, ყოველგვარ მშვიდ ზრდასა და მომწიფებას. გარს შემოირტყით ღობე დიდი და ყოვლისმომცველი იმედისა, იმედიანი სწრაფვისა. შექმენით თქვენთვის ხატ-სახე, რომელსაც მომავალი უნდა შეეფერებოდეს და მოიშორეთ ცრურწმენა, თითქოს ეპიგონები იყოთ. თქვენგან ისიც კმარა, რომ უნდა დაგეგმოთ და გამოიგონოთ, როდესაც სამომავლო ცხოვრებას წარმოისახავთ; მაგრამ ისტორიისგან ნუ მოითხოვთ, რომ გიჩვენოთ – „როგორ?“ და „რისი მეშვეობით?“. საპირისპიროდ ამისა, თუ დიადი ადამიანების ცხოვრებას გაისისხლხორცებთ, მაშინ შეძლებთ მათგან ისწავლოთ უმაღლესი აღთქმა მოწიფული ქცევისა და საკუთარი თავის გათავი-

სუფლებისა ეპოქის უდიდესი წნეხისგან; ეპოქისა, რომელიც თავის სარგებელს იმაში ხედავს, რომ არ დაგაცადოთ მომწიფება, რათა თქვენს უმწიფრობაზე გაბატონდეს და თქვენი ექპლოატაცია მოახდინოს. ხოლო თუ ბიოგრაფიები გაინტერესებთ, სცადეთ არა ისინი, რომელშიც მეორდება რეფრენი – „ბატონი ესა და ეს და მისი ეპოქა“, არამედ ისეთები, რომელთა თავფურცელზე წერია: „თავისი დროის წინააღმდეგ მებრძოლი“. შეავსეთ თქვენი სულები პლუტარქეთი. გწამთ რა მისი გმირებისა, გაბედეთ, საკუთარი თავისაც ირწმუნოთ. არათანამედროვედ გაზრდილი, ანუ მომწიფებული და გმირობას მიჩვეული მსგავსი ასი ადამიანით შესაძლებელია ამ ეპოქის მთელი ხმაურიანი ცრუ განათლების მარადიული დადუმება.

ისტორიული გრძნობა როდესაც შეუზღუდავად ბატონობს და ყველა თავის ნაყოფს მოიმკის, ამოძირკვავს მომავალს, რადგან ილუზიებს ანგრევს და არსებულ საგნებს იმ ერთადერთ ატმოსფეროს ართმევს, რომელშიც მათ არსებობა შეუძლიათ. ამიტომ, მაშინაც კი, როდესაც ისტორიული გრძნობა ნამდვილია და აზრთა წმინდა წყობიდან მომდინარეობს, ის საშინელი თვისებაა, რადგან ყოველთვის ძირს უთხრის და განადგურებამდე მიჰყავს ცოცხალი არსება: მისი სამართალი ყოველთვის განადგურებაა. ისტორიულ ინსტინქტს თუ მშენებლობის ინსტინქტი არ უმაგრებს ზურგს, თუ საგნები არ ნადგურდება და მოსუფთავდება იმისთვის, რომ იმედის სამეფოში უკვე მყოფი მომავალი გათავისუფლებულ საძირკველზე საკუთარ სახლს აშენებდეს და თუკი მხოლოდ სამართლიანობა სუფევს, მაშინ შემოქმედებითი ინსტინქტი სუსტდება და კარგავს მხნეობას. მაგალი-

თად, რელიგია, რომელიც წმინდა სამართლიანობის პატრონობისას ისტორიულ ცოდნად უნდა იქცეს და რომელიც სავსებით მეცნიერულად უნდა შევიმეცნოთ, იმავდროულად, ამ გზის ბოლოს, განადგურდება. მიზეზი ისაა, რომ ისტორიული შემოწმებისას უამრავი ყალბი, უხეში, არაადამიანური, აბსურდული, ძალადობრივი ყოველთვის დღის სინათლეზე გამოდის ისე, რომ აუცილებლად იფანტება ის პატივსაცემი ილუზიური განწყობილება, მხოლოდ რომელშიც შეუძლია იცოცხლოს ყველაფერს, რასაც კი სიცოცხლე სურს: თუმცა მხოლოდ სიყვარულში, მხოლოდ სიყვარულის ილუზიით დაჩრდილული, ქმნის ადამიანი; სახელდობრ, მხოლოდ სრულყოფილებისა და სამართლიანობის უპირობო რწმენით. ყველას, ვისაც აიძულებენ უპირობოდ აღარ უყვარდეთ, მის ძალას ფესვებშივე აშთობენ: ის უნდა გახმეს, ანუ იქცეს უნამუსოდ. ამგვარ ქმედებებში ისტორიას ხელოვნება უპირისპირდება: და მხოლოდ მაშინ, როდესაც ისტორია შეძლებს აიტანოს ფაქტი, რომ ხელოვნების ნიმუშად სახეცვლილი, ხელოვნების წმინდა ხატსახედ იქცეს, შეძლებს ის ინსტინქტის შენახვას და გალვიძებასაც კი. თუმცა ისტორიის ამგვარი აღწერა სრულ წინააღმდეგობაში მოვიდოდა ჩვენი დროის ანალიტიკურ და არაშემოქმდებით მიმართულებასთან და ის ყალბადაც კი შერაცხავდა მას. თუმცა ისტორია, რომელიც მხოლოდ ანადგურებს და არ ხელმძღვანელობს შენების ინსტინქტით, საბოლოოდ, თავის მუშაკებს მოყირჭებულად და არაბუნებრივად აქცევს, რადგან ეს ადამიანები ანგრევენ ილუზიებს, ხოლო „იმას, ვინც ილუზიებს საკუთარ თავსა და სხვებში ამსხვრევს, ბუნება მკაცრი ტირანივით სჯის“. კარგა ხნის განმავლობაში, შესაძლებელია, სრულიად უვნებლად და წინდაუხედავად დავკავდეთ ისტორიით, თითქოს ეს ისეთივე თავშესაქცევი საქმიანობა იყოს,

როგორც სხვა; ეს განსაკუთრებით ეტყობა ახალ თეოლოგიას, რომელმაც სავსებით უწყინარი კავშირები გააბა ისტორიასთან და ახლა საერთოდ არ სურს შენიშნოს, რომ ამით, სავარაუდოდ საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, ვოლტერისეულ écrasez-ს[18] ემსახურება. ნურავინ იგულისხმებს ამ კავშირის მიღმა ახლებურ, ძლიერ შენების ინსტიქტს; ამ შემთხვევაში, მოგვიწევდა ეგრედ წოდებული პროტესტანტული გაერთიანება მიგვეჩნია ახალი რელიგიის დედის წიაღად, ხოლო, მაგალითად, იურისტი ჰოლცენდორფი (უფრო მეტად ეგრედ წოდებული „პროტესტანტების ბიბლიის“ გამომცემელი და უპირველესი ქადაგი) მდინარე იორდანესთან მდგომ იოანე ნათლისმცემლად. გარკვეული დროის მანძილზე, ძველი თავების ჯერ კიდევ დამბინდავი ჰეგელის ფილოსოფია დაეხმარება ამ უწყინარი სწავლების გავრცელებას, ალბათ, იმით, რომ „ქრისტიანობის იდეას“ მისი არასრულყოფილი „გამოვლენის ფორმებისგან“ გამოარჩევს და საკუთარ თავს შთააგონებს, რომ „იდეის მიდრეკილებაა“, უფრო და უფრო წმინდა ფორმებში გამოავლინოს საკუთარი თავი, საბოლოოდ კი გამოვლინდეს ყველაზე წმინდა, გამჭვირვალე ან სულაც რთულად შესამჩნევ ფორმად ახლანდელი **theologus liberalis vulgaris**-ის[19] ტვინში. თუ ყურს დავუგდებთ ქრისტიანობის ეს წმინდა ფორმები როგორ საუბრობენ ქრისტიანობის წინა, არაწმინდა ფორმების შესახებ, შეიძლება მსმენელს, რომელიც საუბარში არ მონაწილეობს, შთაბეჭდილება შეექმნას, რომ ქრისტიანობაზე კი არ საუბრობენ, არამედ ... მაშ, სხვა რაღა უნდა ვიფიქროთ? როდესაც გვესმის, რომ „საუკუნის უდიდესი თეოლოგი“ ქრისტიანობას

---

[18] Écrasez l'Infâme – „გასრისეთ სამარცხვინო“; ეს ფრაზა აბოლოებს ვოლტერის მიერ დამილავილისთვის 1723-1768 წლებში მიწერილ წერილებს. სამარცხვინოში იგულისხმება ინკვიზიციური ძალები. *(მთარმნელის შენიშვნა)*

[19] მასების ლიბერალური თეოლოგია.

განსაზღვრავს რელიგიად, რომელიც საშუალებას იძლევა „თავისი თავი ყველა ნამდვილ და აგრეთვე სხვა, ჯერ მხოლოდ შესაძლებელ რელიგიებში შეიგრძნოს“ და როდესაც „ჭეშმარიტი ეკლესია“ უნდა იყოს ის, რაც „იქცევა დენად მასად, სადაც არავითარი გამოკვეთილი კონტური არ არსებობს და სადაც ყოველი ნაწილი ხან აქაა, ხანაც იქ და სადაც ყველაფერი ერთმანეთში მშვიდობიანად განზავდება“. კიდევ ერთხელ: მაშ, სხვა რაღა უნდა ვიფიქროთ?

ქრისტიანობისგან შეიძლება ვისწავლოთ, რომ იგი, ისტორიული დამუშავების გავლენით, მოყირჭებულად და არაბუნებრივად იქცა, სანამ, საბოლოოდ, სრულყოფილად ისტორიული ანუ სამართლიანი დამუშავება მას არ გადააქცევს ქრისტიანობის შესახებ წმინდა ცოდნად; ისტორიული დამუშავება ანადგურებს მას იმით, რომ ყველაფერს, რასაც მასში სიცოცხლე გააჩნია, შეისწავლის. ის კვდება, როდესაც მას ბოლომდე გაკვეთენ. ხოლო მტკივნეულად და ავადმყოფურად ცხოვრობს, თუკი მასზე ისტორიული გაკვეთის სავარჯიშოების ჩატარებას იწყებენ. არსებობენ ადამიანები, რომლებსაც სწამთ გერმანული მუსიკის რევოლუციური და რეფორმატორული სამკურნალო ძალისა გერმანელი ხალხისთვის: ისინი განრისხდებიან და არასამართლიანობად მიიჩნევენ, ჩადენილს ჩვენი კულტურის ყველაზე ცოცხალი ასპექტების მიმართ, როდესაც ისეთ ადამიანებს, როგორებიცაა მოცარტი და ბეთჰოვენი, უკვე ახლა აყრიათ თავზე ბიოგრაფიების მთელი მეცნიერული დომხალი და, ისტორიული კრიტიკის წამების სისტემის მეშვეობით, იძულებულნი არიან ათასგვარ თავხედურ შეკითხვას უპასუხონ. განა, სიცოცხლით ჯერ კიდევ აღსავსეს არ ვკლავთ ან, სულ მცირე, არ ვაჩლუნგებთ იმით, რომ საკუთარ ცნობისმოყვარეობას ცხოვრებისა და ნაწარმოების ურიცხ მიკ-

როსკოპულ დეტალებზე მივმართავთ და შემეცნებით პრობლემებს იქ ვეძებთ, სადაც ცხოვრება უნდა ვისწავლოთ და ყველა პრობლემა დავივიწყოთ? ახლა რამდენიმე ამგვარი ბიოგრაფი ფიქრებით მიმართეთ ქრისტიანობის ანდაც ლუთერული რეფორმაციის მშობლიური ქვეყნებისაკენ; მათი ფხიზელი, პრაგმატიზატორი ცნობისმოყვარეობა ზუსტადაც რომ საკმარისი იქნებოდა, რათა ყოველი სულიერი actio in distans[20] შეუძლებელი აღმოჩენილიყო: ზუსტად ისევე, როგორც ყველაზე უბადრუკ ცხოველს შეუძლია ყველაზე ძლიერი მუხის ზრდის დაბრკოლება იმით, რომ სანსლავს რკოებს. ყოველ ცოცხალ არსებას თავის გარშემო ესაჭიროება ატმოსფერო, საიდუმლოებით აღსავსე ნისლის წრე; თუ მას ამგვარ გარსს წაართმევენ, თუ რელიგიას, ხელოვნებას ან გენიოსს მიუსჯიან, იტრიალოს, როგორც მნათობმა ატმოსფეროს გარეშე, მაშინ აღარ უნდა გაგვიკვირდეს მათი სწრაფი ხმობა და უხეშად და უნაყოფოდ ქცევა. ასევეა ყველაფერი დიადის შემთხვევაში, „რომელსაც არასდროს მიუღწევია წარმატებისთვის გარკვეული ილუზიის გარეშე“, როგორც ჰანს ზაქსი ამბობს „მაისტერზინგერებში.“[21]

ყოველ ხალხს, ყოველ ადამიანს, რომელსაც სურს მომწიფდეს, ჭირდება მსგავსი შემფუთავი ილუზია, ასეთი დამცველი და დამფარავი ღრუბელი; დღესდღეობით საერთოდ ეზიზღებათ მომწიფება, რადგან ისტორიას სიცოცხლეზე მეტ პატივს სცემენ. დიახ: დღეს ზეიმობენ, რომ „მეცნიერება სიცოცხლეზე გაბატონებას იწყებს“. ამის მიღწევა მართლაც შესაძლებელია; მაგრამ ამგვარად დაქვემდებარებული სიცოცხლე ნამდვილად უფრო ნაკლებ ღირებულია, რადგან

---

[20] დისტანციური მოქმედება.

[21] იგულისხმება რიჰარდ ვაგნერის ოპერა „ნიურბერგელი მაისტერზინგერები“. *(მთარმნელის შენიშვნა)*

ის უფრო ცოტა სიცოცხლეა და ბევრად ნაკლებ სიცოცხლეს უზრუნველყოფს მომავლისთვის, ვიდრე ადრინდელი, – არა ცოდნას, არამედ ინსტინქტს და ძლიერ წარმოსახვით ხატ-სახეს დაქვემდებარებული – სიცოცხლე. თუმცა ჩვენი საუკუნე, როგორც ითქვა, სულაც არაა სრულად განვითარებული, მომწიფებული და ჰარმონიული პიროვნებებისა, არამედ საერთო და რაც შეიძლება მეტად სასარგებლო შრომის საუკუნეა. ეს კი მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ადამიანები ეპოქის მიზნებისკენ უნდა იყვნენ მიმართულები, რათა საქმეს რაც შეიძლება სწრაფად მიჰყონ ხელი; მათ უნდა იმუშავონ საზოგადო სარგებლიანობის ფაბრიკებში, სანამ მომწიფდებიან, თუმცა ამგვარად ისინი საერთოდ ვერ მწიფდებიან; განა, ფუფუნება არ იქნებოდა, „შრომითი ბაზრისთვის“ სამუშაო ძალის გარკვეული რაოდენობა ჩამოგვეშორებინა? ზოგიერთ ჩიტს აბრმავებენ, რათა უკეთესად იგალობოს: არ ვფიქრობ, რომ დღევანდელი ადამიანები თავიანთ ბაბუებზე უკეთესად გალობენ, მაგრამ ის კი ვიცი, რომ მათ დროზე ადრე აბრმავებენ. თუმცაღა საშუალება, ის წყეული საშუალება, რომელსაც მათ დასაბრმავებლად იყენებენ ზედმეტად ნათელი, უეცარი და ცვალებადი სინათლეა. ახალგაზრდა ადამიანს ყოველ საუკუნეში მათრახის რტყმევით მოატარებენ: ახალგაზრდებს, რომელთაც არაფერი ესმით ომის, დიპლომატიური ქმედებისა და სავაჭრო პოლიტიკისა, პოლიტიკური ისტორიის შესავალის ღირსად მიიჩნევენ. თუმცა სწორედ ისე, როგორც ახალგაზრდა ადამიანი დაეხეტება ისტორიაში, ასევე ჩვენ, თანამედროვეები დავრბივართ ხელოვნების პალატებში და სწორედ ასევე ვისმენთ კონცერტებს. ვგრძნობთ, რომ ერთი მელოდია მეორესგან განსხვავებულად ჟღერს და, რომ ერთი მეორესთან განსხვავებულ გავლენას ახდენს. განცვიფრების გრძნობის კიდევ

მეტად დაკარგვა, ზედმეტად არაფრით გაკვირვება, საბოლოოდ, ყველაფრის მოწონება – ამას ეწოდება ისტორიული გრძნობა, ისტორიული განათლება. შელამაზების გარეშე რომ ვთქვათ: შემომავალი ნაკადი იმდენად დიდია და ახალგაზრდულ სულში ისე ძლევამოსილად აღწევს „საშინელ გუნდად შეკრული“, გასაოცარი, ბარბაროსული და ძალადობრივი, რომ ახალგაზრდებს საკუთარი თავის ხსნა მხოლოდ წინასწარგანზრახული გულგრილობით შეუძლიათ. ხოლო, სადაც უფრო საღი და ძლიერი ცნობიერებაა საფუძვლად, განსხვავებული გრძნობა ვლინდება – ზიზღი. ახალგაზრდა ადამიანი უსახლკაროდაა ქცეული და ეჭვი შეაქვს ყოველგვარ ზნე-ჩვეულებასა და ცნებაში. დღესდღეობით მან იცის: ყველა სხვა დროს განსხვავებულად იყო, ამიტომ სულერთია ვინ ხარ. მელანქოლიურ უგრძნობლობაში, იგი საშუალებას აძლევს აზრებს მიყოლებით გადაუარონ და დიოგენე ლაერტელის ძველი ბერძნების შესახებ მონათხრობის კითხვისას, ჩასწვდება ჰოლდერლინის სიტყვებსა და განწყობას: „კვლავ შევირძენი ის, რაც რამდენჯერმე მანამდეც შემხვედრია: რომ წარმავალი და ცვალებადი ადამიანური იდეები და სისტემები ჩემზე უფრო ტრაგიკულად მოქმედებენ, ვიდრე ბედისწერა, რომელსაც ერთადერთ სინამდვილეს უწოდებენ“. არა: ასეთი წამლეკავი, დამაყრუებელი და ძალადობრივი ისტორიზაცია ნამდვილად არაა აუცილებელი ახალგაზრდობისთვის, როგორც მხცოვანთა მაგალითი გვიჩვენებს და მეტისმეტად საშიშია, როგორც ახალგაზრდების შემთხვევა გვასწავლის. ახლა დააკვირდით ისტორიის შემსწავლელ სტუდენტს, ნაადრევი, ლამის ყმაწვილობის ასაკში უკვე შესამჩნევი მოყირჭების ამ მემკვიდრეს. ახლა იგი „მეთოდს“ საკუთარ სამუშაოს უსადაგებს, ითვისებს ოსტატის სწორ ხერხსა და დახვეწილ ტონს. წარსულის სავსებით იზოლირე-

ბული წიგნის პატარა თავები მისი გამჭრიახობისა და დასწავლილი მეთოდის მსხვერპლად იქცნენ; მან უკვე აწარმოა ან უფრო საამაყოდ თუ ვიტყვით: მან „შექმნა“; ახლა იგი უკვე საქმით იქცა ჭეშმარიტების მსახურად და ისტორიული მსოფლიო დარგის ბატონად. ბავშვობისას ის თუ მზად იყო, ახლა ის მეტისმეტად მზადაა: საკმარისია ოდნავ შევაჯანჯღაროთ, რომ მისი სიბრძნე რახა-რუხით ჩამოცვივდება. თუმცა ეს სიბრძნე დამპალია; ყოველ ვაშლს ხომ თავისი ჭია ყავს. ადამიანები სამეცნიერო ფაბრიკებში თუ მუშაობენ და თუ მომწიფებამდე უნდა იქცნენ სასარგებლოდ, ვგონებ, მაშინ მეცნიერებაც ისევე განადგურება, როგორც მონები, რომლებსაც დღესდღეობით ამ ფაბრიკებში იყენებენ. დასანანია, რომ აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ ისეთი სასაუბრო ჟარგონები, როგორებიცაა „მონათმფლობელი“ და „დამსაქმებელი“ იმგვარი ურთიერთობის აღსაწერად, რომლებიც სარგებლიანობისა და ყოფითი აუცილებლობებისგან თავისუფლად უნდა მიიჩნეოდნენ. თუმცა მეცნიერთა უახლესი თაობის დახასიათებას თუ მოვისურვებთ, უნებურად ენაზე მოგვადგება სიტყვები: „ფაბრიკა“, „სამუშაო ბაზარი“, „შემოთავაზება“, „ექსპლოატაცია“ და ეგოიზმის დამხმარე სხვა სიტყვებიც. სოლიდური უფერულობა უფრო მეტ უფერულობად იქცევა, მეცნიერება – ეკონომიკური აზრით, უფრო სასარგებლოდ. უახლესი დროის მეცნიერები არსებითად მხოლოდ ერთ საკითხში არიან ჭკვიანები და ამაში, ცხადია, წარსულის ყველა ადამიანზე მეტად ჭკვიანებიც, ყველაფერ დანარჩენში კი მხოლოდ დაუსრულებლად განსხვავებული, – სიფრთხილით რომ ვთქვათ, – ვიდრე ძველებური ყაიდის მეცნიერები. მიუხედავად ამისა, ისინი დაფასებასა და სარგებელს ითხოვენ, თითქოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი აზრი ვალდებულნი იყვნენ, ახალი მონეტები ისევე

მნიშვნელოვნად მიიჩნიონ, როგორც ძველები. შავმა მუშებმა ერთმანეთში შრომითი ხელშეკრულება დადეს და გენიოსი ზედმეტად გამოაცხადეს იმის მეშვეობით, რომ თითოეულ შავ მუშას გენიის შტამპი დაარტყეს. სავარაუდოდ, შემდგომი ეპოქა მათ ნაგებობებს მიიჩნევს, არა მყარად აშენებულად, არამედ შეკოწიწებულად. მათ, რომლებიც თანამედროვეებს ბრძოლისა და მსხვერპლის გაღებისკენ მოუწოდებენ და პირზე აკერიათ – „შრომის განაწილება! რიგში და მხარდამხარ!“ – გასაგებად და მოკლედ უნდა ვუთხრათ: თუ გსურთ მეცნიერების რაც შეიძლება სწრაფად წახალისება, მაშინ მას მეტისმეტად სწრაფად გაანადგურებთ; ზუსტად ისევე, როგორც ქათამი იღუპება, თუ მას ხელოვნურად დავაძალებთ, რაც შეიძლება მალე დადოს კვერცხები. მართლაც: მეცნიერება უკანასკნელ ათწლეულებში საოცრად სწრაფად განვითარდა: მაგრამ ახლა შეხედეთ მეცნიერებს, ამ ძალაგამოცლილ ქათმებს. ისინი ნამდვილად არ არიან „ჰარმონიული“ ნატურები; კაკანი ახლა მეტად შეუძლიათ, ვიდრე უწინ, რადგან ახლა მეტ კვერცხებს დებენ: ცხადია, კვერცხები უფრო პატარავდებიან (თუმცალა წიგნები მუდამ სქელდებიან). ამ ყველაფრის საბოლოო და ბუნებრივი შედეგია საყოველთაოდ საყვარელი მეცნიერების „პოპულარიზაცია“ („ფემინიზაციისა“ და „ინფანტიზაციის“ გვერდით), ანუ მეცნიერების კაბის საძრახისი მისადაგება „ნაირფერი პუბლიკის“ სხეულზე (აქ, ვცდილობ გამოვიყენო მოზომილი გერმანული მოზომილი საქმიანობისთვის). გოეთე ამას ბოროტ გამოყენებად მიიჩნევდა და მოითხოვდა, მეცნიერებებს მხოლოდ ამაღლებული პრაქტიკის მეშვეობით მოეხდინათ გარესამყაროზე გავლენა. გარდა ამისა, მეცნიერთა ძველ თაობას, გასაგები მიზეზების გამო, ამგვარი ბოროტად გამოყენება რთულად და დამღლელად მიაჩნდათ. ასევე გასაგები მიზეზების გამო, ეს უმარტივდება მეცნიერთა ახალ

თაობას, რადგან თავად ისინი, სულ პატარა ცოდნის კუთხეს თუ არ ჩავთვლით, მეტად ნაირფერ პუბლიკას წარმოადგენენ და მათ საჭიროებებს საკუთარ თავში ატარებენ. საჭიროა მხოლოდ მოხერხებულად მოკალათდნენ, რათა კვლევის თავიანთ მცირე სფეროთი წარმატებით დააინტერესონ ხსენებული, ნაირფერი, პოპულარული, სიახლეს მოწყურებული ცნობისმოყვარეობა. შემდგომში კომფორტულობის ამ აქტზე პრეტენზიას აცხადებს სახელი – „მეცნიერის თავმდაბალი დაშვება თავის ხალხთან“: სინამდვილეში კი მეცნიერი საკუთარ თავამდე დადის, რადგან ის მეცნიერი კი არაა, არამედ ბრბოს ნაწილია. შეიქმენით თქვენთვის ხალხის ნამდვილი „ცნება“: ის ვერასდროს იქნება კეთილშობილური და საკმარისად ამაღლებული. სინამდვილეში ხალხის შესახებ ამაღლებული აზრისანი რომ ყოფილიყავით, მისადმი გულმოწყალე იქნებოდით და თავს შეიკავებდით, მისთვის გამამხნევებელი და სასიცოცხლო დასალევის სახით შეგეთავაზებინათ თქვენი ისტორიული აზოტის მჟავა. თუმცა გულის სილრმეში მასზე დიდი წარმოდგენისა არ ხართ, რადგან არ შეგიძლიათ, გამოიჩიონოთ ჭეშმარიტი და მყარად დაფუძნებული ყურადღება მისი მომავლისადმი; თქვენ პრაქტიკული პესიმისტების მსგავსად მოქმედებთ, ანუ იმ ადამიანების მსგავსად, რომლებსაც სიკვდილის წინათგრძნობა წარმართავთ და რომლებიც, ამის გამო, იქცნენ აპათიურად და გულგრილად სხვათა და თვით საკუთარი სიკეთის მიმართაც კი. ოლონდაც დედამიწამ კიდევ გვატაროს! ხოლო თუ აღარ გვატარებს, ამასაც არა უშავს: – აი, ამას გრძნობენ ისინი და განაგრძობენ თავიანთ ირონიულ არსებობას.

8

შეიძლება მოგვეჩვენოს გასაკვირად, მაგრამ არა წინაალმდეგობრივად, როდესაც იმ ეპოქას, რომელიც ასე გასაგონად, აბეზარად და უზრუნველად ზეიმობს საკუთარ ისტორიულ განათლებას, მიუხედავად ამისა, ერთგვარ ირონიულ თვითცნობიერებასა და ამ ზეიმის ატმოსფეროს გამჟღენთ იმ წინათგრძნობას მივაწერ, რომლის მიხედვითაც აქ ზეიმი არ მიმდინარეობს და ასევე – შიშს, რომ ისტორიული ცოდნის მხიარულება მალე ჩაივლის. მსგავსი გამოცანის წინაშე დაგვაყენა გოეთემ, ნიუტონის მისეული, ღირსშესანიშნავი ალწერის მეშვეობით: ის პოულობს თავისი არსებობის საფუძველში (ან უფრო სწორად: მწვერვალზე) „მისი მცდარობის შავბნელ წინათგრძნობას“, როგორც მხოლოდ ცალკეულ მომენტებში შესამჩნევ გამოხატულებას განსჯის ალმატებული ძალის მქონე ცნობიერებისა, რომელმაც მისთვის აუცილებელ, მასში შინაგანად არსებული ბუნების განჭვრეტის განსაზღვრულ ირონიულ წერტილს მიაღწია. ისტორიულ ადამიანებში ამგვარად ალმოვაჩენთ დიდ და მაღალგანვითარებულ, ხშირად საყოველთაო სკეპსისამდე დამდაბლებულ ცნობიერებას იმის შესახებ, თუ რაოდენ დიდი უაზრობა და ცრურწმენაა გჯეროდეს, რომ ხალხის აღზრდა უპირატესად ისტორიული უნდა იყოს, როგორიც ეს დღესაა. თუმცა ყველაზე ძლიერი ხალხები – კერძოდ, ძლიერნი ქმედებებითა და საქმეებით – სხვაგვარად ცხოვრობდნენ, სხვაგვარად ზრდიდნენ თავიანთ ახალგაზრდებს. თუმცა ეს უაზრობა და ცრურწმენა მოგვესადაგება ჩვენ – ასე ჟღერს სკეპტიკური შეპასუხება – ჩვენ, გვიან მოსულებს, უფრო ძლიერი და ზნემხიარული ჯიშის გაუფერულებულ, უკანასკნელ საფეხურებს, ჩვენ – რომლებსაც შეეფერება ჰესიოდეს წინასწარმეტყველება, რომ ერთხელაც ადამიანები ჭაღარა დაიბადებიან და რომ

ზევსი ამ თაობას გაანადგურებს, როგორც კი ეს ნიშანი შესამჩნევი გახდება. ისტორიული განათლება თანდაყოლილი ჭალარის სახესხვაობას წარმოადგენს; ხოლო ისინი, ვინც მის ნიშანს ბავშვობიდანვე ატარებენ, კაცობრიობის სიბერის ინსტინქტურ რწმენამდე უნდა მივიდნენ. ასაკს კი დღესდღეობით მხცოვანთა საქმიანობა შეეფერება. სახელდობრ: უკან ყურება, დაანგარიშება, დასკვნების გამოტანა, მოგონებების მეშვეობით წარსულში ნუგეშის ძიება; მოკლედ რომ ვთქვათ, ისტორიული განათლება. თუმცა კაცთა მოდგმა უხეში და ჯიუტია და სულაც არ სურს მისი წინ თუ უკან გადადგმული ნაბიჯები ათასწლეულით და ათიათასწლეულებით იზომებოდეს; ანუ მას არ სურს განიხილებოდეს უსასრულოდ მცირე ატომის წერტილის – ცალკეული ადამიანის მიერ. რას შეიძლება ნიშნავდეს რამდენიმე ათასწლეული (ან სხვაგვარად რომ ვთქვათ: დროის პერიოდი, მიყოლებით მცხოვრები ოცდათოთხმეტი ადამიანისა, რომელთა თითოეული სიცოცხლე სამოც წელს გრძელდება), რომ ამ დროის დასაწყისი „ახალგაზრდობად“ მივიჩნიოთ, ხოლო მისი დასასრული – „კაცობრიობის მხცოვანებად“. დამაჩლუნგებელ რწმენაში, რომ კაცობრიობა უკვე ჭკნობის პროცესშია, ხომ არ იმალება შუა საუკუნეებიდან შთამომავლობით მიღებული ქრისტიანულ-თეოლოგიური წარმოდგენის არასწორი გაგება, – მსოფლიოს აღსასრულის მოახლოებაზე და ფიქრი სამსჯავროზე, რომელსაც ცახცახით ელიან? ამ წარმოდგენამ განა ახლებური ფორმა არ მიიღო სასამართლოს გაძლიერებული მოთხოვნილების მეშვეობით, თითქოს ჩვენი ეპოქა, შესაძლებელთა შორის უკანასკნელი, თავად იყოს პასუხისმგებელი ყოველივე ჩავლილს მოუწყოს უკანასკნელი სამსჯავრო, რომელსაც ქრისტიანული რწმენა მოელოდა, თუმც მოელოდა არავითარ შემთხვევაში ადამიანებისგან,

არამედ „ძე კაცისაგან“? ადრე ეს Memento mori,[22] მიმართული, როგორც მთლიანად კაცობრიობისკენ, ისე ცალკეული ადამიანისკენ, წარმოადგენდა მარადიულ მტანჯველ ნესტარს და შუასაუკუნეობრივი ცოდნისა თუ სინდისის ერთგვარ მწვერვალს. მის წინააღმდეგ შემოძახილი ახალი დროის სიტყვა, – Memento vivere[23] – პირდაპირ რომ ვთქვათ, საკმაოდ შიშნეულად ჟღერს, არ წარმოითქმის სავსე ხმით და რალაც არაგულწრფელთან დაახლოებულს შეიცავს. კაცობრიობა ჯერ კიდევ მყარად მოკალათებულა Memento mori-ზე და ამას თავისი უნივერსალური ისტორიული საჭიროებით ამჟღავნებს: ცოდნამ, მიუხედავად თავისი ფრთების ძლიერი მოქნევისა, ვერ შეძლო თავის დახსნა თავისუფლებაში; უიმედობის განცდა კვლავ არსებობს და ხსენებული ისტორიული შეფერილობა მიიღო, რომლითაც დღესდღეობით ყოველი უმაღლესი აღზრდა და განათლება მელანქოლიურად არის დაბინდული. რელიგია, რომელიც ადამიანის ცხოვრების საათებიდან უკანასკნელს ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევს და რომელიც დედამიწაზე სიცოცხლის შეწყვეტას წინასწარმეტყველებს და ყოველ ცოცხალ არსებას ტრაგედიის მეხუთე აქტში ცხოვრებას მიუსჯის, აღვიძებს ყველაზე სილრმისეულ და ყველაზე კეთილშობილ ძალებს, მაგრამ მტრულადაა განწყობილი ყოველივე ახლის დანერგვის, გაბედულ ძიებათა, თავისუფალ მისწრაფებათა მიმართ. იგი ეწინააღმდეგება გამოუცნობის სფეროში ნებისმიერ გაფრენას, რადგან მას იქ არ დაედგომება, იქ იმედები არ აქვს. რელიგია მხოლოდ საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ აძლევს გავლენის გავრცელების საშუალებას დამდეგს, რათა ის, შესაფერის დროს, ვითარცა არსებობისკენ

---

[22] გახსოვდეს სიკვდილი.
[23] გახსოვდეს სიცოცხლე.

საცდური, ვითარცა არსებობის ღირებულების შესახებ მატყუარა, გვერდზე ჩააჩოჩოს და მსხვერპლად შესწიროს. ქრისტიანობას სურს, თითოეული კულტურისადმი, – რომელიც ახალისებს წინსვლას და ხსენებულ Memento vivere-ს მიჰყვება, ვითარცა დევიზს, – მოიმოქმედოს ის, რასაც ფლორენციელები აკეთებდნენ, როდესაც, სავონაროლას სინანულისკენ მოწოდებულ ქადაგებათა შთაბეჭდილების ზეგავლენით, ცნობილ სამსხვერპლო ცეცხლში წვავდნენ ნახატებს, ხელნაწერებს, სარკეებსა და ნიღბებს. ხოლო, როდესაც ამის მიღწევა პირდაპირი გზით, ზედმეტი მიკიბვ-მოკიბვით – კერძოდ, ჭარბი ძალის გარეშე – შეუძლებელი ხდება, იგი მიზანს მაინც აღწევს, როდესაც ისტორიულ განათლებას უკავშირდება – ხშირად ამის გაცნობიერების გარეშეც კი – და ახლა, მისი სახელით მოსაუბრე, ყველაფერ დამდეგს მხრების აჩეჩვით უარყოფს და მათზე ავრცელებს ზედმეტად გვიან მოსულისათვის და ეპიგონთათვის დამახასიათებელ გრძნობას; მოკლედ რომ ვთქვათ, თანშობილი ჭაღარის გრძნობას. მკაცრმა კრიტიკამ და სიღრმისეულად სერიოზულმა განაზრებამ ყოველივე მომხდარის უვარგისობის შესახებ, მსოფლიოს მსაჯულობისათვის მომწიფებულობის შესახებ, სკეპტიკურ ცნობიერებას შეაფარა თავი; მისი მიხედვით ყოველთვის კარგია, ვიცოდეთ ყოველივე მომხდარის შესახებ, რადგან რაიმე უკეთესის მოქმედება უკვე გვიანაა. ამრიგად, ისტორიული გრძნობა თავის მსახურს პასიურად და რეტროსპექტულად აქცევს და მხოლოდ წამიერ დავიწყებაში, როდესაც ეს გრძნობა მოქმედებას წყვეტს, აქტიურდება ისტორიული ციებ-ცხელებით დაავადებული ადამიანი; თუმცა მის საქმიანობასაც გაკვეთენ; როგორც კი მისი მოქმედება დასრულდება, მისი შემდგომ გავლენას ანალიტიკური განაზრებებით შეაფერხებენ და, საბოლოოდ, ისტო-

რიისათვის გაატყავებენ. ამ აზრით, ჩვენ ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ვცხოვრობთ, ისტორია კი კვლავაც შენილბული თეოლოგიაა: ამის მსგავსად, პატივისცემა, რომლითაც არამეცნიერი დილეტანტი მეცნიერთა კასტას ეპყრობა, სასულიერო პირებისადმი პატივისცემიდან მომდინარებს. რასაც ადრე ხალხი ეკლესიებს სწირავდა, ახლა მეცნიერებას მიაგებებს, თუმცა უფრო მომჭირნედ. მაგრამ იმას, რომ ადამიანი საერთოდ გასცემს, ერთ დროს, სწორედ ეკლესიამ მიაღწია და არა უპირველესად თანამედროვე სულმა, რომელიც, თავის სხვა მახასიათებლებთან ერთად, სიძუნწითაა გამორჩეული და გულუხვობის სათნოებას ხეირიანად არც იცნობს.

შეიძლება, ეს შენიშვნები არაა მოსაწონი; ალბათ, ისევე მცირედ, როგორც ისტორიის სიჭარბის გამოყვანაა შუასაუკუნეობრივი Memento mori-დან და იმ უიმედობიდან, რომელსაც ქრისტიანობა გულში ატარებს, მიწიერი არსებობის ყოველი მომავალი ეპოქისადმი. თუმცა ჩემს მიერ მხოლოდ დაეჭვებით გამოთქმული ეს განმარტება უკეთესი განმარტებით მაინც უნდა შეცვალონ; რადგან ისტორიული განათლების წარმოშობა და „ახალი დროის“ სულთან, „თანამედროვე ცნობიერებასთან“ მისი შინაგანი, სავსებით რადიკალური წინააღმდეგობა ისტორიულად უნდა აიხსნას, ისტორიამ ისტორიის პრობლემა თავად უნდა გადაჭრას, ცოდნამ თავისი ნესტარი საკუთარი თავის წინააღმდეგ უნდა მოატრიალოს – ეს სამმაგი უნდა „ახალი დროის“ სულის იმპერატივია, თუ მასში მართლაც არის რალაც ახალი, ძლიერი, სიცოცხლის მომასწავებელი და პირველსაწყისი. ან ეგებ ისაა ჭეშმარიტება, რომ ჩვენ გერმანელები – რომანულ ერებზე რომ არაფერი ვთქვათ – კულტურის ყოველ ამაღლებულ გამოვლინებებში მუდამ მხოლოდ „შთამომავლები“ უნდა ვიყოთ, რადგან ჩვენ

მხოლოდ „შთამომავლად“ ყოფნა შეგვიძლია: როგორც ეს მეტად დამაფიქრებელი წინადადება ვილჰელმ ვაკერნაგელმა გამოთქვა: „ჩვენ, გერმანელები, მხოლოდ შთამომავლობის ხალხი ვართ; მთელი ჩვენი ამაღლებული ცოდნით, თვით ჩვენი რწმენით ძველი ეპოქის მემკვიდრეებს წარმოვადგენთ; ამ ფაქტისადმი მტრულად განწყობილებიც კი, რომელთაც ეს არ სურთ, ქრისტიანულ სულთან ერთად, ძველი კლასიკური განათლების უკვდავ სულს შეუწყვეტლივ შეიგრძნობენ. ვინმეს რომ მოეხერხებინა ამ ორი ელემენტის მოშორება სასიცოცხლო ატმოსფეროსგან, რომელიც გარს არტყია შინაგან ადამიანს, მისგან ბევრი არაფერი დარჩებოდა, რათა სულიერი ცხოვრება შესაძლებელი ყოფილიყო“. თუმცა მაშინაც კი, როდესაც თავს იმით დავიმშვიდებთ, რომ ჩვენი მოწოდება წარსულის შთამომავლებად ყოფნაა, მაშინაც კი, თუ გადავწყვეტდით ჩვენი ეს მოწოდება დაჟინებით მიგვეჩნია სერიოზულად და დიადად და ამ დაჟინებაში ჩვენი განმასხვავებელი და ერთადერთი პრივილეგია ამოგვეცნო, – მიუხედავად ამ ყველაფრისა, იძულებული ვიქნებოდით, დაგვესვა შეკითხვა, ჩვენი დანიშნულება მარადიულად ის ხომ არ უნდა იყოს, რომ დაკნინების გზას მდგარ, ანტიკურობის აღზრდილებს წარმოვადგენდეთ. ოდესმე შეიძლება ნებადართული იყოს, ნაბიჯ-ნაბიჯ უფრო მაღალი და უფრო შორეული მიზნები დავისახოთ; ოდესმე შეგვაქებენ, რომ ალექსანდრულ-რომაული სული ჩვენში – მათ შორის, ჩვენი უნივერსალური ისტორიის მეშვეობითაც – ისე ნაყოფიერად და დიდებულად კვლავვაწარმოეთ, რომ შემდეგ, როგორც კეთილშობილურ ჯილდოს, უფრო დიად ამოცანას დავისახავთ: ვისწრაფოდეთ ამ ალექსანდრიული სამყაროს უკან და მასზე მაღლა, რათა დიადის, ბუნებრივისა და ადამიანურის ძველბერძნულ პირველ-

სამყაროში ვეძიოთ გაბედული მზერის ჩვენებური ნიმუშები. თუმცა იქ არსობრივად არაისტორიული განათლების სინამდვილეს აღმოვაჩენთ და, მიუხედავად ამისა, ან უფრო სწორედ: აქედან გამომდინარე, ენით აუწერლად მდიდარი და სიცოცხლით აღსავსე განათლებისა. ჩვენ, გერმანელები – შთამომავლების გარდა რომ არაფერი ვიყოთ – როგორც შთამომავლები დიადად და ამაყად ყოფნას იმით მაინც შევძლებდით, რომ ხსენებულ განათლებას ჩვენ მიერ ასათვისებელ მემკვიდრეობად მივიჩნევდით.

ამით მხოლოდ ერთი რამის თქმა გვსურს და სხვა არაფრის: ფიქრს, (რომელიც ხშირად მტკივნეულად გვეჩვენება) თითქოს ეპიგონენი ვიყოთ, მისი ფართოდ გააზრების შემთხვევაში, როგორც ცალკეული ადამიანებისთვის, ისე მთლიანი ხალხისთვის, მეტად მნიშვნელოვანი შედეგები და მომავლისკენ იმედიანი მისწრაფებები შეუძლია უზრუნველყოს იმდენად, რამდენადაც საკუთარ თავს კლასიკური სამყაროს გამაოცებელი ძალის მემკვიდრეებად და შთამომავლებად მივიჩნევდით და ამაში დავინახავდით ჩვენს ღირსებასა და განმასხვავებელ ნიშანს. მაგრამ დავინახავდით არა, როგორც უფრო ძლიერი ჯიშის უფერული და დამჭკნარი ნაბოლარები, რომლებიც ხსენებული ჯიშის ანტიკვარების და მესაფლავეთა უბადრუკი ცხოვრებით ცხოვრობენ. ცხადია, ამგვარ ნაბოლარათა არსებობა ირონიულია. განადგურება ფეხდაფეხ დასდევს მათ დუნე ცხოვრებისეულ მსვლელობას. წარსულით ტკბობისას, ისინი ცახცახებენ მის წინაშე, რადგან ეს ნაბოლარები მოსიარულე მახსოვრობას წარმოადგენენ და მაინც: მათი მოგონებები შთამომავლების გარეშე უაზროა. ამიტომაც, მათ ბნელი წინათგრძნობა მოიცავთ, რომ მათი ცხოვრება უსამართლოა, რადგან მას ვერც ერთი მომავალი სიცოცხლე ვერ გაამართლებს.

წარმოვიდგინოთ, რომ ამ ანტიკვარულმა ნაბოლარებმა მტკივნეულად ირონიული მორიდებულობა უეცრად მოურიდებლობით შეცვალონ. წარმოვიდგინოთ, რომ ისინი მჟღერი ხმით აცხადებენ: ჩვენი თაობა თავისი განვითარების მწვერვალზეა, რადგან ახლა მას საკუთარი თავის შესახებ გააჩნია ცოდნა და ახლა გაიხსნა საკუთარი თავისათვის; და მაშინ გათამაშდებოდა სპექტაკლი, რომელშიც, როგორც ალეგორიაში, გერმანული განათლებისთვის მეტად ცნობილი ფილოსოფიის გამოუცნობი მნიშვნელობა გაიშიფრებოდა. ვფიქრობ, გერმანული განათლების უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში ვერ შევხვდებით ვერც ერთ საშიშ რყევასა თუ ცვლილებას, რომელიც უფრო საშიში არ გამხდარიყო ამ – სახელდობრ, ჰეგელის – ფილოსოფიის გავლენით, რომელიც დღემდე განაგრძობს მოქმედებას. ჭეშმარიტად დამაჩლუნგებელია და იმედს გვიცრუებს ეპოქის ნაბოლარად ყოფნის რწმენა: საშიში და დამანგრეველი უნდა იყოს, როდესაც ეპოქის მსგავსი რწმენა, უფრო გაბედული ცვლილების მეშვეობით, ნაბოლარას ღმერთად გამოაცხადებს, ვითარცა ჭეშმარიტ აზრსა და მიზანს ყოველი უწინდელი მოვლენისა და როდესაც მისი განათლებული უბადრუკობა მსოფლიო ისტორიის დასასრულს უთანაბრდება. განაზრებების ამგვარმა ტიპმა გერმანელები „მსოფლიო პროცესზე“ საუბარსა და საკუთარი ეპოქის, ვითარცა მსოფლიო პროცესის აუცილებელი შედეგის გამართლებას მიაჩვია. განაზრების მსგავსმა ტიპმა ისტორია სხვა სულიერი ძალების, ხელოვნების, რელიგიის ადგილას ერთადერთ სუვერენად დააყენა, რადგან ის „საკუთარ თავში რეალიზებადი ცნებაა“ და რადგან ის „ხალხის გონთა დიალექტიკაა“ და „მსოფლიო სამსჯავროა“.

ჰეგელისებურად გაგებულ ისტორიას, დაცინვით, ღმერთის დედამიწაზე ხეტიალს უწოდებენ; ღმერ-

თისა, რომელიც, თავის მხრივ, პირველად, თვით ისტორიის მიერ შეიქმნა. თუმცა ეს ღმერთი ჰეგელი თავის ქალის შიგნით იქცა ნათლად და გასაგებად და მისი ჩამოყალიბების ყველა დიალექტიკური საფეხური აიარა, ხსენებულ თვითგამოვლინებამდე ისე, რომ მსოფლიო პროცესის უმაღლესი და უკანასკნელი წერტილი ჰეგელისთვის მის ბერლინურ არსებობას დაემთხვა. გარდა ამისა, ჰეგელს უნდა ეთქვა, რომ მის შემდგომ მომხდარი ყოველი მოვლენა, მხოლოდ მუსიკალური კოდაა მსოფლიო ისტორიული რონდოსი ან, უფრო ზუსტად, რომ ეს მოვლენები რაღაც ზედმეტობად მიეჩნიათ. მას'ეს არ უთქვამს, მაგრამ მისი ფილოსოფიით გაჟღენთილ თაობებში „ისტორიის ძალით" აღტაცება ჩანერგა, რომელიც ცხოვრებაში წარმატების წინაშე ბრმა გაკვირვებად იქცევა და ფაქტობრივისადმი კერპთაყვანისმცემლურ მსახურებამდე მივყავართ. ამ მსახურებისთვის მეტად მითოლოგიურ და, ამასთან ერთად, მეტად გერმანულ გამოთქმას – „ფაქტებისთვის თვალის გასწორება" – იყენებენ: თუმცა მან, ვინც „ისტორიის ძალის წინაშე" თავიდანვე ისწავლა წელში მოხრა და თავის დახრა, საბოლოოდ, ჩინელის მსგავსად, მექანიკურად, „კი"-ს მეშვეობით, ყოველი ძალაუფლების წინაშე იხრის ქედს – იქნება ეს მთავრობა, საზოგადოებრივი აზრი თუ რიცხობრივი უმრავლესობა; ხოლო კიდურებს იმ ტაქტის მიხედვით ამოძრავებს, რომლითაც რომელიმე „ძალაფულება" სადავეებს ქაჩავს. თითოეული წარმატება თავის თავში გონივრულ აუცილებლობას მოიცავს; ყოველი მოვლენა ხომ ლოგიკურის ანდაც „იდეის" გამარჯვებაა. შემდეგ სწრაფად უნდა დავიჩოქოთ და წარმატების მთელი იერარქიული კიბე ჩოქვით ავიაროთ. რა – აღარ არსებობს გაბატონებული მითოლოგიები? რა – რელიგიები გადაშენების პირას არის მისული? მხოლოდ შეხედეთ, ისტორიული ძა-

ლის რელიგიას; დააკვირდით, იდეური მითოლოგიის ღვთისმსახურებს, მათ გადატყავებულ მუხლებს. განა, ვერ ხედავთ, რომ ღირსებები ამ ახალ რწმენას მიჰყვება? განა, საკუთარი თავის დაკარგვა არაა, როდესაც ისტორიული ადამიანი საშუალებას იძლევა, იქცეს ობიექტურ სარკის მინად? განა, დიდსულოვნება არაა, როდესაც ის ყოველგვარ მიწიერ და ზეციურ ძალაუფლებაზე უარს ამბობს იმის მეშვეობით, რომ ყოველ ძალაუფლებაში თაყვანს სცემს „ძალაუფლებას თავისთავად“? განა, სამართლიანობა არაა, როცა ძალაუფლების სასწორის პინები ხელში უკავია და ფხიზლად აკვირდება, რომელი გადაძალავს, როგორც უფრო ძლიერი და უფრო მძიმე? როგორი წესიერების სკოლაა ისტორიის ამგვარი განაზრება! ყველაფრის ობიექტურად აღქმა, არაფერზე გაჯავრება, არაფრის სიყვარული, ყველაფრის გაგება – ეს ყოველივე რაოდენ უწყინრად და დამყოლად აქცევს ადამიანს. თვით ამ სკოლაში აღზრდილი როდესაც სახალხოდ ცხარობს და ბრაზობს, ეს მხოლოდ ახარებთ, რადგან ყველამ კარგად იცის, რომ ეს არტისტული ჩანაფიქრია, რომ ეს არის **ira** და **studium** და მაინც, სავსებით **sine ira et studio**.[24]

რაოდენ მოძველებულია აზრები, რომელიც მითოლოგიისა და ღირსების ერთიანობის წინააღმდეგ გულში მაქვს! მაგრამ ისინი უნდა გამოვთქვა; დაე, ამაზე გამუდმებით იცინონ. ასე ვიტყოდი: ისტორია მუდმივად ჩაგვაგონებს: „ეს იყო ერთხელ“, მორალი – „თქვენ არ უნდა ქნათ“ ანდაც „არ უნდა გექნათ“. ასე რომ, ისტორია ფაქტიური ამორალობის კომპენდიუმად იქცევა. რაოდენ საშინლად შეცდება ის, ვინც ისტორიას, ამავე დროს, განიხილავდა ამ ფაქტიური ამორალობის მსაჯულად. ჩვენ მორალურ გრძნობას შეურაცხყოფს ფაქტი, რომ რაფაელი ოცდათექვსმეტი

---

[24] რისხვა და ენთუზიაზმი ... რისხვისა და ენთუზიაზმის გარეშე.

წლისა უნდა გარდაცვლილიყო: ამგვარი არსებები ხომ არ უნდა იღუპებოდნენ. თუ ისტორიის დახმარება გსურთ, მაშინ ვითარცა ფაქტის აპოლოგეტები, იტყვით: ყველაფერი, რაც მასში იყო, რაფაელმა გადმოსცა; უფრო ხანგრძლივი ცხოვრების შემთხვევაში, ის მშვენიერებას, როგორც მსგავს მშვენიერებას შექმნიდა და არა, როგორც ახალ მშვენიერებას და ასე შემდეგ. თქვენ ეშმაკის ადვოკატები ხართ, სახელდობრ, იმით, რომ წარმატებისგან, ფაქტისგან კერპს იქმნით, რადგან ფაქტი ყოველთვის უაზროა და ყოველთვის კერპს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე ღმერთს. გარდა ამისა, თქვენ, როგორც ისტორიის აპოლოგეტებს, სუფლიორობას უცოდინრობა გიწევთ: რადგან არ იცით, თუ რას წარმოადგენს ისეთი Natura Naturans,[25] როგორიც რაფაელია, მზად არ ხართ გაიგოთ, რომ ის იყო და აღარ იქნება. ცოტა ხნის წინ, გოეთესთან დაკავშირებით ვიღაცას სურდა დავემოძღვრეთ, რომ თავის ოთხმოცდაორ წელიწადში მან თავი ამოწურა: მე კი სიამოვნებით გავცვლიდი ცინცხალი ზეთანამედროვეებით სავსე ვაგონს „ამოწურული“ გოეთეს რამდენიმე წელიწადში, რათა ისეთ საუბრებში მიმელო მონაწილეობა, რომელსაც გოეთე ეკერმანთან აწარმოებდა, რათა, ამის საშუალებით, დაცული ვყოფილიყავი მომენტის ლეგიონერების მოძღვრებებისგან. რა ცოტა ადამიანს აქვს სიცოცხლის უფლება, როდესაც ასეთი ადამიანები კვდებიან. ის, რომ ბევრი ცოცხლობს, ხოლო მსგავსი იშვიათი ადამიანები კვდებიან, სხვა არაფერია თუ არა სასტიკი ჭეშმარიტება, ანუ გამოუსწორებელი სისულელე, მოუხეშავი – „ეს უბრალოდ ასეა“, საწინააღმდეგოდ მორალისა – „ეს ასე არ უნდა იყოს“. დიახ, მორალის საწინააღმდეგოდ! რომელ ღირსებაზეც არ უნდა ვსაუბრობდეთ – სამართლიანობაზე,

[25] შემოქმედი ბუნება.

დიდსულოვნებზე, გაბედულებაზე, ადამიანთა სიბრძნესა თუ თანაგრძნობის უნარზე – ზოგადად, იგი იმიტომ წარმოადგენს ღირსებას, რომ ფაქტების ბრმა ძალის წინააღმდეგ, სინამდვილის ტირანიის წინააღმდეგ აღშფოთებას გამოხატავს და საკუთარ თავს იმ კანონებს უქვემდებარებს, რომლებიც ხსენებული ისტორიული რყევების კანონებს არ წარმოადგენენ.

იგი მუდამ ისტორიული ტალღების წინააღმდეგ ცურავს, იქნება მაშინ, როდესაც ებრძვის თავის ვნებებს, ვითარცა საკუთარი არსებობის ყველაზე ახლოს მყოფ სულელურ ფაქტებს თუ მაშინ, როცა ცდილობს იყოს პატიოსანი, როდესაც ტყუილი მის გარშემო ბრწყინვალე ბადეს ქსოვს. მაშინაც კი, თუ ისტორია სხვა არაფერია თუ არა „ვნებებისა და შეცდომების“ მსოფლიო სისტემა, ადამიანმა ის უნდა წაიკითხოს ისე, როგორც გოეთე გვირჩევდა ვერთერის წაკითხვას. თითქოს ის მოგვიწოდებდა: „იყავი კაცი და არ მისდიო ჩემს მაგალითს“. საბედნიეროდ, ის ინახავს მახსოვრობას ისტორიის წინააღმდეგ დიადი მებრძოლების შესახებ, ანუ სინამდვილის ბრმა ძალაუფლების წინააღმდეგ და საკუთარ თავს სამარცხვინო ბოძზე გააკრავს იმით, რომ ჭეშმარიტად ისტორიულ ნატურებად მიიჩნევს მათ, ვინც ნაკლებად ღელავდნენ იმაზე, „რაც ასეა“ და მხიარული სიამაყით საკუთარ საქმიანობას უქვემდებარებდნენ პრინციპს „ეს ასე უნდა იყოს“. იგი საკუთარ თაობას კი არ დამარხავს, არამედ შექმნის ახალს – ეს მათ წინისკენ შეუწყვეტლივ ამოძრავებს; და, თუ ისინი ნაბოლარებად არიან დაბადებულნი, – არსებობს სიცოცხლის ისეთი ტიპი, რომელიც მათ ამას დაავიწყებს – მომავალი თაობებიც მხოლოდ პირველშობილებად გაიცნობენ მათ.

9

იქნებ ასეთი პირველშობილია ჩვენი ეპოქა? – სინამდვილეში, მისი ისტორიული გრძნობის მგზნებარება ისე დიდია და საკუთარ თავს იმდენად უნივერსალური და სავსებით შეუზღუდავი მანერით გამოხატავს, რომ, სულ მცირე, ამის გამო კი შეასხამენ ხოტბას მომავალი ეპოქები მის პირველშობილობას, თუ საერთოდ იქნება მომავალი ეპოქები, ამ სიტყვის კულტურული აზრით. თუმცა კვლავ არსებობს სერიოზული ეჭვი. თანამედროვე ადამიანის სიამაყეს გვერდს უმშვენებს მისი ირონია საკუთარი თავის შესახებ – იმის გაცნობიერება, რომ ისტორიზების მომხდენი და, ასე ვთქვათ, მწუხრის განწყობილებით უნდა იცხოვროს და მისი შიში, რომ სამომავლოდ ვერაფერს გადაარჩენს ახალგაზრდული იმედებიდან და ახალგაზრდული ძალებიდან. აქა-იქ ადამიანი უფრო შორს მიდის, ცინიზმამდე და ისტორიის მსვლელობას და მთლიანად მსოფლიო განვითარებასაც კი თანამედროვე ადამიანის ყოველდღიური საქმიანობის გამართლებად მიიჩნევს, ცინიკური კანონის შესაბამისად: ყველაფერი ასე უნდა მომხდარიყო, როგორც ახლა ხდება; ასეთად და არა სხვანაირად უნდა ქცეულიყო ადამიანი, როგორიც თანამედროვე ადამიანია; ამ „უნდა“-ს აუცილებლობას არავინ უნდა შეეწინააღმდეგოს. ამგვარი ცინიზმის სასიამოვნო გრძნობაში თავს აფარებს ის, ვინც ვერ აიტანა ირონია. ამას გარდა, უკანასკნელი ათწლეული მას სთავაზობს საკუთარ ერთ-ერთ საუკეთესო გამოგონებას – მომრგვალებულ და სავსე ფრაზას ამგვარი ცინიზმისათვის: თანადროულ და სავსებით ეჭვმიუტანელ ცხოვრების ტიპს იგი უწოდებს – „პიროვნების სრულ თავგანწირვას მსოფლიო პროცესისათვის“. პიროვნულობა და მსოფლიო პროცესი! მსოფლიო პროცესი და პიროვნულობა დედამიწის

რწყილებისა. ნეტავ, მარადიულად არ გისმენდეთ მხოლოდ ჰიპერბოლათა ჰიპერბოლას, სიტყვას – მსოფლიო, მსოფლიო, მსოფლიო; სინამდვილეში, ყველა პატიოსნად უნდა იმეორებდეს: ადამიანი, ადამიანი, ადამიანი. ბერძენთა და რომაელთა შთამომავლები? ანდაც ქრისტიანობისა? ყოველი ასეთი ცინიკოსი ამად კი არ მიგიჩნევთ, არამედ მსოფლიო პროცესის მემკვიდრეებად! მსოფლიო პროცესის მწვერვალებად და სამიზნეებად! ზოგადად, აზრად და ქმნადობის ყოველგვარი გამოცანის ამოსახსნად, გამოხატულს თანამედროვე ადამიანის – ხე შეცნობადის ამ ყველაზე მწიფე ნაყოფის – სახით. აი, ამას ვუწოდებ ზღვარგადასულ ეიფორიას! ამ სიმბოლოს მეშვეობით იცნობიან ყოველი ეპოქის პირველმობილები – მიუხედავად იმისა, ისინი უკანასკნელნი დაიბადნენ თუ არა. ასე შორს არასდროს წასულა ისტორიის განხილვა, თვით მათ სიზმრებშიც კი; ადამიანთა ისტორია ხომ მხოლოდ ცხოველთა და მცენარეთა ისტორიის გაგრძელებას წარმოადგენს. თვით ზღვის ყველაზე დაბალ სილრმეებში პოულობს ისტორიული უნივერსალისტი საკუთარ ნაკვალევს, ცოცხალი ლორწოს სახით. ის დიდი გზა, რომელიც ადამიანმა უკვე გამოიარა, სასწაულით განცვიფრების მსგავსად, თავბრუს ახვევს უფრო დიდ სასწაულს, თანამედროვე ადამიანს, რომელმაც ამ პროცესისთვის თვალის გადავლება შეძლო. ის ამაყად დგას მსოფლიო ისტორიული პირამიდის მწვერვალზე: იმით, რომ ამ პირამიდას მისი შემეცნების ქვაკუთხედს ზემოდან ადებს, როგორც ჩანს, იგი ყურისდამგდებ ბუნებას ყოველი მხრიდან შემოუძახებს: „ჩვენ მიზანთან ვართ; ჩვენ ვართ მიზანი; ჩვენ ვართ სრულყოფილი ბუნება!“

მეცხრამეტე საუკუნის ზედმეტად ამაყო ევროპელო, შენ შფოთავ! შენი ცოდნა ბუნებას კი არ აბოლოებს, არამედ კლავს შენსას. ერთხელ მაინც

შეადარე შენი სიმაღლე მცოდნისას, შენს სიღრმეს შემძლისას. ცხადია, ცოდნის სინათლის სხივებით ზევით მიიწევ, მაგრამ ასევე ეშვები ქვემოთაც, ქაოსისაკენ. მოძრაობის შენებური მანერა, სახელდობრ, მცოდნის მსგავსად ცოცვა, შენი ბედისწერაა. ფეხქვეშ გეცლება საფუძველი და ნიადაგი და სადღაც განუსაზღვრელში გეკარგება. შენს ცხოვრებას აღარ მოეპოვება საყრდენი, არამედ მხოლოდ ობობის ქსელები, რომელიც შენი შემეცნების ყოველი ახალი ჩაბღაუჭების შემდეგ იფლითება. თუმცა ამაზე აღარ ღირს სერიოზული სიტყვების დახარჯვა, რადგან, შესაძლებელია, რამე სასაცილო ითქვას.

ყოველი საფუძვლის ნაჩქარევი და მოუფიქრებელი დანაწევრება და რღვევა, მისი მუდამ დენად და განზავებად ქმნადობაში დაშლა, თანამედროვე ადამიანის მეშვეობით ყოველგვარი ნამყოს დაუღლელი დანაწევრება და ისტორიზაცია, დიადი ჯვრის ობობა მსოფლიო ქსელის კვანძებში – დაე, ამით დაკავდნენ და ამაზე ინაღვლონ მორალისტებმა, მხატვრებმა, ღვთისმოსავებმა და აგრეთვე, სახელმწიფო მოღვაწეებმა. დღესდღეობით ჩვენ ამან უნდა გაგვამხიაროს იმით, რომ ყოველივე ამას ვხედავთ მბზინავ ჯადოსნურ სარკეში ფილოსოფიური პაროდისტისა, რომლის გონებაშიც ეპოქამ მიაღწია საკუთარ თავთან ირონიულ მიმართებას და სრულიად აშკარად – „შეჩვენებულობას“ (გოეთესეულად თუ ვიტყვით). ჰეგელი ერთგან გვასწავლის, რომ „როდესაც გონი წინსვლისთვის აკეთებს ბიძგს, ჩვენ, ფილოსოფოსებიც იქვე ვართ“. ჩვენმა ეპოქამ ბიძგი ირონიისკენ გააკეთა და შეხედეთ! იქვე იყო ე. ფონ ჰარტმანი, რომელმაც დაწერა არაცნობიერის ფილოსოფია ან, უფრო ნათლად თუ ვიტყვით, მისეული ფილოსოფია არაცნობიერი ირონიისა. იშვიათად წაგვიკითხავს უფრო სასაცილო გამოგონება და უფრო დიდი ფი-

ლოსოფიური თაღლითობა, ვიდრე ჰარტმანისაა. ვინც ქმნადობასთან დაკავშირებით მის მიერ არაა განათლებული და შინაგანად აგზნებული, ის ნამდვილად მომწიფებულია წარსულში ყოფნისთვის. მსოფლიო დასაწყისი და მიზანი, პირველი ბიძგებიდან არარაში უკან ჩაძირვამდე, მსოფლიო პროცესთან დაკავშირებულ, ჩვენი თაობის ზუსტად განსაზღვრულ დავალებასთან ერთად, ყოველივე ასე გონებამახვილურადაა წარმოდგენილი არაცნობიერის გამოგონილი შთაგონების წყაროს მიერ და განათებულია აპოკალიფსურ სინათლეში. ყოველივე ისე შეცდომაშიშემყვანად და ისეთი მიამიტი სერიოზულობითაა იმიტირებული, თითქოს ეს მართლაც სერიოზული ფილოსოფია იყოს და არა სახუმარო ფილოსოფია – ყოველივე ეს, ერთად აღებული, ავტორს ყველა დროის უპირველეს პაროდისტად აქცევს. ასევე შევწიროთ ზვარაკი მის სამსხვერპლოს, შევწიროთ მას თმის კულული, – მას, ჭეშმარიტი უნივერსალური წამლის ალმომჩენს, შლაიერმახერისეულ გაოცების გამოხატვას თუ დავესესხებით. მართლაც, რომელი წამალი შეიძლება ისტორიულ განათლებას კურნავდეს უკეთ, ვიდრე ყოველგვარი მსოფლიო ისტორიის ჰარტმანისეული პაროდია?

იმის თქმა შეულამაზებლად რომ მოგვენდომებინა, რასაც ჰარტმანი არაცნობიერი ირონიის ბუნდოვანი სამფეხას შესახებ გვატყობინებს, ვიტყოდით: ჰარტმანი გვასწავლის, რომ ჩვენი ეპოქა მხოლოდ ისეთი უნდა იყოს, როგორიც ახლაა, რათა კაცობრიობას ყელში ამოსვლოდა ამგვარი არსებობა: ჩვენ მთელი გულით გვწამს ამის. ეპოქის ამგვარი გაქვავება, ძვლების ამგვარი მოუსვენარი ტკაცუნი – როგორც დავიდ შტრაუსმა, მეტად გულუბრყვილოდ, ყველაზე მშვენიერ ფაქტობრიობად დაახასიათა – ჰარტმანთან გამართლებულია არა მხოლოდ უკნი-

დან, ex causis efficientibus,[26] არამედ წინიდანაც, ex causa finali.[27] ეს ხუმარა ჩვენს დროს სხივებს ჰფენს საშინელი სამსჯავროს დღიდან და ალმოაჩენს, რომ ის ძალიან კარგია, სახელდობრ, იმისთვის, ვისაც სურს, რაც შეიძლება ძლიერად იტანჯოს ცხოვრების შეუქცევადობის გამო და არასაკმარისად გულმოდგინედ ელოდება სამსჯავროს ამ დღეებს. მაგალითად, ჰარტმანი, ასაკს, რომელსაც კაცობრიობა უახლოვდება, „მოწიფებულობის ასაკს“ უწოდებს. თუმცა, მისი აზრით, სასიხარულოა მდგომაროება, როდესაც მხოლოდ „წმინდა საშუალობა“ არსებობს, როდესაც ხელოვნება იმად იქცევა, რაც „სალამოს ფარსია ბერლინელი ბირჟის მაკლერისათვის“ და როდესაც „ალარ არსებობს მოთხოვნილება გენიოსებზე, რადგან ეს ღორების წინაშე მარგალიტების დაყრის ტოლფასი იქნებოდა; ანდაც იმიტომაც, რომ ჩვენმა ეპოქამ სტადიიდან, რომელსაც გენიოსები განეკუთვნებოდნენ, უფრო მნიშვნელოვან სტადიაზე გადააბიჯა“. სახელდობრ, საზოგადოებრივი განვითარების სტადიაზე, რომელშიც ყოველ მუშას „სამუშაო დროის წყალობით, რომელიც მისი ინტელექტუალური ჩამოყალიბებისთვის საკმარის თავისუფალ დროს უტოვებს, შეუძლია წარმართოს კომფორტული არსებობა“. ხუმართა შორის ხუმარავ, შენ დღევანდელი კაცობრიობის მისწრაფებას აჟღერებ. თუმცა ზუსტად ასევე, შენ იცი, თუ რომელი მოჩვენება დგას კაცობრიობის ამ სიმწიფის ბოლოს, ვითარცა შედეგი ამ ინტელექტუალური განვითარების წმინდა საშუალობად ქცევისა, – ზიზღი. ახლა, ცხადია, ყველაფერი საბრალოდაა, მაგრამ მეტი საბრალოება მომავალ არს. „ჩვენს თვალწინ მას მეტად და მეტად შემოეხვევა ანტიქრისტე“, მაგრამ ეს ასე უნდა

---

[26] მოქმედი მიზეზი – იგულისხმება მექანიკური მიზეზი.
[27] საბოლოო მიზეზი – იგულისხმება საბოლოო მიზეზი (მიზანი).

მოხდეს, ყოველივე ასე უნდა განვითარდეს, რადგან ამ ყველაფრით საუკეთესო გზას ვადგავართ – ზიზღისაკენ ყოველივე არსებულის მიმართ. „ამიტომაც მხნედ, წინ, მსოფლიო პროცესში, როგორც ბატონის ვენახში; პროცესი ხომ ერთადერთი რამაა, რასაც შეუძლია ხსნამდე მიგვიყვანოს“.

ბატონის ვენახი! პროცესი! გამოხსნისაკენ! ვინ ვერ ხედავს და ვის არ ესმის ისტორიული განათლება, – რომელმაც მხოლოდ სიტყვა „ქმნადობა“ უწყის, – თუ როგორ განზრახულად ინილბება პაროდიულ სიმახინჯედ, თუ ბრალმდებელი გროტესკული გრიმასის მეშვეობით როგორ ამბობს უტიფარ რამეებს საკუთარი თავის შესახებ. მაშ, სინამდვილეში რას მოითხოვს ვენახში მუშების ეს უკანასკნელი ეშმაკური მოხმობა მუშებისგან? რომელი სამუშაოსკენ უნდა ისწრაფოდნენ ისინი მხნედ? ანდაც სხვაგვარად რომ ვიკითხოთ: რა დარჩენია ისტორიულად განათლებულს, ქმნადობის მდინარეში მცურავს და მასში ჩაძირულ პროცესის თანამედროვე ფანატიკოსს ზიზღის, ხსენებული ვენახის ამ გემრიელი ყურძნის, მოგროვების გარდა? მას არაფერი დარჩენია თუ არა – უყვარდეს ისე, როგორც ადრე, იცხოვროს ისე, როგორც აქამდე ცხოვრობდა, ძულდეს ის, რაც მანამდე ძულდა და იკითხოს ის გაზეთები, რომელსაც ადრე კითხულობდა. მისთვის მხოლოდ ერთი ცოდვა არსებობს – განსხვავებულად ცხოვრება. თუმცა იმის შესახებ, როგორც მან იცხოვრა, ქვაზე დაწერილის მეტისმეტი სიცხადით გვეუბნება ის ცნობილი გვერდები, დიდად დაბეჭდილი წინადადებით, რის შესახებაც მთელი განათლებული ხროვა ბრმა აღფრთოვანებასა და აღფრთოვანებულ სიშმაგეშია ჩავარდნილი, რადგანაც მას ამ წინადადებებში საკუთარი თავის გამართლების – კერძოდ აპოკალიპტურ სინათლეში გამართლების – ამოკითხვისა

წამდა; არაცნობიერი პაროდისტი ყოველი ცალკეული ადამიანისგან ხომ ითხოვდა „პიროვნულობის სრულ თავგანწირვას მსოფლიო პროცესისათვის, მისი მიზნისთვის, მსოფლიოს გამოხსნითვის“; ან, უფრო ნათლად და ცხადად: „ცხოვრების სურვილის გამართლება მხოლოდ დროებით იქნება გამოცხადებული მართებულად, რადგან მხოლოდ სიცოცხლისათვის და მისი ტკივილებისთვის სრულ თავგანწირვაში და არა ლაჩრულ პიროვნულ უარყოფასა და თავშეკავებაში მდგომარეობს ის, რაც მსოფლიო პროცესისათვის უნდა გავაკეთოთ“. „ინდივიდუალური ნების უარყოფისკენ სწრაფვა ასეთივე სულელური და უსარგებლოა; თვით თავის მოკვლაზე უფრო უსარგებლოც კი“. „მოაზროვნე მკითხველი შემდგომი მითითებების გარეშეც მიხვდება, თუ ამგვარ პრაქტიკულ პრინციპებზე დამყარებული ფილოსოფია როგორ ჩამოყალიბდებოდა და გაიაზრებდა, რომ ასეთი ფილოსოფია არა გაორებას, არამედ მხოლოდ სიცოცხლესთან სრულ შერიგებას შეიცავს“.

მოაზროვნე მკითხველი ამას გაიგებს: განა შეიძლება ჰარტმანი არასწორად გაგვეგო?! გამოუთქმელად სასაცილოა, რომ მისი არასწორად ესმოდათ! ახლანდელი გერმანელები მეტად მგრძნობიარენი ხომ არ არიან? კეთილსინდისიერი ინგლისელი კი მათში delicacy of perception-ს[28] მოისაკლისებს და ბედავს თქვას: „in the German mind there does seem to be something splay, something blunt-edged, unhandy and infelicitous“.[29] – განა დიდი გერმანელი პაროდისტი ამას შეეწინააღმდეგებოდა? მისი განმარტების მიხედვით ხომ „იმ იდეალურ ეპოქას ვუახლოვდებით, როდესაც კაცთა მოდგმა ისტორიას ცნობიერად შექმნის“. თუმცა,

---

[28] „ალქმის სინატიფეს“.

[29] „როგორც ჩანს, გერმანულ გონში არის რალაც დაძაბული, რალაც ბლაგვი, მოუქნელი და უსიხარულო“.

ცხადია, რომ კიდევ უფრო დაშორებულნი ვართ იმ იდეალური მდგომარეობისგან, როცა კაცობრიობა შეძლებდა ჰარტმანის წიგნის ცნობიერად წაკითხვას. ჯერ ასეთი დრო დადგეს, შემდეგ კი სიცილის გარეშე არც ერთ ადამიანს ენის წვერზე არ მოადგება „პროცესი“, რადგან მის ხსენებაზე გაიხსენებენ ეპოქას, სადაც ჰარტმანის პაროდიულ სახარებას German mind-ის[30] წესრიგიანობით და „ბუს დამახინჯებული სერიოზულობით“ უსმენდნენ, ითვისებდნენ, ეკამათებოდნენ, აფასებდნენ, ავრცელებდნენ და საკუთარ კანონად აქცევდნენ. თუმცა მსოფლიომ წინსვლა უნდა განაგრძოს; ამ იდეალურ მდგომარეობამდე ოცნებით მისვლა შეუძლებელია. ის ბრძოლით უნდა მოვიპოვოთ და დავეუფლოთ, ხოლო გზა ხსნამდე, ამგვარი გაუგებარი ბუს სერიოზულობიდან თავის დახსნამდე, მხოლოდ მხიარულებით მიდის. დადგება დრო, როდესაც ადამიანები კეთილგონივრულად თავს შეიკავებენ მსოფლიო პროცესის ანდაც კაცობრიობის ისტორიის შესახებ ყოველგვარი კონსტრუქციისაგან, – დრო, როდესაც ადამიანი მასებზე კი აღარ გათვლის, არამედ ცალკეულ ადამიანზე, რომელიც აგებს ერთგვარ ხიდს ქმნადობის უწესრიგობის ნაკადის თავზე. ისინი პროცესს კი არ აგრძელებენ, არამედ ცხოვრობენ დროის გარეშე და ამავე დროს, ისტორიის წყალობით, რომელიც ამგვარი შეთანხმებული ქმედების საშუალებას იძლევა; ისინი გენიოსების რესპუბლიკის მსგავსად ცხოვრობენ, რომლის შესახებაც შოპენჰაუერი მოგვითხრობს. ერთი გოლიათი მეორეს შესძახებს დროის სევდიანი მონაკვეთის მეშვეობით; ამ გოლიათებს ვერ აწუხებენ მათ ქვეშ მხოხავი, მოუსვენარი, ხმაურიანი ჯუჯები და აგრძელებენ მაღალსულიერ საუბარს. ისტორიის ამოცანა ისაა, მათ შორის შუამავლობა იკისროს და

[30] გერმანული გონი.

კვლავ და კვლავ დიადი ადამიანის წარმოშობისთვის იძლეოდეს საბაბს და გასცემდეს ენერგიებს. არა და არა: კაცობრიობის საბოლოო მიზანი არ შეიძლება დასასრულში მდგომარეობდეს, არამედ მხოლოდ მის უმალლეს ეგზემპლიარებში.

ცხადია, ამის საპირისპიროდ, ჩვენი მხიარული პერსონაჟი იტყვის გაოცების ღირსი ამ დიალექტიკით, რომელიც ისევეა ნამდვილი, როგორც მისი თაყვანისმცემლები არიან გაოცების ღირსნი: „განვითარების ცნება ნაკლებად აიტანდა მსოფლიო პროცესისთვის წარსულში დაუსრულებელი ხანგრძლივობის მიწერას, რადგან ყოველი მოაზრებადი განვითარება უკვე ჩავლილი იქნებოდა, რასაც, სინამდვილეში, ვერ ვხედავთ (ჰოი, გაიძვერავ!); აგრეთვე, ნაკლებ შესაძლებელია პროცესს დაუსრულებელი სამომავლო ხანგრძლივობა მივაწეროთ; ორივე მოხსნიდა საბოლოო მიზნისკენ განვითარების ცნებას (და კვლავაც: ჰოი, გაიძვერავ!) და მსოფლიო პროცესს დანაიდების კასრის[31] ავსებასთან გააიგივებდა. თუმცა ლოგიკურის საბოლოო გამარჯვება არალოგიკურზე (ჰოი, გაიძვერათა შორის გაიძვერავ!) უნდა დაემთხვას მსოფლიო პროცესის დროით დასასრულს – განკითხვის დღეს“. არა, შენ ნათელო და დამცინავო გონებავ, თუ ალოგიკური ისევე იბატონებს, როგორც დღესდღეობით და თუ, მაგალითად, „მსოფლიო პროცესის“ შესახებ საყოველთაო თანხმობით იმგვარი საუბარია შესაძლებელი, როგორც შენ საუბრობ, მაშინ განკითხვის დღე კიდევ უფრო შორსაა: რადგან დედამიწაზე ჯერ კიდევ საკმაო მხიარულება სუფევს, ჯერ კიდევ

---

31 ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ჰადესში მოხვედრილი დანაიდები დაისაჯნენ საქმროების მკვლელობისთვის: ისინი გამუდმებით ავსებდნენ იმ კასრს, რომელსაც ძირი ჰქონდა გავარდნილი. „დანაიდების კასრის ავსება“ უსარგებლო, დაუსრულებელი და მომაბეზრებელი საქმის კეთებას ნიშნავს. *(მთარმნელის შენიშვნა)*

ყვავის ზოგიერთი ილუზია – მაგალითად, შენი თანამედროვეების ილუზია შენს შესახებ; ჩვენ ჯერ კიდევ არასაკმარისად მომწიფებულნი ვართ იმისთვის, რომ შენეულ არარაში მოგვისროლონ: რადგან გვწამს, რომ დედამიწაზე უფრო მეტი მხიარულება იქნება, როდესაც შენს გაგებას დაიწყებენ, შენსას – ამოუცნობო არაცნობიერო! თუმცა თუ, მიუხედავად ამისა, ზიზღი ძლიერებით უნდა გაბატონდეს ისე, როგორც შენს მკითხველებს უწინასწარმეტყველებ და თუ აწმყოსა და მომავლის შენებური გამოსახვა მართებული უნდა აღმოჩნდეს, – ორივე მათგანი არავის შეზიზღებია და სძულებია შენსავით – მზად ვარ, შენს მიერ შემოთავაზებული ფორმით, უმრავლესობით დავეთანხმო იმას, რომ შემდეგ შაბათ სალამოს, ზუსტად თორმეტ საათზე შენი მსოფლიო უნდა დაიღუპოს; დაე, ჩვენი განკარგულება სრულდებოდეს სიტყვებით: ხვალიდან არ იარსებებს არანაირი დრო და აღარ გამოვა არცერთი გაზეთი. ალბათ, ამას შედეგი არ მოჰყვება, ხოლო განკარგულება ამაო აღმოჩნდება. თუმცა, ყოველ შემთხვევაში, საკმარისი დრო კი დაგვრჩება საინტერესო ექსპერიმენტისთვის. ავიღებთ სასწორს და ერთ პინაზე ჰარტმანის არაცნობიერს დავდებთ, მეორეზე კი ჰარტმანის მსოფლიო პროცესს. არსებობენ ადამიანები, რომლებსაც სწამთ, რომ ორივეს თანაბარი წონა ექნება, რადგან ორივე პინაზე ერთნაირად ცუდი სიტყვა და ერთნაირად კარგი ოხუნჯობა იდება. ჰარტმანის ოხუნჯობას როდესაც მიხვდებიან, მისი სიტყვა „მსოფლიო პროცესზე“ აღარავის დასჭირდება; თუ დასჭირდებათ, მხოლოდ სახუმაროდ. სინამდვილეში, უკვე კარგა ხანია დროა, ისტორიული გრძნობის თავაშვებულობათა წინააღმდეგ, არსებობისა და ცხოვრების ხარჯზე პროცესისადმი ზღვარგადასული ლტოლვის წინააღმდეგ, ყოველი პერსპექ-

ტივის გაუაზრებელი გადანაცვლების წინააღმდეგ, წინ წამოვწიოთ სატირული ბოროტების მთელი სამხედრო აღჭურვილობა. ისე კი, არაცნობიერის ფილოსოფიის შემქმნელის სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ პირველად მან მოახერხა მძაფრად შეეგრძნო ყოველივე სასაცილო, რაც „მსოფლიო პროცესზე“ წარმოდგენასთანაა დაკავშირებული, ხოლო გამოხატვის მისეულმა საოცარმა სერიოზულობამ კი ამის უფრო მძაფრად შეგრძნების საშუალება მოგვცა. რა მიზნით არსებობს „მსოფლიო“, რისთვის არსებობს „კაცობრიობა“, ჯერჯერობით არ უნდა გვანაღვლებდეს, რადგან ჩვენ მხოლოდ ოხუნჯობა გვსურს: პატარა ადამიანი-ჭიის თავხედობა ხომ ერთდროულად ყველაზე სახუმარო და ყველაზე სასაცილო რამაა დედამიწის სცენაზე. რისთვის არსებობს ცალკეული ადამიანი – აი, ამას უნდა ეკითხებოდე საკუთარ თავს და თუ ვერავინ გიპასუხა ამ შეკითხვაზე, მაშინ თავად უნდა სცადო გაამართლო საკუთარი არსებობა, ასე ვთქვათ, a posteriori იმით, რომ საკუთარ თავს დაუსახო მიზანი, საბოლოო დანიშნულება, ერთგვარი „გამო“ – ამაღლებული და კეთილშობილური „გამო“. დაე, თუნდაც ამან შეგიწიროს – არ ვიცი, უკეთესი ცხოვრებისეული მიზანი, ვიდრე დიადისა და ამაღლებულისთვის, animae magnae prodigus,[32] დაღუპვაა. თუ, ამის საპირისპიროდ, მოძღვრებები ქმნადობის ალმატებულობის შესახებ, ყოველგვარი ცნებების, ტიპების და სტილების ცვალებადობის შესახებ, ადამიანსა და ცხოველს შორის სერიოზული განსხვავებების არარსებობის შესახებ, – მოძღვრებები, რომლებსაც ჭეშმარიტად, მაგრამ მომაკვდინებლად მივიჩნევ – თუნდაც ერთი ადამიანური თაობის განმავ-

---

[32] სიტყვასიტყვით „დიდსულოვანი მფლანგველი“. აქ გამოყენებულია „სიცოცხლის დაზოგვის გარეშე“-ს აზრით. *(მთარმნელის შენიშვნა)*

ლობაში სახალხო მასებში გავრცელდება დღესდღეობით ასე მიღებული ჭკუისდამრიგებლური სიშმაგით, მაშინ არავის უნდა გაუკვირდეს, რომ ხალხი დაიწყებს კვდომას ეგოისტური მეწვრილმანეობისა და ეგოისტური უბადრუკობის გამო, გაქვავებითა და საკუთარი თავის მოყვარეობით, უპირველეს ყოვლისა კი, იმის მეშვეობით, რომ დანაწევრდება და შეწყვეტს იყოს ხალხი. მის ადგილას კი, სავარაუდოდ, მომავლის სცენაზე გამოვა კერძო ეგოიზმის სისტემები, საძმოები „არა-ძმების“ მძარცველური ექსპლოატაციის მიზნით და უტილიტარული სულმდაბლობის სხვა მსგავსი ქმნილებები. ამგვარი ქმნილებებისთვის საფუძველი რომ შეამზადონ, დღესდღეობით განაგრძობენ ისტორიის წერას მასების თვალთახედვიდან და ცდილობენ ისტორიაში ისეთი კანონების მოძებნას, რომელიც ამ მასების მოთხოვნილებების მიხედვითაა შედგენილი და აგრეთვე, საზოგადოების უმდაბლესი ფენის მოძრაობის წესებისგან. სამგვარი აზრით მივიჩნევ მასებს ყურადღების ღირსად: თავდაპირველად, როგორც დიადი ადამიანების ფორმადაკარგულ ასლს, ცუდი ქაღალდითა და გაცვეთილი საბეჭდით ნაწარმოებს; შემდგომში, ვითარცა დიადი ადამიანების წინააღმდეგობას; დაბოლოს, როგორც დიადი ადამიანების საშუალებას; დანარჩენში კი ისინი ეშმაკმა და სტატისტიკამ დალახვროს! როგორ? – სტატისტიკა ამტკიცებს, რომ ისტორიაში კანონები არსებობს? კანონები? კი – ის ამტკიცებს, როგორი სულმდაბალი და ამაზრზენად ერთფეროვანია მასა: მიზიდულობის ძალების, სიბრიყვის, ბრმად მიბაძვის, სიყვარულისა და შიმშილის გავლენას შეიძლება კანონები ეწოდოს? კარგით, დავუშვათ, რომ ეს ასეა, მაშინ მოგვიწევს შემდეგი ვითარების აღიარება: თუ ისტორიაში კანონები არსებობს, ამ კანონებს არ გააჩნიათ ღირებულება და არც ისტორიაა ღირებული.

დღესდღეობით საყოველთაოდ იცავენ ისტორიის ამგვარ ტიპს, რომელიც დიდ მასობრივ ინსტინქტებს უმნიშვნელოვანესად და უმთავრესად მიიჩნევს და ყოველ დიად ადამიანს განიხილავს მხოლოდ ამ ყოველივეს ნათელ გამოვლინებად, როგორც ერთგვარ ბუშტუკებს წყლის ნაკადზე. გამოდის, რომ მასამ საკუთარი წიაღიდან უნდა შვას დიადი, ქაოსმა კი საკუთარი თავიდან – წესრიგი. საბოლოოდ კი, ცხადია, მშობიარე მასისადმი აღავლენენ ჰიმნს. შემდეგ, „დიადს“ უწოდებენ იმას, რაც დიდი ხნის განმავლობაში ამგვარ მასებს ამოძრავებდა და, როგორც იტყვიან, „ისტორიულ ძალას“ წარმოადგენდა. თუმცა, განა, ამას რაოდენობისა და ხარისხის სავსებით განსაზღვრული აღრევა არ ქვია? თუ მოუხეშავმა მასებმა გარკვეული შეხედულებები, – მაგალითად, რელიგიური შეხედულებები – სავსებით ადეკვატურად მიიჩნიეს, ისინი მედგრად დაიცვეს და ასწლეულების მანძილზე თან ატარეს, მაშინ და მხოლოდ მაშინ ალმოჩნდება ამ შეხედულებათა ალმომჩენი და ჩამომყალიბებელი დიადი. რატომ ხდება ასე? ყველაზე კეთილშობილი და ყველაზე დიადი მასებზე საერთოდ არ მოქმედებს; ქრისტიანობის ისტორიული წარმატება, მისი ისტორიული ძალა, გამძლეობა და ხანგრძლივობა – ყოველივე ეს, საბედნიეროდ, არაფერს მიუთითებს მისი დამაარსებლის სიდიადესთან მიმართებით; არსობრივად, ეს მის საწინააღმდეგოს დაამტკიცებდა; ნაცვლად ამისა, ქრისტიანობასა და მის ისტორიულ წარმატებას შორის დგას მეტად მიწიერი და ბნელი ფენა ვნებებისა, შეცდომებისა, ძალაუფლებაზე და დაფასებაზე დახარბებისა, imperium romani-ს[33] კვლავმოქმედი ძალებისა; ფენა, რომლისგანაც ქრისტიანობამ ეს მიწიერი გემო და ელფერი მიიღო, რამაც ამ მსოფლიოში მისი ხანგრძლივო-

[33] „რომის იმპერია“.

ბა უზრუნველყო და, ასე ვთქვათ, გამძლეობა მიანიჭა. დიადი წარმატებაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული; დემოსთენე იყო დიადი, თუმცა წარუმატებელი. ქრისტიანობის ყველაზე სუფთა და ყველაზე ჭეშმარიტი მიმდევრები ყოველთვის სკეპტიკურად ეკიდებოდნენ ქრისტიანობის მიწიერ წარმატებებს, მის ეგრედ წოდებულ „ისტორიულ ძალას“ და უფრო მეტად აბრკოლებდნენ მას, ვიდრე ხელს უწყობდნენ, რადგან ისინი საკუთარ თავს „ამ ქვეყნის“ მიღმა განათავსებდნენ და არ ღელავდნენ „ქრისტიანული იდეის პროცესის“ გამო; ამიტომ, ისინი, უმრავლეს შემთხვევაში, ისტორიისთვის უცნობად და უსახელოდ რჩებოდნენ. ქრისტიანულად თუ ვიტყვით: ეშმაკია მსოფლიოს მმართველი და წარმატებისა და პროგრესის შემოქმედი. იგია ჭეშმარიტი ძალა ყოველგვარ ისტორიულ ძალაში და, არსებითად, ეს ყოველთვის ასე იქნება. თუმცაღა ეს შეიძლება უხერხულად ჟღერდეს მისთვის, ვინც მიეჩვია წარმატებისა და ისტორიული ძალის გაღმერთებას. სახელდობრ, ეპოქა გაიწაფა საგნებისთვის ახალი სახელის წოდებაში და თვით ეშმაკსაც კი გადაარქვა სახელი. ახლა მართლაც რომ სახიფათო დროა: ადამიანები უახლოვდებიან იმის აღმოჩენას, რომ ყოველ ეპოქაში ისტორიული მოძრაობების ბერკეტი ცალკეულ ადამიანთა, ჯგუფთა და მასების ეგოიზმი იყო; ამავდროულად, ამ აღმოჩენით ადამიანი არავითარ შემთხვევაში არ შეშფოთდება; ნაცვლად ამისა, იგი აცხადებს: ეგოიზმი ჩვენი ღმერთი უნდა იყოს. ამ რწმენის მეშვეობით, ადამიანი ყველაზე ნათელი წინასწარგანსაზღვრულობით ემზადება სამომავლო ისტორიის ეგოიზმზე დაფუძნებისათვის. უბრალოდ, ეს გონივრული ეგოიზმი უნდა იყოს, ანუ ისეთი, რომელიც თავის თავს თვითონვე უწესებს ცნობილ შეზღუდვებს, რათა საკუთარი პოზიციები გაიმყაროს და რომელიც ის-

ტორიას იმისთვის შეისწავლის, რათა გაიგოს, თუ რას წარმოადგენს არაგონივრული ეგოიზმი. ამ მოძღვრებამ გვასწავლა, რომ სახელმწიფოს განსაკუთრებული მისია ენიჭება ეგოიზმის დასაფუძნებელ სისტემაში: ის ყველა გონივრული ეგოიზმის მფარველი უნდა იყოს, რათა იგი საკუთარი სამხედრო და პოლიციური ძალით დაიცვას არაცნობიერი ეგოიზმის საშიში ამოფრქვევებისგან. იმავე მიზნებისთვის ფრთხილად მიიპარება ისტორია – სახელდობრ, ვითარცა ცხოველთა და ადამიანთა ისტორია – გაუნათლებელ და შესაბამისად, საშიშ მასებსა და მუშათა ფენებში, რადგან ცნობილია, რომ ისტორიული განათლების პატარა მარცვალსაც კი შეუძლია უხეში და ბუნდოვანი ინსტინქტებისა და მისწრაფებების დამსხვრევა ანდაც მათი დახვეწილი ეგოიზმის გზაზე გაძღოლა. In summa: ადამიანი, ე. ფონ ჰარტმანის სიტყვებით თუ ვიტყვით, „მოისაზრებს სამომავლო, მოსახერხებელი საცხოვრებლის მოწყობას მიწიერ სამშობლოში“. იგივე მწერალი ამ პერიოდს „კაცობრიობის მამაკაცური მომწიფების ასაკს“ უწოდებს და ამით დასცინის იმას, რასაც „მამაკაცი“ ეწოდება, თითქოს მასში მხოლოდ ფხიზელ ეგოისტს უნდა ვგულისხმობდეთ; იგი ასევე წინასწარმეტყველებს, რომ მამაკაცურობის ასაკს სიბერის ასაკი მოჰყვება; ცხადია, მხოლოდ იმისთვის, ჩვენს თანამედროვე ხანდაზმულებს რომ დასცინოს, რადგან ის არაერთხელ ახსენებს იმ მომწიფებულ მჭვრეტელობითობას, რომლითაც ისინი „მათი განვლილი ცხოვრების ყოველ უწესრიგო ბობოქარ ვნებებს გადაავლებენ თვალს და ჩასწვდებიან მათ მისწრაფებათა აქამდელი დასახული მიზნების ამაოებას.“ არა: ამ ეშმაკური და ისტორიულად განათლებული ეგოიზმის მამაკაცურობის პერიოდს შეესაბამება საზიზღარი სიხარბე და სიცოცხლეზე ულირსად მიჯაჭვული სიბერის ასაკი და

შემდეგ უკანასკნელი ტაქტი, რომლითაც „ბოლოვდება ეს უცნაურად ცვალებადი ისტორია, ვითარცა მეორე ბავშვობა, სრული დავიწყება, თვალების, კბილების, გემოსა და ყოველივეს გარეშე“.

სულ ერთია, ჩვენ ცხოვრებასა თუ კულტურას საფრთხე ემუქრება ამ გაპარტახებული, უკბილო და უგემოვნო მოხუცებისგან, თუ ეგრედ წოდებული ჰარტმანისეული „მამაკაცებისგან“. ორივეს წინააღმდეგ გვსურს კბილებით დავიცვათ ჩვენი ახალგაზრდობის უფლება და არ დავიღალოთ ჩვენი ახალგაზრდობის დაცვით მოიერიშეთაგან, რომლებიც მომავლის ხატ-სახეებით არიან შეიარაღებულნი. თუმცა ამ ბრძოლაში ჩვენ კიდევ ერთი არასასიამოვნო დაკვირვება უნდა განვახორციელოთ: ისტორიული გრძნობის თავგასულობას, რითაც თანამედროვეობა იტანჯება, განზრახ უწყობენ ხელს, ახალისებენ და იყენებენ.

მას ახალგაზრდობის წინააღმდეგ იყენებენ, რათა ისინი მოწიფული ასაკის ეგოიზმს მიაჩვიონ, რასაც, საზოგადოდ, ასე მიელტვიან; მას იყენებენ, რათა ახალგაზრდობის ბუნებრივი წინააღმდეგობის სურვილი ფერისშემცვლელი, სახელდობრ, ამ მამაკაცურ-არამამაკაცური ეგოიზმის მეცნიერულ-მაგიური ნათებით გატეხონ. ჩვენ კარგად ვიცით, ისტორიამ განსაზღვული სიჭარბით რას შეიძლება მიაღწიოს; ეს ძალიან კარგად ვიცით: ახალგაზრდების უძლიერესი ინსტინქტების – სიფიცხის, ჯიუტობის, თავდავიწყების და სიყვარულის – ამოძირკვა; სამართლიანობის მისეული გრძნობის მიჩუმათებით, თანდათანობითი მომწიფებისაკენ სწრაფვის საწინააღმდეგო მისწრაფებებით – მალე მზაობის, სწრაფად სასარგებლოდ ქცევისა, სწრაფად მომწიფებისა – დათრგუნვა; გრძნობის პატიოსნებისა და გაბედულების ეჭვით დაავადება; მან ისიც კი შეძლო, რომ

ახალგაზრდობა მისი ყველაზე მშვენიერი უპირატესობის შესახებ მოეტყუებინა: მისი უნარის შესახებ, სრული რწმენით შთაენერგოს დიად იდეას და მისგან ამოზრდის საშუალება მისცეს კიდევ უფრო დიად იდეას. ისტორიის განსაზღვრულ სიჭარბეს, როგორც ვნახეთ, ძალუძს ყოველივე ეს: კერძოდ კი იმით, რომ ადამიანებს ჰორიზონტის პერსპექტივების გამუდმებული გადანაცვლებით, გარემომცველი ატმოსფეროს მოშორებით, აღარ რთავენ ნებას არაისტორიული შეგრძნებისა და მოქმედებისა. იგი ჰორიზონტის უსასრულობიდან საკუთარი თავისკენ ინაცვლებს, უკან – პატარა ეგოისტურ სფეროში, რომელშიც ის უნდა გახმეს და გამოშრეს. ამით ის გონიერებას აღწევს, თუმცა ვერასდროს მიდის სიბრძნემდე. ის საკუთარ თავთან საუბრობს, ანგარიშობს, შეუძლია ფაქტობრიობასთან მისადაგება; მას ზედმეტი არასდროს მოსდის, ახამხამებს თვალებს და სხვათა სარგებელსა თუ ნაკლოვანებებში შეუძლია ეძიოს სარგებელი საკუთარი თავისთვისა და თავისი პარტიისთვის; იგი ივიწყებს მორცხვობის აბსოლუტურად არასაჭირო გრძნობას და თანდათანობით გადაიქცევა ჰარტმანისეულ „მამაკაცად“ ანდაც „მოხუცად“. მაგრამ ასეთად ის უნდა „გადაიქცეს“; აი, ესაა აზრი დღეს ასე ცინიკურად შემოთავაზებული „პიროვნულობის სრული თავდადებისა მსოფლიო პროცესისადმი“, მისი მიზნის, მსოფლიოს გამოხსნის, გულისთვის, როგორ ამას ე. ფონ ჰარტმანი, ეს მასხარა, გვიმტკიცებს. დღესდღეობით ჰარტმანისეული „კაცებისა“ და „მოხუცების“ ნება და მიზანი მსოფლიოს ხსნას ნაკლებად თუ მოგვაგონებს; თუმცა, უეჭველია, მსოფლიო უფრო თავისუფალი იქნებოდა, ამ მამაკაცებსა და მოხუცებს რომ დახსნოდა; მაშინ კი დაფუძნდებოდა ახალგაზრდობის სამეფო.

10

ვფიქრობ რა ახალგაზრდობაზე, შევძახებ: მიწა! მიწა! საკმარისი და საკმარისზე მეტია ვნებიანი ძიება და შეცდომაში შემყვანი სვლა ბნელ, უცხო ზღვებზე! ახლა საბოლოოდ გამოჩნდება ნაპირი. როგორიც არ უნდა იყოს ის, მასზე უნდა გადავიდეთ. ყველაზე ცუდი საავარიო ნავსადგომი უკეთესია უიმედო და სკეპტიკურ უსასრულობაში უკან დაბრუნებაზე. თავდაპირველად, ხმელეთს მოვეჭიდოთ. მოგვიანებით, უკეთეს თავშესაფარს ვიპოვით და შთამომავლობას მასთან მისასვლელს შევუმსუბუქებთ.

საშიში და ამაღელვებელი იყო ეს მოგზაურობა. რაოდენ შორსაა ახლა ის მშვიდი მჭვრეტელობა, რომლითაც, თავდაპირველად, ჩვენი გემის მსვლელობას ვადევნებდით თვალყურს. კვალად მივყვებოდით რა ისტორიის საშიშროებებს, აღმოვაჩინეთ, რომ ამ საშიშროებებთან მეტად მჭიდროდ ვართ დაკავშირებულნი. თავად ვატარებთ იმ ტანჯვის კვალს, რომელიც, ისტორიის სიჭარბის გამო, ახალი ეპოქის ადამიანებს წილად ხვდა. მაგალითისათვის, არ მსურს საკუთარ თავს დავუმალო, რომ თავად ეს წერილი მისი კრიტიკის უზომობის, მისი ადამიანურობის მოუმწიფებლობის გამო, ირონიიდან – ცინიზმში, გაბედულებიდან – სკეპსისში ხშირი გადასვლის გამოისობით, თანამედროვე ხასიათს ატარებს, ხასიათს სუსტი პიროვნულობისა. და მაინც: მწამს შთამაგონებელი ძალის, რომელიც, ვითარცა გენია, ჩემს ხომალდს წარმართავს. მწამს ახალგაზრდობისა, რომელმაც სწორ გზაზე დამაყენა, როცა მან ახალგაზრდათა ისტორიული აღზრდის წინაალმდეგ პროტესტისკენ მიბიძგა და რადგან პროტესტის გამომხატველნი ითხოვენ, ადამიანმა, უპირველეს ყოვლისა, სიცოცხლე ისწავლოს და ისტორია მხოლოდ შესწავლილი სიცოცხლის სამსახურში ჩააყენოს. ახალგაზ-

რდები უნდა ვიყოთ, ეს პროტესტი რომ გავიგოთ; დიახ, ჩვენი დღევანდელი ახალგაზრდობის ნაადრევი გაჭალარავებიდან გამომდინარე, საკმარისად ახალგაზრდები ვერ ვიქნებით, რათა ვიგრძნოთ, თუ რას ვაპროტესტებთ. დასახმარებლად მაგალითს მოვიყვან: ას წელიწადზე მეტი არ იქნება გასული, რაც გერმანიაში ცალკეულ ახალგაზრდა ადამიანებში გაიღვიძა ინსტინქტმა იმისა, რასაც პოეზიას უწოდებენ. აქედან გამომდინარე, განა შეიძლება დავასკვნათ, რომ თაობა, რომელიც მანამდე და ხსენებულ დროს ცხოვრობდა, არ საუბრობდა ხელოვნების ტიპზე, რომელიც მათთვის უცხო და არაბუნებრივია? ვიცით საპირისპირო: ისინი „პოეზიაზე“ მთელი ძალებით ფიქრობდნენ, წერდნენ, დავობდნენ – სიტყვებით სიტყვების, სიტყვების, სიტყვების შესახებ. სიცოცხლისათვის სიტყვების ასეთ გამოღვიძებას არ მოჰყოლია ამ სიტყვათა შემქმნელების გაქრობა. გარკვეული აზრით, ისინი დღესაც ცოცხლობენ; თუ, როგორც გიბონი ამბობს, არაფერია საჭირო გარდა დროისა, თუმცა კი დიდი დროისა, რათა დასრულდეს ეპოქა, ასევე არაფერია საჭირო, გარდა დროისა იმისთვის, რომ გერმანიაში, „თანდათანობითობის ამ ქვეყანაში“, ცრუ ცოდნა განადგურდეს. ყოველ შემთხვევაში, ასი წლის წინანდელთან შედარებით, ახლა, ალბათ, ასი ადამიანით მეტი არსებობს, რომლებმაც იციან, თუ რა არის პოეზია. ალბათ, ასი წლის შემდეგ ასი ადამიანით მეტი იარსებებს, რომლებსაც ეცოდინებათ თუ რა არის კულტურა და რომ გერმანელებს აქამდე არ ჰქონიათ კულტურა, რამდენიც არ უნდა ისაუბრონ მასზე და რამდენიც არ უნდა იამაყონ მისით. მათ ისევე დაუჯერებლად და სულელურად წარმოუდგებათ გერმანელების საყოველთაო კმაყოფილება მათი „განათლებით“, როგორც ჩვენ – გოტშედის ერთ დროს საყოველთაოდ აღიარებული კლასიკოსობა,

ანდაც – რამლერის გერმანელ პინდარად მიჩნევა. ალბათ, ისინი განსჯიან, რომ ეს განათლება ცოდნის ტიპია განათლების შესახებ და, შესაბამისად, სავსებით ცრუ და ზედაპირული ცოდნაა. ცრუ და ზედაპირული სახელდობრ იმიტომ, რომ ხალხი სიცოცხლესა და განათლებას შორის დაპირისპირებას იტანდა მაშინ, როდესაც შეუმჩნეველი რჩებოდა ჭეშმარიტად კულტურული ხალხების თავისებურება: რომ კულტურა მხოლოდ სიცოცხლიდან შეიძლება ამოიზარდოს და აყვავილდეს. მაშინ, როცა, გერმანელების შემთხვევაში, ის სიცოცხლეს ქალალდის ყვავილის მსგავსად მიემაგრება, ანდაც შაქრის სიროფის მსგავსად გადმოიღვრება და ამიტომაც, მუდამ უნდა დარჩეს ყალბად და უნაყოფოდ. ახალგაზრდების გერმანული აღზრდა სწორედ კულტურის ამ ცრუ და უნაყოფო ცნებიდან მომდინარეობს: მისი მიზანი, წმინდა და ამაღლებული აზრით, არის არა თავისუფლად განათლებული ადამიანი, არამედ სწავლული, მეცნიერების ადამიანი; კერძოდ, რაც შეიძლება მალე გამოსადეგი მეცნიერების ადამიანი, რომელიც განუდგება ცხოვრებას, რათა ის რაც შეიძლება ნათლად შეიმეცნოს; ზოგად-ემპირიული სამართლიანობით თუ შევხედავთ, მისი შედეგია ისტორიულ-ესთეტიკური განათლების ფილისტერი, ადრეულად დაჭკვიანებული და სახელმწიფოს, ეკლესიისა და ხელოვნების შესახებ ახლებურად მოლაყბე, ათასნაირი შეგრძნებების საერთო სენსორიუმი; გაუმაძღარი კუჭი, რომელმაც, სინამდვილეში, არ იცის თუ რა არის ნამდვილი შიმშილი და წყურვილი. ამგვარი მიზნით და ასეთი შედეგით აღზრდა ბუნების საწინააღმდეგო რომაა, ამას მხოლოდ ის გრძნობს, ვინც ჯერ მასში არ აღმოჩენილა; ამას მხოლოდ ახალგაზრდის ინსტინქტი გრძნობს, რადგან მას ჯერ კიდევ ბუნების ინსტინქტები გააჩნია, რომლებსაც ამგვარი განათლება

ხელოვნურად და ძალადობრივად ჩაახშობს. თუმცა, თავის მხრივ, ვისაც სურს ამგვარი აღზრდის გაცამტვერება, მან ახალგაზრდობას დასახმარებლად სიტყვა უნდა შეაწიოს, მათი არაცნობიერი წინააღმდეგობა, ცნებათა სინათლით უნდა გაანათოს და ცნობიერად და ხმამაღლა გამოხატულ ცნობიერებად უნდა აქციოს. როგორ მიაღწევს ის ამ უცნაურ მიზანს?

უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ გაანადგურებს ცრურწმენას, – რწმენას მსგავსი აღმზრდელობითი ოპერაციის აუცილებლობისა. დღესდღეობით ფიქრობენ, რომ ჩვენი თანამედროვე, მეტად მომაბეზრებელი სინამდვილის გარდა არ არსებობს სხვა შესაძლებლობა. ვინმემ ბოლო ათწლეულების უმაღლესი სასკოლო განათლებისა და აღზრდის ხელოვნების ლიტერატურა რომ შეისწავლოს, შემოთავაზებათა მრავალფეროვნებისა და საწინააღმდეგო აზრის სიძლიერის მიუხედავად, შემმოწმებელი უსიამოვნოდ გაოცდებოდა, თუ რაოდენ ერთფეროვანია აზროვნება მთლიანად განათლების დანიშნულების შესახებ, როგორ დაუფიქრებლად მიიჩნევენ ადამიანები, რომ აქამდელი შედეგი, „განათლებული ადამიანი“, როგორც დღეს ეს ესმით, აუცილებელი და გონივრული საფუძველია თითოეული უფრო ფართო განათლებისთვის. ეს ერთფეროვანი კანონი დაახლოებით ასე გაჟღერდებოდა: ახალგაზრდა ადამიანმა განათლების შესახებ ცოდნით უნდა დაიწყოს და არავითარ შემთხვევაში, სიცოცხლის შესახებ ცოდნით, მით უფრო, სიცოცხლითა და ცხოვრებისეული გამოცდილებით. სახელდობრ, განათლების შესახებ ეს ცოდნა ახალგაზრდებს თავს უნდა ეხვეოდეს და მათში ინერგებოდეს, როგორც ისტორიული ცოდნა. ეს ნიშნავს იმას, რომ მათი გონება უნდა აივსოს უამრავი ცნებით, რომელიც წარსული ეპოქებისა და ხალხების გაშუალებული ცოდნისგან გამომდინარებს და არა ცხოვრების

უშუალო შთაბეჭდილებებისაგან. ახალგაზრდების მისწრაფებაა თავად მიიღონ რაიმე გამოცდილება და საკუთარ თავში შეიგრძნონ, თუ როგორ იზრდება საკუთარ გამოცდილებათა სიცოცხლისუნარიანი, ერთმანეთთან დაკავშირებული სისტემა. მსგავსი მისწრაფება დაჩლუნგებულია და, ამავდროულად, დაბანგულია, სახელდობრ, იმ დიადი ტყუილით, რომ მცირე დროში შესაძლებელი იყოს ძველი ეპოქების და ყველაზე დიადი ეპოქების ყველაზე დიადი და აღსანიშნავი გამოცდილებების საკუთარ თავში შეჯამება. სწორედ ესაა უაზრო მეთოდი, ჩვენს ახალგაზრდა ხელოვანებს მუზეუმებისა და გალერეებისკენ რომ მიუძღვის, ნაცვლად ოსტატების სახელოსნოსი და, უპირველეს ყოვლისა, ერთადერთი სახელოსნოსი ერთადერთი ოსტატი ქალისა – ბუნებისა. თითქოს შესაძლებელი ყოფილიყოს, წარსულის ისტორიებში ზედაპირულად მოხეტიალემ მათი ილეთები და ოსტატობა გადაიღოს. ან თითქოს სიცოცხლე თავად არ იყოს ხელობა, რომელიც საფუძვლიანად და უწყვეტად უნდა შევისწავლოთ და დავხვეწოთ ძალთა დაზოგვის გარეშე, თუ არ გვსურს, დილეტანტებმა და მოლაყბეებმა იჩინონ თავი.

პლატონი მიიჩნევდა აუცილებლობად, რომ მისი ახალი საზოგადოების (სრულყოფილ სახელმწიფოში) პირველი თაობა ძლიერი, აუცილებელი ტყუილით უნდა აღზრდილიყო; ბავშვებს უნდა ერწმუნათ, რომ ყოველი მათგანი ხანგრძლივი დროის მანძილზე სიზმარში იყო მიწის ქვეშ, სადაც მათ ბუნების ოსტატი ზელდა და ფორმას აძლევდა. შეუძლებელია, ამ წარსულს ავუჯანყდეთ! შეუძლებელია, ღმერთების ნახელავის საწინააღმდეგოდ ვიმოქმედოთ! ბუნების მოუშლელი წესი უნდა ყოფილიყო: ვინც ფილოსოფოსად არის დაბადებული, ოქროსგანაა ჩამოსხმული, ვინც მცველად – მხოლოდ ვერცხლისგან, ვინც მუშად

– რკინისგან და ბრინჯაოსგან. როგორც შეუძლებელია ამ მეტალების შერევა, გვიხსნის პლატონი, ისევე შეუძლებელი უნდა იყოს კასტური წესრიგის დაშლა ან კასტების ერთმანეთში არევა. ამ წესრიგის aeterna veritas-ის[34] რწმენა ახალი ტიპის აღზრდის საფუძველია და ამით კი ახალი სახელმწიფოსი. გერმანელს ასევე სწამს საკუთარი აღზრდის aeterna veritas-ის და თავისი კულტურის ტიპისა; და მაინც, ეს რწმენა განადგურდება, როგორც განადგურდებოდა პლატონის სახელმწიფო, როცა ერთხელაც აუცილებელ ტყუილს აუცილებელი სიმართლე დაუპირისპირდებოდა: გერმანელს არ გააჩნია კულტურა, რადგან საკუთარი აღზრდის საფუძველზე ვერაფერს მოიპოვებს. მას სურს ყვავილი, ფესვებისა და ღეროს გარეშე: თუმცა, ამიტომაც, ეს ამაოდ სურს. ასეთია მარტივი ჭეშმარიტება, – არასასურველი და უხეში, ნამდვილი, გარდაუვალი სიმართლე.

თუმცა სწორედ ამ გარდაუვალი სიმართლით უნდა აღიზარდოს ჩვენი პირველი თაობა. ისინი განსაკუთრებით მძიმედ დაიტანჯებიან, რადგან სწორედ ამ ტანჯვის მეშვეობით მოუწევთ საკუთარი თავის აღზრდა. კერძოდ, საკუთარი თავის წინააღმდეგ, – ძველი და თავდაპირველი ჩვეულებებიდან და ბუნებიდან ახალი ჩვევებისა და ბუნების აღზრდა ისე, რომ საკუთარი თავისთვის შეეძლოთ ძველესპანურად ეთქვათ: „Defiendame dios de my“, – „ღმერთო დამიცავი საკუთარი თავისგან“, სახელდობრ, ჩემში აღზრდით უკვე შთანერგილი ბუნებისგან. მან უნდა გამოსცადოს ეს ჭეშმარიტება წვეთ-წვეთ, ვით ცხარე და ძლიერი წამალი; ამ თაობის თითოეულმა წევრმა თავისი თავი უნდა გადალახოს, რათა საკუთარ თავზე განსაჯოს ის, რასაც უფრო იოლად აიტანდა, მთლიანი ეპოქის შესახებ ზოგადი განსჯა რომ ყოფილიყო: ჩვენ

[34] „მარადიული ჭეშმარიტების“.

ვართ განათლების გარეშე და, უფრო მეტიც, ჩვენ უვარგისნი ვართ: სიცოცხლისთვის, მართებული და მარტივი ხედვისა და მოსმენისთვის, ახლოს მყოფისა და ბუნებრივის ათვისებისთვის; აქამდე არ გვქონია კულტურის საფუძველი, რადგან თავადაც არ ვართ დარწმუნებულნი, რომ ნამდვილი სიცოცხლე ჩვენშია. ჩვენ ვართ დანამცეცებულნი და განცალკევებულნი. მთლიანობაში, ნახევრად-მექანიკურად გაყოფილნი შინაგანად და გარეგანად, ცნებებით დახუნძლული, როგორც დრაკონის კბილებით, რომელიც დრაკონულ ცნებებს აწარმოებს და, აქედან გამომდინარე, ვიტანჯებით სიტყვებით დაავადებით და არ ვენდობით არც ერთ საკუთარ გრძნობას, რომელიც სიტყვებით არაა დაშტამპული: როგორც მსგავს უსიცოცხლო და საშინლად აქტიური ცნებებისა და სიტყვების ფაბრიკას, უფლება მაქვს, ჩემს შესახებ ვთქვა: cogito ergo, sum[35] და არა vivo, ergo cogito.[36] მე გარანტირებული მაქვს ცარიელი „ყოფიერება“ და არა სავსე და მწვანე „ცხოვრება“. ჩემი პირველსაწყისი გრძნობა უზრუნველყოფს მხოლოდ იმას, რომ მე მოაზროვნე არსება ვარ და არა ცოცხალი არსება, რომ animal[37] კი არ ვარ, არამედ – cogital[38]. თავდაპირველად, მაჩუქეთ სიცოცხლე და შემდეგ მისგან შეგიქმნით კულტურას! ასე შემოსძახებს ამ თაობის თითოეული წევრი; ყოველი მათგანი ერთმანეთს ამ შეძახილით ამოიცნობს. ვინ აჩუქებს მათ სიცოცხლეს?

არც ღმერთი და არც ადამიანი: მხოლოდ მათი საკუთარი ახალგაზრდობა: მოხსენით მათ ბორკილები და მათთვის სიცოცხლესაც გაათავისუფლებთ. რადგან ის მხოლოდ დამალული იყო საპყრობილე-

---

[35] „ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ“.
[36] „ვარსებობ, მაშასადამე ვაზროვნებ“.
[37] „ცხოველი“.
[38] „მოაზროვნე“.

ში; ის ჯერ კიდევ არ დამჭკნარა და ჩამკვდარა – შეეკითხეთ ეს საკუთარ თავს!

თუმცა ბორკილებისგან გათავისუფლებული ეს სიცოცხლე ავადაა და უნდა ემკურნალოს. მას ბევრი გასაჭირი აქვს და იტანჯება არა მხოლოდ საკუთარი ბორკილების გახსენებით, არამედ იმითაც, რაც აქ, უპირველეს ყოვლისა, გვაინტერესებს, – ისტორიული დაავადებით. ისტორიის სიჭარბემ სიცოცხლის პლასტიკური ძალა დააზიანა; ის ველარ ხვდება, რომ წარსულს ძლიერ საზრდოდ იყენებდეს. ეს ავადმყოფობა საშიშია და მაინც! ახალგაზრდებს ბუნების ნათელმხილველური ნიჭი რომ არ გააჩნდეთ, არავის ეცოდინებოდა, რომ ეს დაავადებაა და რომ ჯანმრთელობის სამოთხე დაკარგულია. იგივე ახალგაზრდობა ხვდება იმავე ბუნების სამკურნალო ინსტინქტით, თუ როგორ შეიძლება კვლავ მოვიპოვოთ ეს სამოთხე. მისთვის ნაცნობია ამ ისტორიული დაავადების, ისტორიულის სიჭარბის საწინააღმდეგო ბალზამები და წამლები: რა ქვია ამ წამლებს?

არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ეს შხამების სახელებია: ისტორიულის საწინააღმდეგო საშუალებებს ეწოდებათ – არაისტორიული და ზეისტორიული. ამ სახელებით ვუბრუნდებით ჩვენი განაზრების საწყისებსა და მის სიმშვიდეს.

სიტყვით „არაისტორიული“ დავიწყების შესაძლებლობის ხელოვნებასა და ძალას და საკუთარი თავის განსაზღვრულ ჰორიზონტში შემოფარგვლას ალვნიშნავ. „ზეისტორიულს“ ვუწოდებ ძალებს, რომლებიც მზერას ქმნადობის პროცესიდან გადაგვატანინებენ იმაზე, რაც ყოფიერებას მარადიულისა და თანაბარმნიშვნელოვანის ხასიათს სძენს – ხელოვნებაზე და რელიგიაზე. მეცნიერება – რადგან ის შხამების შესახებ ისაუბრებდა – ამ უნარში, ამ ძალებში ხედავს მასთან საწინააღმდეგო ძალებსა და უნარებს:

რადგან ის მხოლოდ საგნებზე დაკვირვებას მიიჩნევს ჭეშმარიტად და მართებულად, ანუ მხოლოდ მეცნიერულ დაკვირვებას, რომელიც ყველგან ხედავს შექმნილსა (Gewordene) და ისტორიულს და არა არსებულსა (Seiende) და მარადიულს. ის ისევე ცხოვრობს ხელოვნებისა და რელიგიის მარადიულ ძალებთან შინაგან წინააღმდეგობაში, როგორც ეზიზღება დავიწყება, ცოდნის სიკვდილი; ის ესწრაფვის ჰორიზონტების ყოველგვარი შეზღუდვის მოხსნას და ადამიანებს შეცნობილი ქმნადობის დაუსრულებელ და უსაზღვრო სინათლის ზღვაში ჩაუშვებს.

ნეტავ, შეეძლოს, მხოლოდ იქ ცხოვრობდეს! როგორც მიწისძვრის დროს ნადგურდებიან და ცარიელდებიან ქალაქები და ადამიანი კანკალითა და აჩქარებით თავის სახლს ვულკანურ საფუძველზე აშენებს, ზუსტად ასევე სიცოცხლე შიგნიდან ნადგურდება, უძლურდება და ხდება გაუბედავი, როდესაც მეცნიერების გამოწვეული ცნებათა მიწისძვრა ადამიანს მისი უსაფრთხოებისა და სიმშვიდის საფუძველს, მყარისა და მარადიულის რწმენას, ართმევს. სიცოცხლე უნდა იყოს გაბატონებული შემეცნებაზე და მეცნიერებაზე, თუ შემეცნება სიცოცხლეზე? ამ ორი ძალიდან რომელია აღმატებული და გადამწყვეტი? არავინ დაეჭვდება: სიცოცხლეა აღმატებული ძალა, რადგან შემეცნება, რომელიც სიცოცხლეს გაანადგურებს, მასთან ერთად განადგურდება. შემეცნება გულისხმობს სიცოცხლეს; შესაბამისად, სიცოცხლის შენახვა მისსავე ინტერესებშია იმდენად, რამდენადაც თითოეული არსება საკუთარი არსებობის გაგრძელებითაა დაინტერესებული. ამიტომაც სჭირდება მეცნიერებას მკაცრი კონტროლი და მეთვალყურეობა; მეცნიერების გვერდით წარმოიშობა სწავლება საღ ცხოვრებაზე, ხოლო ამ სწავლების ერთ-ერთი პირობა ასე გაჟღერდებოდა: არაისტორი-

ული და ზეისტორიული ბუნებრივი საწინაალმდეგო საშუალებებია სიცოცხლის ისტორიული გადატვირთვის, ისტორიული დაავადების წინაალმდეგ. სავარაუდოა, რომ ჩვენ, ისტორიით დაავადებულებს, საწინაალმდეგო საშუალებაც დაგვტანჯავს. თუმცა ფაქტი, რომ ის გვტანჯავს, არაა მტკიცებულება არჩეული მკურნალობის მეთოდის სისწორის წინაალმდეგ.

სწორედ ამაში ვხედავ ამ ახალგაზრდების მისიას, მებრძოლთა და გველების მკვლელთა პირველი თაობისა, რომელიც წარმოშობს უფრო ბედნიერ და უფრო ლამაზ განათლებასა და კაცობრიობას ისე, რომ ამ სამომავლო ბედნიერებისა და სილამაზისგან დაპირების გამცემ წინათგრძნობის მეტს ვერ მიიღებს. ეს ახალგაზრდობა დაავადებით და მისი საწინაალმდეგო საშუალებებით ერთდროულად დაიტანჯება: და, მიუხედავად ამისა, ისინი პრეტენზიას აცხადებენ ძლიერი ჯანმრთელობისა და, საერთოდ, უფრო ბუნებრივი ბუნების რწმენაზე, ვიდრე მათი წინაპრები – თანამედროვეობის განათლებული „მამაკაცები“ და „მოხუცები“. თუმცა მათი მისიაა, შეარყიონ გაგება, რომელიც ხსენებულ თანამედროვეობას აქვს „ჯანმრთელობისა“ და „განათლების“ შესახებ, მასხრად აიგდონ და გამოიწვიონ ზიზღი ამ ჰიბრიდული ცნებათა-მონსტრის წინააღმდეგ. ხოლო მათი უფრო ძლიერი ჯანმრთელობის უზრუნველმყოფი მაჩვენებელი უნდა იყოს ის, რომ მათ, ანუ ამ ახალგაზრდებმა, საკუთარი არსებობის დასახასიათებლად, მიმოქცევაში მყოფ სიტყვათა თუ ცნებათა მონეტებიდან არ უნდა გამოიყენონ ცნება და არც ერთი პარტიული სიტყვა; ნაცვლად ამისა, სიცოცხლის საუკეთესო წუთებში, მათ უნდა არწმუნებდეს მხოლოდ მათში არსებული მებრძოლი, გამომრიცხავი, გამყოფი ძალა და სიცოცხლის მუდამ ამაღლებული

შეგრძნება. შეიძლება ვიდავოთ, რომ ამ ახალგაზრდებს უკვე გააჩნიათ განათლება, მაგრამ რომელ ახალგაზრდას შეიძლება ამის გამო ვუსაყვედუროთ? მას შეიძლება მოუმწიფებლობასა და უზომობაში დავდოთ ბრალი, მაგრამ ის არაა საკმარისად მხცოვანი და დაბრძენებული საიმისოდ, რათა საკუთარი თავი მოთოკოს. უპირველეს ყოვლისა, მას სწორედაც რომ არ ესაჭიროება თავის მოჩვენება, თითქოს დასრულებულ განათლებას ფლობდეს და არც დაიცავს მას; იგი ტკბება ახალგაზრდული ნუგეშითა და პრივილეგიით, განსაკუთრებით კი უფრო გაბედული, ურყევი პატიოსნების პრივილეგიით და შთამაგონებელი იმედის ნუგეშით.

ამ იმედის მქონეთაგან ვიცი, რომ ეს განზოგადებანი მათ უშუალოდ ესმით და საკუთარი გამოცდილებით გარდასახავენ თავისი თავისთვის განკუთვნილ სწავლებად. სხვები კი ამაში სხვას ვერაფერს დაინახავენ, თუ არა დაფარულ თასებს, რომელიც, შესაძლოა, ცარიელი იყოს. მანამ, სანამ საკუთარი თვალებით დანახული არ გააკვირვებთ, რომ თასები სავსეა, რომ ამ განზოგადებებში ჩადებულია და ერთმანეთთან გადაწნულია იერიშები, მოთხოვნები, სასიცოცხლო ინსტინქტები, ვნებები, რომლებსაც არ შეიძლება დიდხანს სძინებოდათ. დასასრულს, მივმართავ რა ეპოქაში ეჭვის შემტანებს, რომლებსაც ყველაფერი დღის სინათლეზე გამოაქვთ, ჩემს ყურადღებას იმედის მქონეთა ამ საზოგადოებას მივაპყრობ, რათა მათი განკურნების გზისა და პროცესის შესახებ ვუამბო, – ისტორიული დაავადებისაგან გათავისუფლების შესახებ და ამით კი, ალეგორიის მეშვეობით, მათი საკუთარი ისტორია მოვუყვე იმ მომენტამდე, სადაც ისინი კვლავ ჯანმრთელად იქნებიან, რათა ისტორიით ხელახლა დაკავდნენ და გამოიყენონ წარსული სიცოცხლის

ბატონობით სამგვარი აზრით; სახელდობრ: მონუმენტურით, ანტიკვარულით და კრიტიკულით. დროის ამ მომენტში მათ უფრო ნაკლები ეცოდინებათ, ვიდრე თანამედროვეობის „განათლებულებს“. რადგან ბევრ რამეს დაივიწყებენ და ხალისსაც კი დაკარგავენ შეხედონ იმას, რის ცოდნაც ხსენებულ განათლებულებს, უპირველეს ყოვლისა, სურთ. ამ განათლებულთა გადმოსახედიდან თუ დავაკვირდებით, მათ ახასიათებთ „გაუნათლებლობა“, განურჩევლობა და ჩაკეტილობა მრავალი სახელგანთქმული ადამიანის მიმართ და თვით ზოგიერთი სიკეთის მიმართაც. თუმცა, მკურნალობის ბოლოს, ისინი კვლავ ადამიანებად იქცევიან, და აღარ იქნებიან ადამიანის მსგავსი აგრეგატები – ეს კი უკვე რაღაცას ნიშნავს! იმედები ჯერ კიდევ არსებობს! ამის გამო თქვენი გული არ ხარობს? თქვენ, იმედის მქონენო?

როგორ მივაღწევთ ამგვარ მიზანს? – იკითხავთ თქვენ. დელფოსის ღმერთი თქვენი მიზნისკენ მიმავალი გზის დასაწყისში შემოგძახებთ: „შეიცან თავი შენი“. ეს რთული აღთქმაა, რადგან, როგორც ჰერაკლიტე იტყოდა, „ეს ღმერთი არაფერს მალავს და არც არაფერს გვიცხადებს, არამედ მხოლოდ გზას გვიჩვენებს“. რაზე მიგითითებთ ის თქვენ?

იყო საუკუნეები, რომლებშიც ბერძნებს იგივე საშიშროება ემუქრებოდათ, რაც ჩვენ: კერძოდ, უცხოთი და წარსულით წალეკვა, – სიკვდილი ისტორიის გამო. მათ ამაყ იზოლაციაში არასდროს უცხოვრიათ: მათი „განათლება“ დიდი ხნის მანძილზე წარმოადგენდა უცხოური – სემიტური, ბაბილონური, ლიდიური, ეგვიპტური – ფორმებისა და ცნებების ქაოსს, ხოლო მათი რელიგია – მთელი აღმოსავლეთის ღმერთების ნამდვილ ბრძოლას: დაახლოებით ისე, როგორც ახლა „გერმანული განათლებაა“ და რელიგიაა ყველა უცხო ქვეყნისა და წარსულის ერთმანეთში მებრძოლი

ქაოსი. და მაინც, ხსენებული აპოლონური აღთქმის წყალობით, ელინური კულტურა არ ყოფილა უბრალო აგრეგატი. ბერძნებმა თანდათანობით ქაოსის ორგანიზება ისწავლეს იმით, რომ, დელფოსურ სწავლებასთან თანხმობით, თავიანთ თავს ანუ საკუთარ ჭეშმარიტ საჭიროებებს დაუბრუნდნენ, მოჩვენებითი საჭიროებები კი უკუაგდეს და ამგვარად კვლავ დაეუფლნენ საკუთარ თავს; ისინი დიდი ხანი არ ყოფილან მთელი აღმოსავლეთის გადატვირთული შთამომავლები და ეპიგონები. საკუთარ თავთან რთული ბრძოლის შემდეგ, ხსენებული აღთქმის პრაქტიკული ინტერპრეტაციით, ისინი შთამომავლობით მიღებული საგანძურის ყველაზე ბედნიერ გამამდიდრებლებად და გამამრავლებლებად იქცნენ და აგრეთვე, ყველა მომავალი კულტურული ხალხების პირველშობილად და პროტოტიპად.

ეს ალეგორია თითოეული ჩვენგანისთვისაა: ჩვენთვის, ვინც საკუთარ თავში ქაოსი იმით უნდა მოაწესრიგოს, რომ საკუთარ ნამდვილ საჭიროებებს დაუბრუნდეს. ჩვენი პატიოსნება, ჩვენი შემძლე და ჭეშმარიტების მოყვარული ხასიათი უნდა დაუპირისპირდეს იმას, რომ მას უწევს სხვათა ლაპარაკის გამეორება, უცხო ხატ-სახეებით სწავლა და სხვების მიბაძვა. შემდეგ ის იწყებს მიხვედრას, რომ კულტურა რაღაც სხვაა, ვიდრე სიცოცხლის დეკორაცია, ანუ საფუძველშივე მუდამ თავის მოჩვენება და დამალვა, – ყოველი მოკაზმულობა ხომ მოსაკაზმს მალავს; ამგვარად, მისთვის კულტურის ბერძნული გაგება ნათელი ხდება, – საპირისპიროდ რომაული კულტურისა – კულტურა, როგორც ახალი და გაუმჯობესებული physis[39], გარეგანისა და შინაგანის გარეშე, თავის მოჩვენებებისა და პირობითობების გარეშე; კულტურა, როგორც სიცოცხლის, აზროვნების, გამოვ-

[39] „ბუნება“.

ლენისა და ნების ერთიანობა. ამრიგად, ის საკუთარი გამოცდილებისგან სწავლობს, რომ ბერძნებმა სხვა კულტურებს ზნეობრივი ბუნების ამაღლებული ძალის გამო სძლიეს და რომ ჭეშმარიტების ყოველგვარი გამრავლება ჭეშმარიტი განათლების შესამზადებელ მოთხოვნას უნდა წარმოადგენდეს: ამ ჭეშმარიტებამ შეიძლება დროდადრო სერიოზული ზიანი მიაყენოს სადღეისოდ ასე დაფასებულ განათლებას. მან ასევე შეიძლება ხელი შეუწყოს მთლიანად დეკორატიული კულტურის დამარცხებას.

ფრიდრიხ ნიცშე

სიცოცხლისათვის ისტორიის სარგებლისა
და ზიანის შესახებ



Friedrich Nietzsche

**Vom Nutzen und Nachtheil
der Historie für das Leben**

მხატვარი
მერაბ გეწაძე

ტექნიკური რედაქტორი
კახაბერ რუსიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა:
დავით გოგლიძე
კორექტორი
ქეთევან ბეროზაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
დავით გოგლიძე

507 ცალი

თქვენი შენიშვნები გთხოვთ გამოგზავნოთ
მისამართზე
Für die Anmerkungen wenden Sie sich bitte an die
folgende Adresse

E-mail: infocarpediem507@gmail.com
T. (+995) 577 728 947